



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2013. წინამდებარე თარგმანი შესრულებულია ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდის ხელშეწყობით (www.coe.int/humanrightstrustfund). სასამართლოსათვის იგი სავალდებულო ხასიათს არ ატარებს. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ საავტორო უფლებების სრული მიმოხილვა მოცემული დოკუმენტის ბოლოს.

© Council of Europe/European Court of Human Rights, 2013. This translation was commissioned with the support of the Human Rights Trust Fund of the Council of Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). It does not bind the Court. For further information see the full copyright indication at the end of this document.

© Conseil de l'Europe/Cour Européenne des Droits de l'Homme, 2013. La présente traduction a été effectuée avec le soutien du Fonds fiduciaire pour les droits de l'homme du Conseil de l'Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). Elle ne lie pas la Cour. Pour plus de renseignements veuillez lire l'indication de copyright/droits d'auteur à la fin du présent document.

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლო

დიდი პალატა

საქმე *Centro Europa 7 S.R.L* და დი სტეფანო იტალიის წინააღმდეგ
(საჩივარი № 38433/09)

გადაწყვეტილება

სტრასბურგი
2012 წლის 7 ივნისი

გადაწყვეტილება საბოლოოა, თუმცა შესაძლოა დაექვემდებაროს სარედაქციო შესწორებას

საქმეზე *Centro Europa 7 S.R.L* და დი სტეფანო იტალიის წინააღმდეგ

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ფრანსუაზ ტულკენსი, *პრეზიდენტი*,
ჟან-პოლ კოსტა,
ჯოზეფ კასადევალი,
ნინა ვაჯიჩი,
დინ სპიელმანი,
კორნელიუ ბირსანი,
ელიზაბეტ შტეინერი,
ელიზაბეტ ფურა,
ლილიანა მიოვიჩი,
დავიდ თორ ბიორგვინსონი,
დრაგოლიუბ პოპოვიჩი,
ანდრაშ შაიო,
ნონა წოწორია,
იშილ კარაკაში,
კრისტინა პარდალოსი,
გიდო რაიმონდი,
ლინოს-ალექსანრე სიცილიანოსი, *მოსამართლეები*

და ვინსენტი ბერგერი, *იურისკონსული*,

განიხილა რა საქმე 2011 წლის 12 ოქტომბრისა და 2012 წლის 11 აპრილის დახურულ სხდომებზე,

გამოიტანა შემდეგი გადაწყვეტილება ზემოთ მითითებულ დღეს:

პროცედურა

1. საქმეს საფუძვლად დაედო საჩივარი (№38433/09) წარმოდგენილი იტალიის რესპუბლიკის წინააღმდეგ, რომელიც 2009 წლის 16 ივლისს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის („კონვენცია“) 34-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოში შეიტანეს შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია *Centro Europa 7 S. R. L.*-მა და იტალიის მოქალაქემ ბ-მა ფანჩესკანტონიო დი სტეფანომ ("მომჩივნები").
2. მომჩივნებს წარმოადგენდნენ ბ-ნი ა. ფეისი, ბ-ნი რ. მასტროიანი, ბ-ნი ო. გრანდინეტი და ბ-ნი ფ. ფერარო, ადვოკატები, რომელიც პრაქტიკას რომში ეწევიან. იტალიის

- მთავრობა ("მთავრობა") წარმოდგენილი გახლდათ მისი წარმომადგენლის, ქ-ნი ე. სპატაფორას მიერ.
3. მომჩივნები აცხადებდნენ, რომ მომჩივანი კომპანიისათვის სამაუწყებლოდ საჭირო სატელევიზიო სიხშირის არმიცემის შედეგად დაირღვა მათი გამოხატვის თავისუფლება, განსაკუთრებით კი ინფორმაციისა და იდეების გავრცელების უფლება. ისინი ასევე ჩიოდნენ კონვენციის მე-14 და 6 § 1 მუხლებისა და 1 დამატებითი ოქმის 11 მუხლის დარღვევას.
 4. საჩივარი განსახილველად გადაეცა სასამართლოს მეორე სექციას (სასამართლოს რეგლამენტის 52-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). 2009 წლის 10 ნოემბერს, მეორე სექციამ გადაწყვიტა საჩივრის შესახებ შეეტყობინებინა მთავრობისათვის. კონვენციის ყოფილი 29 § 3 მუხლისა (ამჟამინდელი მუხლი 29 § 1) და სასამართლო რეგლამენტის 54(ა) მუხლის მიხედვით, პალატამ მიიღო გადაწყვეტილება საჩივრის არსებითი მხარე მის მისაღებობასთან ერთად განეხილა. 2010 წლის 30 ნოემბერს მოცემული სექციის პალატამ, შემდეგი მოსამართლეების შემადგენლობით: ფრანსუაზ ტულკენსი, დანუტე იოჩიენე, დრაგოლიუბ პოპოვიჩი, ანდრაშ შაიო, ნონა წოწორია, კრისტინა პარდალოს, გიდო რაიმონდი, და ფრანსუაზ ელენ-პასოსი, სასამართლო გამწესრიგებლის მოადგილე, დათმო იურისდიქცია დიდი პალატის სასარგებლოდ, რაც არ გაუსაჩივრებია არცერთ მხარეს (კონვენციის 30-ე და რეგლამენტის 72-ე მუხლები).
 5. დიდი პალატის შემადგენლობა განისაზღვრა კონვენციის 26 § 4 და 5 და სასამართლო რეგლამენტის 24-ე მუხლების მიხედვით. 2011 წლის 3 ნოემბერს ჟან-პოლ კოსტას პრეზიდენტობის ვადა ამოიწურა. ფრანსუაზ ტულკენსმა გადაიბარა მოცემულ საქმეში დიდი პალატის პრეზიდენტობა მოცემული თარიღიდან (რეგლამენტის მუხლი 9 § 2). ჟან-პოლ კოსტამ განაგრძო საქმის განხილვაში მონაწილეობა მისი ვადის ამოწურვამდე კონვენციის 23 § 3 მუხლისა და რეგლამენტის 24 § 4 მუხლის შესაბამისად.
 6. მომჩივნებმა და მთავრობამ წარმოადგინეს შემდგომი მოსაზრებანი (რეგლამენტის მუხლი 59 § 1). ამასთანავე, Open Society Justice Initiative-ისაგან მიღებულ იქნა მესამე მხარის კომენტარები, რომელსაც წერილობით პროცედურაში ჩართვის უფლება მიანიჭა პრეზიდენტმა (კონვენციის 36 § 2 მუხლი და რეგლამენტის 44 § 2 მუხლი).
 7. მოსმენა შედგა საჯაროდ, ადამიანის უფლებათა შენობაში, სტრასბურგში, 2011 წლის 12 ოქტომბერს (რეგლამენტის მუხლი 59 § 3).

სასამართლოს წინაშე წარსდგნენ:

(ა) *მთავრობის მხარეს*

ბ-ნი მ. რემუსი,
ბ-ნი პ. ჯენტელი,

მრჩეველი
სახელმწიფო მრჩეველი

(ბ) მომჩივნების მხარეს

ბ-ნი რ. მასტროიანი,

ბ-ნი ო. გრანდინეტი,

ბ-ნი ფ. ფერარო,

ადვოკატები

სასამართლომ მოისმინა ბ-ნების რემუსის, ჯენტილის, მასტროიანისა და გრანდინეტის გამოსვლები, ისევე როგორც მათი პასუხები დასმულ შეკითხვებზე.

ფაქტები

I. საქმის გარემოებანი

8. პირველი მომჩივანი *Centro Europa 7 S.r.l* ("მომჩივანი კომპანია"), გახლავთ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია, რომელიც ოპერირებს სატელევიზიო მაუწყებლობის სექტორში, რეგისტრირებული მისამართით რომში. მეორე მომჩივანი, ბ-ნი ფრანჩესკანტონიო დი სტეფანო გახლავთ იტალიის მოქალაქე, რომელიც დაიბადა 1953 წელს და ცხოვრობს რომში. იგი გახლავთ მომჩივანი კომპანიის წესდებისმიერი წარმომადგენელი.
9. სამინისტროს 1999 წლის 28 ივლისის დადგენილებით შესაბამისმა ორგანოებმა *Centro Europa 7 S.r.l*-ს მიანიჭა ქვეყანაში სატელევიზიო მაუწყებლობის ლიცენზია 249/1997 კანონის შესაბამისად (იხ. ქვემოთ პარაგრაფები 56-61), მისცა რა ამასთანავე უფლება შეექმნა და გამოეყენებინა ანალოგი სატელევიზიო ქსელი. ლიცენზია აკონკრეტებდა, რომ მომჩივანი კომპანია უფლებამოსილი გახლდათ ესარგებლა სამი სიხშირით, რომელიც ფარავდა ეროვნული ტერიტორიის 80%-ს. რაც შეეხება სიხშირების გადანაწილებას, ლიცენზია მითითებას აკეთებდა 1998 წლის 30 ოქტომბერს მიღებული ეროვნული სიხშირის გადანაწილების გეგმაზე. იგი აღნიშნავდა, რომ ინსტალაციები შესაბამისობაში უნდა მოსულიყო "გადანაწილების გეგმასთან" (*piano di assegnazione*) ოცდაოთხი თვის ვადაში და რომ ამ მხრივ განხორციელებული ზომები შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო კომუნიკაციების მარეგულირებელი ორგანოს (*Autorità per le garanzie nelle comunicazioni* – შემდგომში "კმო") მიერ კომუნიკაციების სამინისტროსთან ("სამინისტრო") ერთად შემუშავებულ რეგულირების პროგრამასთან (*programma di adeguamento*). *Consiglio di Stato*-ს მიერ 2008 წლის 31 მაისს მიღებული N.2624 გადაწყვეტილების მიხედვით (იხ. პარაგრაფი 14 ქვემოთ) ჩანს, რომ ლიცენზიის პირობების მიხედვით, სიხშირების მინიჭება გადაიდო მანამდე, სანამ ხელისუფლება არ მიიღებდა რეგულირების პროგრამას, რომლის საფუძველზეც მომჩივან კომპანიას უნდა განეახლებინა საკუთარი ინსტალაციები. რეგულირების პროგრამის იმპლემენტაცია არ განხორციელდა.

გარდამავალი სქემები, რომლებიც სარგებლობდნენ არსებული არხებით, გამოყენებულ იქნა ეროვნულ დონეზე, რამაც შედეგად გამოიწვია, მიუხედავად ლიცენზიის ფლობისა, მომჩივანი კომპანიის უუნარობა დაეწყო მაუწყებლობა 2009 წლის ივნისამდე, რადგანაც მასზედ ჯერ არ იყო გაცემული სიხშირეები.

10. მომჩივანმა კომპანიამ, მისი წესდებისეული წარმომადგენლის საშუალებით, რამდენჯერმე მიმართა ადმინისტრაციულ სასამართლოებს.

ა. ადმინისტრაციული სამართალწარმოების პირველი ეტაპი

11. 1999 წლის ნოემბერში მომჩივანმა კომპანიამ ოფიციალური შეტყობინება გაუგზავნა სამინისტროს, სადაც მოითხოვა სიხშირეების გამოყოფა. 1999 წლის 22 დეკემბრის შეტყობინებით, სამინისტრომ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი განაცხადა.

1. სამართალწარმოება საქმის არსებით მხარეზე

12. 2000 წელს მომჩივანმა კომპანიამ შეიტანა სარჩელი ლაციოს რაიონულ ადმინისტრაციულ სასამართლოში სამინისტროსა და "რტი"-ს ("მედიასეტის" ჯგუფის მიერ კონტროლირებული იტალიური სატელევიზიო არხების ქსელი) წინააღმდეგ, აღნიშნავდა რა, რომ ხელისუფლების შესაბამის ორგანოებს არ ჰქონდათ გამოყოფილი მაუწყებლობის სიხშირეები. სარჩელი "რტი"-ს წინააღმდეგაც გახლდათ მიმართული, რადგან "რეტენკუატრო" არხი ახდენდა მაუწყებლობას იმ სიხშირეზე, რომელიც უნდა გადაცემოდა მომჩივან კომპანიას.
13. 2004 წლის 16 სექტემბერს, რაიონულმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება მომჩივანი კომპანიის სასარგებლოდ, დაადგინა რა, რომ ხელისუფლება ვალდებული იყო ან გამოეყო სიხშირე, ან გაეუქმებინა ლიცენზია. შესაბამისად, მან 1999 წლის 22 დეკემბრის შეტყობინება ჯეროვნად სცნო,
14. "რტი"-მ გაასაჩივრა *Consiglio di Stato*-ში. 2008 წლის 31 მაისის N. 2624 გადაწყვეტილებით *Consiglio di Stato*-მ არ დააკმაყოფილა საჩივარი და ძალაში დატოვა რაიონული ადმინისტრაციული სასამართლოს გადაწყვეტილება. მან აღნიშნა, რომ ლიცენზიაში განსაზღვრული არ გახლდათ საბოლოო ვადა, რომლის დადგომამდეც ხელისუფლება ვალდებული იქნებოდა მიეღო "კმო"-ს მიერ სამინისტროსთან ერთად მიღებული დარეგულირების პროგრამა; მომჩივან კომპანიას მიეცა ოცდაოთხი თვე რათა დაეხვეწა ინსტალაციები შესაბამისად, *Consiglio di Stato*-მ დაადგინა, რომ დარეგულირების პროგრამა უნდა დამტკიცებულიყო დროულად. *Consiglio di Stato*-მ დასძინა, რომ სამინისტროს უნდა მიეღო გადაწყვეტილება მომჩივანი კომპანიის თხოვნაზე გამოყოფილიყო სიხშირე, ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად ("ეკმს" - იხ. პარაგრაფები 33-36 ქვემოთ).

2. აღსრულების სამართალწარმოება

15. 2008 წლის 23 ოქტომბერს, მომჩივანმა კომპანიამ, რომელსაც ჯერ ისევ არ ჰქონდა მიღებული სიხშირე, შეიტანა სარჩელი სამინისტროს წინააღმდეგ *Consiglio di Stato*-ში, ასაჩივრებდა რა 2008 წლის 31 მაისის გადაწყვეტილების აღსრულებლობას.
16. 2008 წლის 11 დეკემბერს სამინისტრომ გაახანგრძლივა 1999 წელს გაცემული ლიცენზიის მოქმედება ანალოგის განაწილებამდე და *Centro Europa 7 S.r.l.*-ზე გასცა ერთი არხი 2009 წლის 30 ივნისიდან.
17. *Consiglio di Stato*-მ, შესაბამისად დაადგინა 2009 წლის 20 იანვრის N. 243/09 გადაწყვეტილებით, რომ სამინისტრომ ჯეროვნად აღასრულა მისი 2008 წლის 31 მაისი გადაწყვეტილება.
18. 2009 წლის 18 თებერვალს მომჩივანმა კომპანიამ შეიტანა შემდეგი სარჩელი რაიონულ ადმინისტრაციულ სასამართლოში, სადაც დავობდა, რომ 2008 წლის 11 დეკემბრის დადგენილება, რომლის საფუძველზეც მოხდა სიხშირეების გაცემა, იყო არასაკმარისი იმდენად, რამდენადაც ლიცენზიის პირობების საწინააღმდეგოდ, იგი ეხებოდა ერთ არხს, რომელიც არ ფარავდა ქვეყნის ტერიტორიის 80%. სარჩელში კომპანია ითხოვდა დადგენილების გაუქმებასა და ზიანის ანაზღაურებას.
19. 2010 წლის 9 თებერვალს მომჩივანმა კომპანიამ მოაწერა ხელი შეთანხმებას ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან (ყოფილი კომუნიკაციების სამინისტრო), სადაც ამ უკანასკნელმა იკისრა ვალდებულება გამოეყო დამატებითი სიხშირეები ლიცენზიის პირობების შესაბამისად.
20. 2010 წლის 11 თებერვალს, მოცემული შეთანხმების ერთ-ერთი დებულების მიხედვით, მომჩივანმა კომპანიამ მოითხოვა რაიონული ადმინისტრაციული სასამართლოს წინაშე მიმდინარე სამართალწარმოების შეწყვეტა.
21. 2011 წლის 8 მარტს მომჩივანმა კომპანიამ მიმართა რაიონულ ადმინისტრაციულ სასამართლოს და სთხოვა საქმის განსახილველად აღდგენა. იგი ითხოვდა 2008 წლის 11 დეკემბრის დადგენილების გაუქმებას, რომლის საფუძველზეც მოხდა სიხშირეების გადაცემა, და ზიანის ანაზღაურებას. იგი ასევე აცხადებდა, რომ ადმინისტრაციულ ორგანოებს სრულად არ განუხორციელებიათ ნაკისრი ვალდებულებანი - გამოეყოს დამატებითი სიხშირეები და არ შეუსრულებიათ 2010 წლის 9 თებერვლის შეთანხმება და 2008 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილება.
22. შეთანხმების მე-6 მუხლის მიხედვით:
" *Centro Europa 7 S.r.l.* კისრულობს ვალდებულებას, 2010 წლის 11 თებერვლამდე უკან გამოითხოვოს ლაციოს რაიონული ადმინისტრაციული სასამართლოს წინაშე წარდგენილი სარჩელი N. 1313/09, შეიტანოს მოთხოვნა დადგენილ ვადაში მოსმენის ჩანიშვნის შესახებ და, ამავე ვადაში, უარი განაცხადოს საჩივარში მოთხოვნილ კომპენსაციაზე იმ პირობით, რომ იმ დროისათვის, როდესაც საქმე გამოხმობილ იქნება, მოცემული შეთანხმებას, დამატებითი სიხშირეების გაცემის გადაწყვეტილებას და 2008 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილებას არ ექნება ძალა დაკარგული.

ადმინისტრაცია, თავისმხრივ, იღებს ვალდებულებას სრულად დაემორჩილოს ვალდებულებას გამოყოს დამატებითი სიხშირეები მოცემული შეთანხმებისა და 2008 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილების ფარგლებში. მოცემული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, *Centro Europa 7* და სხვა ორგანოები აღიდგენენ სრულ უფლებას შესაბამის პროცედურულ პრეროგატივებზე. იმ შემთხვევაში თუ დამატებითი სიხშირეების გადაცემა ძალას დაკარგავს, *Centro Europa 7 S.r.l.* უფლებამოსილია აღადგინოს N. 1313/09 საჩივარი მხოლოდ იმ პირობით, თუ მოცემულ სიტუაციაში *Europa Way S.r.l.*-სათვის შეუძლებელი იქნება ერთი ან მეტი იმ დანადგარის ოპერირება, რომელიც ნახსენებია ტექნიკურ დანართ "ა"-ში."

23. სამართალწარმოება ამჟამად მიმდინარეობს რაიონული ადმინისტრაციული სასამართლოს წინაშე.

ბ. ადმინისტრაციული სამართალწარმოების მეორე ნაკადი

1. სამართალწარმოება რაიონული ადმინისტრაციული სასამართლოს წინაშე

24. ამასობაში, 2003 წლის 27 ნოემბერს, მაშინ როდესაც პირველი საჩივარი ჯერ ისევ რაიონული ადმინისტრაციული სასამართლოს წინაშე იყო წარდგენილი, მომჩივანმა კომპანიამ შეიტანა შემდგომი სარჩელი იგივე სასამართლოში, რომლითაც ითხოვდა მისი უფლების აღიარებას სიხშირეების მიღებაზე, ისევე როგორც კომპენსაციას მიყენებულ ზიანზე.

25. 2004 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილებით, რაიონულმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა სარჩელი, დაადგინა რა, რომ მომჩივან კომპანიას გააჩნდა მხოლოდ ლეგიტიმური ინტერესი (*interesse legittimo*), ანუ არაპირდაპირ დაცული ინდივიდუალური პოზიცია იმდენად, რამდენადაც იგი შესაბამისობაში მოდიოდა საჯარო ინტერესებთან, და არა პერსონალური უფლება (*diritto soggettivo*) მიეღო სიხშირეები ანალოგ სახმელეთო სატელევიზიო მაუწყებლობაზე.

2. *Consiglio di Stato*-სადმი აპელაცია

26. მომჩივანმა კომპანიამ სააპელაციო საჩივარი წარადგინა *Consiglio di Stato*-ში, სადაც აცხადებდა- იმის გამო, რომ შესაბამისმა ორგანოებმა მასზე გასცეს ლიცენზია, მას რეალურად გააჩნდა პერსონალური უფლება. კერძოდ კი, ამტკიცებდა, რომ საკანონმდებლო დადგენილება N.352/2003 და კანონი N. 112/2004 არ იყვნენ შესაბამისობაში ევროპის კავშირის კანონმდებლობასთან (იხ. პარაგრაფები 65-67 ქვემოთ).

27. 2005 წლის 19 აპრილს, *Consiglio di Stato*-მ გადაწყვიტა შემოფარგლულიყო მომჩივანი კომპანიის მიერ წარმოდგენილი ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის

განხილვით და ამ ეტაპზე არ მიეღო გადაწყვეტილება სიხშირეების გამოყოფის საკითხზე.

28. მიუხედავად ამისა, მან აღნიშნა, რომ *Centro Europa 7 S.r.l.* მიმართ სიხშირეების გაუცემლობა გამოწვეული გახლდათ უპირატესად საკანონმდებლო ფაქტორებით.
29. მან აღნიშნა, რომ N. 249/1997 კანონის მუხლი 3(2) (იხ. პარაგრაფი 58 ქვემოთ) უფლებას აძლევდა რადიო სიხშირეების "*de facto* მფლობელებს" ემუშავათ წინა სისტემით და განეგრძოთ მაუწყებლობა მანამდე, სანამ არ მოხდებოდა ახალი ლიცენზიის გაცემა ან ადგილი არ ექნებოდა ახალ ლიცენზიაზე განაცხადის უარყოფას, და ნებისმიერ შემთხვევაში მაუწყებლობა უნდა დასრულებულიყო არაუგვიანეს 1998 წლის 30 აპრილისა.
30. კანონი N.249/1997 3(7) მუხლი (იხ. პარაგრაფი 61 ქვემოთ) იძლეოდა მსგავსი მაუწყებლობის უფლებას ანიჭებდა რა "კმო"-ს ვადების დადგენის უფლებამოსილებას მხოლოდ ერთი საფუძვლით - პროგრამები არ უნდა გადაცემულიყო ერთდროულად სახმელეთო სიხშირეებზე და სატელიტით ან კაბელით. იგი აღნიშნავდა, რომ "კმო"-ს მიერ ვადის დაუდგენლობის შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილი ჰქონდა 2003 წლის 31 დეკემბერი როგორც თარიღი, როდესაც პროგრამები, რომელთა გადაცემაც ხდებოდა "ქვოტის-მიღმა" (ანუ, მოქმედი ეროვნული სატელევიზიო არხები, რომლებიც აჭარბებდნენ N. 249/1997 კანონის 2(6) მუხლით დადგენილ კონცენტრაციის შეზღუდვებს) უნდა გადაცემულიყო მხოლოდ სატელიტით ან კაბელით, რის შედეგადაც სიხშირეები - რომელიც გაცემული გახლდათ ლიცენზიის მფლობელებზე, მსგავსად მომჩივანი კომპანიისა - გათავისუფლდებოდა. *Consiglio di Stato*-მ აღნიშნა, თუმცა, რომ დადგენილი ვადა არ იქნა დაცული ეროვნული კანონმდებლის მიერ ჩარევის გამო: N. 352/2003 საკანონმდებლო დადგენილებამ, რომელიც შემდგომ გახდა 2004 წლის 24 თებერვლის კანონი N. 43 (იხ. პარაგრაფი 65 ქვემოთ), გააგრძელა ქვოტის-მიღმა არხების საქმიანობა "კმო"-ს მიერ ციფრული სატელევიზიო არხების განვითარების საკითხებზე გამოძიების დასრულებამდე. მან დასძინა, რომ კანონი N 112/2004 23(5) მუხლის მიხედვით (იხ. პარაგრაფი 67 ქვემოთ), ზოგადი ავტორიზაციის მექანიქმით, გაგრძელდა ქვოტის-მიღმა არხების მაუწყებლობა სახმელეთო სიხშირეებზე მანამდე, სანამ განხორციელდებოდა ეროვნული სიხშირის განაწილების გეგმის იმპლემენტაცია ციფრული ტელევიზიებისათვის. აღნიშნულმა შედეგად გამოიწვია ის, რომ ლიცენზიის მფლობელებისათვის, მსგავსად მომჩივანი კომპანიისა, განსაზღვრული სიხშირეები არ გათავისუფლდა.
31. შესაბამისად, N. 112/2004 კანონმა, *Consiglio di Stato*-ს მიხედვით, გამოიწვია იმ სიხშირეების დაბლოკვა, რომელიც განსაზღვრული იყო ანალოგიური ლიცენზიის მფლობელთათვის და ხელი შეუშალა ახალ ოპერატორებს ჩართულიყვნენ ციფრული ტელევიზიის საცდელ მაუწყებლობაში .
32. აღნიშნულის გათვალისწინებით, *Consiglio di Stato*-მ გადაწყვიტა შეეჩერებინა სამართალწარმოება და ეთხოვა "ეკმს"-სათვის განმარტებითი გადაწყვეტილების

მიღება სერვისისა და კონკურენციის ხელშეკრულების დებულებებთან დაკავშირებით დირექტივა 2002/21/EC ("ჩარჩო დირექტივა"), დირექტივა 2002/20/EC ("ავტორიზაციის დირექტივა"), დირექტივა 2002/77/EC ("კონკურენციის დირექტივა") და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის მიხედვით, იმდენად რამდენადაც ევროპის კავშირის ხელშეკრულების მე-6 მუხლი აკეთებდა მასზე მითითებას.

3. "ეკმს"-ს გადაწყვეტილება

33. 2008 წლის 31 იანვარს "ეკმს"-მ გამოიტანა გადაწყვეტილება. მან ორი საკითხი მიუღებლად სცნო, აღნიშნა რა რომ არ გააჩნდა საკმარისი ინფორმაცია რათა მიეღო გადაწყვეტილება.
34. რაც შეეხება კონვენციის მე-10 მუხლს, "ეკმს"-მ აღნიშნა შემდეგი:

"პირველი შეკითხვით, ეროვნული სასამართლო ეკითხება სასამართლოს, არსებითად, განსაზღვროს თუ რამდენად ზღუდავს ეროვნულ კანონმდებლობას, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი, იმდენად რამდენადაც ევროკავშირის მე-6 მუხლი ახდენს მასზე მითითებას, სატელევიზიო მაუწყებლობის საკითხებში, რადგან მისი გამოყენებაც შეუძლებელს ხდის უფლების მფლობელი ოპერატორისათვის, მაგალითად *Centro Eiropa 7*-სათვის, მაუწყებლობას რადიო სიხშირეების მინიჭების გარეშე.

...

მოცემული შეკითხვებით, ეროვნული სასამართლო მიზნად ისახავს განსაზღვროს თუ რამდენად აქვს ადგილი კავშირის კანონმდებლობის დარღვევას რათა გამოიტანოს გადაწყვეტილება კომპენსაციის საჩივარზე, რომელიც გამომდინარეობს მოცემული დარღვევებისაგან.

ევროკავშირის მუხლი 49 და, მისი ძალაში შესვლის მომენტიდან, ჩარჩო დირექტივის მუხლი 9 (1) და ავტორიზაციის დირექტივის მუხლი 7(3) და კონკურენციის დირექტივის მუხლი 4 განმარტებული უნდა იქნას როგორც სატელევიზიო მაუწყებლობის საკითხებში ეროვნული კანონმდებლობის გამოყენების დამაბრკოლებლი., მისი გამოყენება შეუძლებელს ხდის ოპერატორის უფლებას განახორციელოს მფლობელისათვის მაუწყებლობა სამაუწყებლო რადიო სიხშირეების არარსებობის გამო, რომელიც გაიცა ობიექტური, გამჭვირვალე, არადისკრიმინაციული და პროპორციული კრიტერიუმების საფუძველზე.

პასუხი, თავისთავად, აძლევს საშუალებას ეროვნულ სასამართლოს მიიღოს გადაწყვეტილება *Centro Europa 7*-სათვის მიყენებული ზიანის საპასუხოდ, წარმოდგენილ კომპენსაციის მოთხოვნაზე.

შესაბამისად, სასამართლოს მიერ მეორე, მეოთხე და მეხუთე შეკითხვებზე პასუხის გათვალისწინებით, საჭირო არ გახლავთ პირველ და მესამე შეკითხვებზე პასუხის გაცემა".

35. საქმის არსებით ნაწილზე "ეკმს"-მ დაასკვნა, რომ არსებულ არხებს, ეროვნული კანონმდებლის მიერ მიღებული ზომების შედეგად, მიეცათ უფლება განეხორციელებინათ სამაუწყებლო საქმიანობა, რამაც ნეგატიური გავლენა იქონია იმ ახალ მაუწყებლებზე, რომლებიც ფლობდნენ სახმელეთო სატელევიზიო მაუწყებლობისათვის ლიცენზიას. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულმა ზომებმა გამოიწვია შემდომი მიმართვა გარდამავალ შეთანხმებებზე, რომელიც სტრუქტურირებული გახლდათ არსებული ქსელების სასარგებლოდ და რომ აღნიშნულმა ფაქტმა ნეგატიური გავლენა იქონია მაუწყებლობის სიხშირეების არმქონე ოპერატორებზე, მსგავსად მომჩივანი კომპანიისა, შეუშალა რა მათ ხელი მიეღოთ წვდომა სატელევიზიო სამაუწყებლო ბაზარზე მიუხედავად იმისა, რომ ისინი ფლობდნენ ლიცენზიას (მომჩივანი კომპანიის შემთხვევაში, გაცემული 1999 წელს). "ეკმს"-მ აღნიშნა შემდეგი:

" კანონი N 112/2004 ... არა მარტო ანიჭებს არსებულ ოპერატორებს პრიორიტეტულ უფლებას მიიღონ რადიო სიხშირეები, არამედ ექსკლუზიურად ანიჭებს მათ მოცემულ უფლებას და აყენებს პრივილეგირებულ მდგომარეობას დროში შეზღუდვისა და რაიმე ვალდებულებისა თუ იმ პირობის დაწესების გარეშე, რომელიც დაადგენდა რადიო სიხშირის შეწყვეტის გარემოებას ციფრული სატელევიზიო მაუწყებლობის გადაცემის დაწყების შემდეგ."

36. "ეკმს"-მ დასძინა, რომ გარდამავალი სქემის გამოყენება არ შეესაბამებოდა ახალ საერთო მარეგულირებელ ჩარჩოს ("ესმჩ"), რომელიც ახდენდა ხელშეკრულების დებულებების იმპლემენტირებას, განსაკუთრებით კი ელექტრო საკომუნიკაციო ქსელების სფეროში მომსახურების გაწევის თავისუფლების კუთხით. მან მიუთითა ამ მხრივ, რომ "ესმჩ" რამდენიმე დებულება აღნიშნავდა, რომ სიხშირეების გამოყოფა და გადაცემა უნდა განხორციელებულიყო ობიექტური, გამჭვირვალე, არა დისკრიმინაციული და პროპორციული კრიტერიუმების საფუძველზე. "ეკმს"-ს აზრით, ამგვარი კრიტერიუმები არ იყო გამოყენებული მოცემულ საქმეში, რადგან არსებული არხების სტატუსი არ შეცვლილა გარდამავალი სქემებით და მათ განაგრძეს სამაუწყებლო საქმიანობის განხორციელება რიგი ოპერატორების, მსგავსად მომჩივანი

კომპანიისა, საზიანოდ, რადგან ამ უკანასკნელთ არ მიეცათ უფლებითა და ლიცენზიით სარგებლობის საშუალება.

"ეკმს"-მ შესაბამისად მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

"... უნდა აღინიშნოს, რომ სატელევიზიო მაუწყებლობის სფეროში მომსახურების გაწევის თავისუფლება, დაცული ევროკავშირის 49-ე მუხლით და ამ სფეროში იმპლემენტირებული "ესმჩ"-ს მიერ, საჭიროებს არამარტო მაუწყებლობის უფლების მინიჭებას, არამედ რადიო სამაუწყებლო სიხშირის გაცემასაც. ოპერატორი ეფექტიანად ვერ ისარგებლებს კავშირის კანონმდებლობიდან გამომდინარე სატელევიზიო სამაუწყებლო ბაზარზე წვდომის უფლებით სამაუწყებლო რადიო სიხშირიებს გარეშე.

...

ევროკავშირის 49-ე მუხლი მისი ძალაში შესვლის თარიღიდან, ევროპის პარლამენტის 2002/21/EC დირექტვის მუხლი 9 (1) და საბჭოს 2002 წლის 7 მარტის დირექტივა ელექტრო საკომუნიკაციო ქსელებისა და სერვისების (ჩარჩო დირექტივა) მუხლი 5(1), მუხლი 5 (2)-ის მეორე პუნქტი და ევროპარლამენტის 2002/20/EC დირექტივის მუხლი 7 (3), ისევე როგორც საბჭოს 2002 წლის 7 მარტის დირექტივა ელექტრონული კომუნიკაციების ქსელებისა და სერვისების შესახებ (ავტორიზაციის დირექტივა) და კომისიის 2002 წლის 16 სექტემბრის 2002/77/EC დირექტივა ელექტრონული კომუნიკაციების ქსელებისა და სერვისების საბაზრო კონკურენციის შესახებ, მუხლი 4 განმარტებული უნდა იქნას იმგვარად, რომ ხელს უშლიდეს სატელევიზიო სამაუწყებლო საქმეებში ეროვნული კანონმდებლობის იმგვარ გამოყენებას, რომელიც სამაუწყებლო რადიო სიხშირეების გარეშე შეუძლებელს გახდის მაუწყებლობას სამაუწყებლო უფლების მქონე ოპერატორისათვის, რომელმაც ეს უკანასკნელი მიიღო ობიექტური, გამჭვირვალე, არადისკრიმინაციული და პროპორციული კრიტერიუმების საფუძველზე."

4. სამართალწარმოების განახლება *Consiglio di Stato*-ში

37. 2008 წლის 31 მაისს, 2622/08 გადაწყვეტილებით *Consiglio di Stato*-მ დაასკვნა, რომ იგი მთავრობის მაგივრად ვერ გამოყოფდა სიხშირეებს და ვერც მთავრობას აიძულებდა განეხორციელებინა ამგვარი ქმედება. მან მოუწოდა მთავრობას მიეხედა მომჩივანი კომპანიის მიერ წარმოდგენილ, სიხშირეების გამოყოფასთან დაკავშირებულ თხოვნაზე "ეკმს"-ს მიერ დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად. კერძოდ კი, მან აღნიშნა შემდეგი:

" ხელისუფლების მიერ კონკრეტული ზომების მიღება უწინარესად უკავშირდება ვალდებულების შესრულებასა და იმპლემენტაციას და არა ზიანს: საქმეებში, რომელიც ეხება უკანონო უარს უნდა მიღებულ იქნას ადმინისტრაციული ზომები. ზომების მიღება არ უტოლდება კომპენსაციას, არამედ უფრო იმ ვალდებულების განხორციელებას აღნიშნავს, რომელიც ეკისრება ხელისუფლების შესაბამის ორგანოს. გამონაკლისი გახლავთ შემთხვევა, როდესაც კერძო მხარეს მიაღება ზიანი."

38. სიხშირების გამოყოფის მოთხოვნასთან დაკავშირებით, *Consiglio di Stato*-მ აღნიშნა შემდეგი:

" როდესაც საქმე ეხება ლეგიტიმურ ინტერესებს, შეუძლებელია გაითვალისწინო ვითარების გამოსწორების კონკრეტული საშუალება, რადგან უმოქმედობა, გაჭიანურება ან უკანონო უარი, ყოველთვის იქონიებს გავლენას ვითარებაზე, რომელიც იყო ან დარჩება არადამაკმაყოფილებლად, გამოიწვევს რა შედეგს როდესაც აღარაფერია აღსადგენი; ამგვარ ინტერესებთან დაკავშირებით საქმე ეხება ნებისმიერი გადაწყვეტილების პრაქტიკულ იმპლემენტაციას, მიუხედავად გასაჩივრებული ზომისა.

...

ამ პრინციპების მოცემულ საქმეზე მისადაგებისას *Consiglio* ასკვნის, რომ მომჩივნის თხოვნა, იძულებული შეიქნას ხელისუფლების ორგანოები გამოჰყონ ქსელი ან სიხშირეები, მიუღებელია."

5. გადაწყვეტილება მომჩივანი კომპანიის კომპენსაციის მოთხოვნაზე

39. *Consiglio di Stato*-მ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება მომჩივანი კომპანიისათვის კომპენსაციის გადახდის შესახებ გადადო 2008 წლის 16 დეკემბრამდე, დაადგინა რა, რომ საჭრო გახლდათ მთავრობის მიერ შესაბამისი რეგულაციების მიღებამდე დალოდება მანამდე, სანამ შეაფასებდა რაოდენობას.

40. *Consiglio di Stato*-მ ორივე მხარეს მოთხოვა დამორჩილებოდნენ 2008 წლის 16 დეკემბრის მოთხოვნებს. სამინისტროს ევალუბოდა, პირველ რიგში, დაეზუსტებინა თუ რომელი სიხშირეები იყო ხელმისაწვდომი 1999 წლის საჯარო ტენდერის პროცედურების შემდეგ და განემარტა თუ რატომ არ მოხდა მათი გადაცემა მომჩივან კომპანიაზე, და, მეორეს მხრივ, გაემართლებინა მისი პოზიცია, რომლის მიხედვითაც მომჩივანი კომპანიისათვის მინიჭებული ლიცენზია ამოიწურა 2005 წელს.

41. მომჩივან კომპანიას, თავის მხრივ, *Consiglio di Stato*-მ მოთხოვა წარმოედგინა ანგარიში 1999-2008 წლებში საქმიანობის შესახებ და ასევე აეხსნა თუ რატომ არ მიიღო მონაწილეობა 2007 წელს გამართულ საჯარო ტენდერში სიხშირეების მისაღებად.

42. *Consiglio di Stato*-მ ასევე ჰკითხა "კმო"-ს აეხსნა, თუ რატომ არ მოხდა სახმელეთო სატელევიზიო მაუწყებლობის ეროვნული სიხშირის განაწილების გეგმის განხორციელება. დაბოლოს, მან არ დააკმაყოფილა მომჩივანი კომპანიის თხოვნა შეეწყვიტა წინასწარი ავტორიზაცია "მედიასეტის" ჯგუფის მიერ ფლობილი არხისათვის (რეტეკუატრო) სიხშირეების გამოყენებაზე.
43. პასუხად "კმო"-მ აუხსნა *Consiglio di Stato*-ს, რომ ეროვნული სიხშირის გადანაწილების გეგმა განხორციელდა მხოლოდ 2008 წლის 13 ნოემბერს. "კმოს"-ს მიხედვით, მოცემული გაჭიანურება გამოწვეული გახლდათ რამდენიმე მიზეზით. პირველი, სამართლებრივი ვითარება რთული იყო, რადგან ვერ ხდებოდა თავისუფალი სამაუწყებლო სიხშირეების დადგენა იმ სასამართლო გადაწყვეტილებების გამო, რომლითაც ქვოტის მიღმა მყოფ არხებს მიეცა საშუალება განეგრძოთ მაუწყებლობა. ამასთანავე, გარდამავალი საკითხები, რომელიც დაინერგა N. 66/2001 კანონის მიერ (იხ. პარაგრაფები 63-64 ქვემოთ), რომელიც მოცემულ არხებს აძლევდა საშუალებას განეგრძოთ მაუწყებლობა იმავე რეჟიმში, ხელს უშლიდა გეგმის იმპლემენტაციას, იმდენად რამდენადაც ადგილი ჰქონდა შეუსაბამობას იმ არხების ინტერესებს შორის რომელთაც მიეცათ მაუწყებლობის უფლება გეგმის მიხედვით, და იმ არხებს შორის, რომლებიც სამართლებრივად ფლობდნენ უფლებას განეგრძოთ მაუწყებლობა.
44. მომჩივანმა კომპანიამ წარმოადგინა "უნიპოლის" კომერციული ბანკის ექსპერტის შეფასება, რომელიც დამდგარ ზიანს აფასებდა 2,175,213,345.00 (ორ მილიარდ ასსამოცდათხუთმეტ მილიონ ორასცამეტი ათას სამასორმოცდახუთ ევრო) ევროს ოდენობით. შეფასება ეფუძნებოდა "რეტეკუატროს", ქვოტის მიღმა არსებული არხის მიერ მიღებულ მოგებას, რომელსაც უნდა წესით დაეთმო მომჩივანი კომპანიისათვის გამოყოფილი სიხშირეები.
45. 2009 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილებაში, *Consiglio di Stato*-მ სამოქალაქო კოდექსის 2043 მუხლის საფუძველზე (იხ. პარაგრაფი 69 ქვემოთ) უბრძანა სამინისტროს გადაეხადა მომჩივანი კომპანიისათვის 1, 041, 418 ევრო კომპენსაციის სახით. მან აღნიშნა, რომ ათი წლის განმავლობაში, სამინისტრო დაუდევრად იქცეოდა მისცა რა *Centro Europa 7 S.r.l.*-ს ლიცენზია შესაბამისი სამაუწყებლო სიხშირეების გამოყოფის გარეშე.
46. *Consiglio di Stato*-მ დაადგინა, რომ არსებობდა მიზეზობრივი კავშირი ადმინისტრაციულ ორგანოთა ქმედებასა და სავარაუდო ზიანს შორის და რომ *Centro Europa 7 S.r.l.*-ისათვის ლიცენზიის მინიჭება არ აძლევდა მას უფლებას უმალ განეხორციელებინა შესაბამისი ეკონომიკური საქმიანობა; შესაბამისად, კომპენსაცია უნდა გამოთვლილიყო შესაბამისი ორგანოების მიერ სიხშირეების გამოყოფის კანონიერი მოლოდინის საფუძველზე.
47. *Consiglio di Stato*-ს მოსაზრებით, ის ფაქტი, რომ სიხშირეები არ იქნა მინიჭებული 2008 წლის 11 დეკემბრამდე მიეკუთვნებოდა სახელმწიფო ორგანოების პასუხისმგებლობას. ზიანი მიყენებული გახლდათ უკანონო ქმედების შედეგად, რომელთან მიმართებაშიც ხელისუფლებას ეკისრებოდა არასახელმწიფო პასუხისმგებლობა როგორც

კანონიერი მოლოდინის დარღვევის, ასევე სიხშირეების გამოყოფის დაგვიანების გამო. ის ფაქტი, რომ ხელისუფლებამ გამოაცხადა საჯარო ტენდერი სიხშირეების გასაცემად 1999 წელს, მიუხედავად იმისა, რომ ვითარება სამაუწყებლო სექტორში არ იყო გარკვეული და რომ არსებობდა რიგი ტექნიკური პრობლემები, "სარისკო" გახლდათ. *Consiglio di Stato*-მ მიიჩნია, რომ მომჩივანი კომპანიისადმი მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხის განხილვისას მოცემული კონტექსტი უნდა გათვალისწინებულიყო. ხელისუფლების საქმიანობა არ შეფასდა როგორც "მნიშვნელოვანი სიმძიმის" მქონე (*notevole gravita*) და უკანონო ქმედება მიეწერებოდა მათი მხრიდან "გაუფრთხილებელ" და არა განზრახ მოქმედებას.

48. *Consiglio di Stato*-მ დაამატა, რომ მატერიალური ზიანი უნდა შეფასდეს 2004 წლის 1 იანვრიდან, რადგან საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვიტა, რომ "გარდამავალი პერიოდი", რომლის შემდეგაც მიღებული იქნებოდა კანონმდებლობა, რომელიც ლიცენზიის მფლობელებს მისცემდა მაუწყებლობის საშუალებას, ამოიწურა 2003 წლის 31 დეკემბერს (იხ. პარაგრაფი 62 ქვემოთ). რაც შეეხება ზიანისათვის ანაზღაურების გასაცემ კრიტერიუმებს, *Consiglio di Stato*-მ აღნიშნა, რომ მიყენებულ ზიანთან მიმართებაში, მომჩივანმა კომპანიამ სრულად იცოდა არსებული ვითარების შესახებ ტენდერის გამოცხადების მომენტისათვის და ფლობდა ინფორმაციას იმ პირობების შესახებ, რომელსაც ექვემდებარებოდა ლიცენზია. ამასთანავე, სამართლებრივად განჭვრეტადი გახლდათ ის მოვლენები, რომელმაც დააბრკოლა სიხშირეების გაცემა. შესაბამისად, მომჩივან კომპანიას უნდა სცოდნოდა, რომ ნაკლებსავარაუდო იქნებოდა სიხშირეების მიღება საწყის ეტაპზე მაინც. დაბოლოს, მას შეეძლო შეეძინა სიხშირეები 2001 წლის 20 მარტის N. 66 კანონის 1 მუხლის საფუძველზე (იხ. პარაგრაფი 64 ქვემოთ).

ზემორეს გათვალისწინებით, *Consiglio di Stato*-მ, ექსპერტის მიერ შეფასების განხორციელების მოთხოვნის გარეშე, გადაწყვიტა მომჩივანი კომპანიისათვის მიეკუთვნებინა 391,418 ევრო ზიანისათვის. რაც შეეხება შემოსავლის დანაკარგს, მან დაადგინა, რომ 2004 წლის 1 იანვრიდან, მომჩივან კომპანიას უნდა მიეღო მოგება, რაც ვერ შეძლო სიხშირეების გამოყოფის დაგვიანების გამო; რაოდენობრივად ეს უკანასკნელი შეფასდა 650,000 ევროდ. სასამართლომ უარი განაცხადა გათვალისწინებინა მომჩივანი კომპანიის მიერ წარმოდგენილი ექსპერტის შეფასება და დადგინა, რომ ნაკლებსავარაუდო გახლდათ კომპანიას შეესყიდა წილები ბაზარზე იმ შემთხვევაშიც კი, თუ ქვოტის მიღმა არხები დათმობდნენ სიხშირეებს. *Consiglio di Stato*-ს აზრით, მომჩივანი კომპანიისა და ორი წამყვანი ოპერატორის ("მედიასექტი" და "რაი") შედარება გაუმართლებელი გახლდათ, განსაკუთრებით კი იმის გამო რომ იგი არ ითვალისწინებდა სხვა ეროვნული ოპერატორის შემთხვევას (ლა 7), რომელსაც, მართალია ჰქონდა უფრო დიდი ეკონომიკური საშუალება ვიდრე მომჩივან კომპანიას, მაგრამ მაინც ზარალს განიცდიდა.

II. შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა და პრაქტიკა

ა. საკონსტიტუციო სასამართლოს N.225/1974 გადაწყვეტილება

49. N. 225/1974 გადაწყვეტილებით საკონსტიტუციო სასამართლომ, კონსტიტუციის 43-ე მუხლის საფუძველზე კიდევ ერთხელ დაადასტურა სალმწიფო სატელევიზიო კორპორაცია "რაი"-ს მიერ მონოპოლიის არსებობა საჯარო ინტერესების საფუძველზე. მან აღნიშნა, რომ რიგ სიხშირეებზე არსებული ტექნიკური შეზღუდვები ამართლებდა მონოპოლიას და შეეხო ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის მოთხოვნის მნიშვნელობას საჯარო-სერვისის მაუწყებლობისას.

ბ. კანონი N. 103/1975

50. 1975 წლის 14 აპრილით დათარიღებულმა კანონმა N. 103 (*Nuove norme in materia di diffusione radiofonica e televisiva*) საჯარო-მომსახურების მაუწყებლობის კონტროლი აღმასრულებელი შტოდან საკანონმდებლოს გადასცა. შეიქმნა ორპალატიანი პარლამენტის კომიტეტი, რომლის ვალდებულებაც გახლდათ რადიო და სატელევიზიო სერვისების ზოგადი მართვა და ზედამხედველობა. რაი-ს მმართველი საბჭო მაშინ დაინიშნა პარლამენტის მიერ. 1979 წელს მაუწყებლობა დაიწყო "რაი"-ს ქსელის მესამე არხმა, აქცენტით რაიონულ პროგრამებზე.

გ. საკონსტიტუციო სასამართლოს N. 202/1976 გადაწყვეტილება

51. 1976 წლის 15 ივლისის N. 202 გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად სცნო 103/1975 კანონის ის დებულებანი, რომელიც აწესებდა მონოპოლიას ან ოლიგოპოლიას ადგილობრივ მაუწყებლობაზე. მოცემული გადაწყვეტილების გათვალისწინებით, კომერციულ ოპერატორებს მიეცათ უფლება ემართათ ადგილობრივი სატელევიზიო არხები.

52. ადგილობრივი სიხშირეების გაცემამ და ნებაყოფლობითმა გადანაწილებამ, შედეგად, ხელი შეუწყო დიდ რაიონულ ან ეროვნულ ოპერატორებს, მათ შორის "მედიასეტ" ჯგუფსაც. ჯგუფის პირველი არხი გახლდათ "კანალ 5", რომელმაც მაუწყებლობა დაიწყო ქვეყნის მასშტაბით 1980 წელს; 1984 წლისათვის, შეიერთა რა ორი სხვა არხი ("იტალია უნო" და "რეტეკუატრო"), "მედიასეტი", "რაი"-სთან ერთად ახორციელებდა "დუოპოლიას" საჯარო და კერძო ოპერატორებს შორის.

დ. კანონი N. 223/1990

53. 1990 წლის 6 აგვისტოს N. 223 კანონით "საჯარო და კერძო სამაუწყებლო სისტემის მარეგულირებელი დებულებანი" (*Disciplina del sistema radiotelevisivo pubblico e*

privato), "რაი"-ს საბჭოს წევრების დანიშვნის უფლება პარლამენტის კომიტეტისაგან გადაეცა მოადგილეთა პალატის სპიკერებსა და სენატს.

ე. საკონსტიტუციო სასამართლოს N. 420/1994 გადაწყვეტილება

54. 1994 წლის 5 დეკემბრის N. 420 გადაწყვეტილებით საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად სცნო დებულებანი, რომელიც "მედიასეტ" ჯგუფის მიერ კონტროლირებულ სამ არხს (კანალ 5, იტალია უნო და რეტეკუატრო) ანიჭებდა დომინანტ პოზიციას. მან დაადგინა, რომ დებულებანი, რომლითაც ერთიდაიგივე ოპერატორს შეუძლია ფლობდეს რამდენიმე სატელევიზიო სამაუწყებლო ლიცენზიას იმ პირობით, რომ იგი არ გადააჭარბებს ეროვნული არხების მთლიანი რაოდენობის 25%-ს - ანუ სულ სამ არხს- არ გახლდათ საკმარისი რათა თავიდან აცილებულიყო სატელევიზიო არხების კონცენტრირება და, შესაბამისად, არღვევდა კონსტიტუციის 21-ე მუხლს იმდენად, რამდენადაც არ ახდენდა საინფორმაციო რესურსების მრავალფეროვნების გარანტირებას. საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კანონმდებლობის არსებობა, რომელიც მოახდენდა დომინანტი პოზიციების შექმნის თავიდან აცილებას აუცილებელი მოთხოვნა გახლდათ სახელმწიფოს მიერ მაუწყებლობის სფეროში მონოპოლიის გასაუქმებლად. სექტორში ამგვარი დომინანტი პოზიციების შექმნა გამოიწვევდა არამართო კონკურენციის წესების შეცვლას, არამედ ასევე წარმოშობდა ოლიგოპოლიას და დაარღვევდა საინფორმაციო წყაროების მრავალფეროვნების ფუნდამენტურ პრინციპს. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფოს მიერ საკუთრებაში არსებული და კერძო კომპანიების თანაარსებობა (შერეული სისტემა) სამაუწყებლო სექტორში არ იყო საკმარისი რათა უზრუნველყო რამდენიმე კონკურენტული წყაროსაგან ინფორმაციის მიღების უფლების პატივისცემა. როგორც უკვე აღინიშნა კიდევ გადაწყვეტილებაში N. 826/1988, მან კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ სახელმწიფოს მიერ ფლობილი კომპანია თავისთავად ვერ უზრუნველყოფდა ბალანსს, რომელიც აუცილებდა კერძო სექტორში დომინანტური პოზიციის შექმნას.
55. 1995 წლის 11 ივნისს რეფერენდუმში იტალიის ელექტორატმა ხმათა უმრავლესობით (57%) უარი განაცხადა შესწორებულიყო არსებული კანონმდებლობა კერძო მეწარმისათვის ერთზე მეტი სატელევიზიო არხის კონტროლის აკრძალვის დაწესებით.

ვ. კანონი N. 249/1997

56. 1997 წლის 31 ივლისის კანონი N. 249, რომელიც ძალაში შევიდა 1998 წლის 1 აგვისტოს, დაფუძნდა "კმო" (*Autorità per le garanzie nelle comunicazioni*). მოცემული კანონის 2(6) მუხლი აწესებდა კონცენტრაციის შეზღუდვებს სატელევიზიო სამაუწყებლო სექტორში, კრძალავდა რა იგივე ოპერატორის მიერ ლიცენზიების

ფლობას, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა ეროვნულ დონეზე 20% ან მეტი პროცენტით სატელევიზიო არხების ოპერირება სახმელეთო სიხშირეებზე.

57. მუხი 3(1) აღნიშნავდა, რომ ოპერატორები უფლებამოსილნი იყვნენ განეხორციელებინათ მაუწყებლობა წინა სამართლებრივი რეგულირების ფარგლებში და განეგრძოთ გადაცემების მაუწყებლობა ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე მანამდე, სანამ ახალი ლიცენზიები გაიცემოდა ან მოხდებოდა ახალი ლიცენზიების მამიებლების უარყოფა, თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში საბოლოო ვადად განისაზღვრა 1998 წლის 30 აპრილი.
58. მუხლი 3(2) აღნიშნავდა, რომ "კმო"-ს ყველაზე გვიან, 1998 წლის 31 იანვრამდე უნდა მიეღო ეროვნული სიხშირეების განაწილების გეგმა სატელევიზიო მაუწყებლობისათვის, რომლის საფუძველზეც არაუგვიანეს 1998 წლის 30 აპრილისა გაიცემოდა ლიცენზიები.
59. 1998 წლის 30 ოქტომბრის N. 68 გადაწყვეტილებაში, "კმო"-მ მიიღო ეროვნული სიხშირეების განაწილების გეგმა; შემდეგ, 1998 წლის 1 დეკემბრის N. 78 გადაწყვეტილებით მან მიიღო დებულებები, რომლებიც არეგულირებდნენ ანალოგი სახმელეთო სატელევიზიო მაუწყებლობის ლიცენზირების პროცედურასა და გაცემის წესს.
60. კანონმა N. 249/1997, მუხლში 3(6) შემოიღო გარდამავალი გეგმა, რომლითაც მოქმედ ეროვნულ სატელევიზიო არხებს, რომლებიც აჭარბებდნენ 2(6) მუხლით განსაზღვრულ კონცენტრაციის შეზღუდვებს (ცნობილი როგორც "ქვოტის მიღმა არხები") მიეცათ უფლება დროებით განეგრძოთ მაუწყებლობა სახმელეთო სიხშირეებზე 1998 წლის 30 აპრილის შემდეგაც, იმ პირობით, რომ ისინი ემორჩილებოდნენ იმ ვალდებულებებს, რომელიც დადგენილი იყო ლიცენზიის მფლობელი არხებისათვის და რომ მათი პროგრამები თანადროულად გადაიცემოდა სატელიტით ან კაბელით.
61. კაბელისა თუ სატელიტური ტელევიზიის მაყურებელთა რეალური და მნიშვნელოვანი ზრდის გათვალისწინებით, კანონის 3(7) მუხლი "კმო"-ს აკისრებდა ვალდებულებას განესაზღვრა თარიღი, როდესაც ქვოტის მიღმა არხები დაიწყებდნენ მაუწყებლობას მხოლოდ სატელიტით ან კაბელით და შესაბამისად გაათავისუფლებდნენ სახმელეთო სიხშირეებს.

ზ. საკონსტიტუციო სასამართლოს N. 466/2002 გადაწყვეტილება

62. 2002 წლის 20 ნოემბერს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება კანონი N. 249/1997 3(7) მუხლთან დაკავშირებით. მან დაადგინა, რომ მოცემულ დებულებაში დადგენილი გარდამავალი პერიოდი მისაღები იყო იმის გათვალისწინებით, რომ იმ დროს, როდესაც მიღებული იქნა მოცემული კანონი იტალიაში ალტერნატიული მაუწყებლობის საშუალებები არ იყო კონკურენტული ტრადიციულ ანალოგ მაუწყებლობასთან შედარებით. შესაბამისად, არსებობდა

საჭიროება დადგენილიყო გარდამავალი პერიოდი, როდესაც მოხდებოდა ციფრული მაუწყებლობის განვითარების წახალისება. თუმცა, საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად სცნო გარდამავალი პერიოდის ამოწურვის კონკრეტული თარიღის დაუდგენლობა. "კმო"-ს N. 246/2001 გადაწყვეტილებაში მოცემული ტექნიკური დასკვნები, რომელიც გამომდინარეობდა რიგი საკაბელო და სატელიტური ტელევიზიების მყარებელთა კვლევიდან იტალიაში, მან დაადგინა, რომ მოცემული გარდამავალი პერიოდის ამოწურვისათვის გონივრული თარიღი იქნებოდა 2003 წლის 31 დეკემბერი.

კერძოდ კი, საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა შემდეგი:

"... ანალოგიურ რეჟიმში, ეროვნულ დონეზე მოქმედი ახლანდელი იტალიური კერძო სატელევიზიო სისტემა აღარ ხვდება მარტივ სიხშირეების *de facto* დაკავების ფარგლებში (როდესაც დანადგარების ოპერირება ხდება ლიცენზიისა და ნებართვების გარეშე) და აღარ წარმოადგენს სიხშირეების განაწილების პლურალიზმის ხელშეწყობასა და არ ასახავს სახმელეთო მაუწყებლობის ჯეროვან დაგეგმვას... მოცემული *de facto* ვითარება, შესაბამისად არ წარმოადგენს ინფორმაციის პლურალიზმის გარანტიას, რომელიც თავისთავად გახლავთ შესაბამისი საკონსტიტუციო სასამართლო პრაქტიკის "განუყოფელი მოთხოვნა" ... მოცემულ კონტექსტში, იმ ვითარების სიმწვავის (და სიმძმის) გათვალისწინებით, რომელიც თავისთავად უკანონოდ იქნა ცნობილი 420/1994 სასამართლო გადაწყვეტილებაში, ხოლო არხების ოპერირების გაგრძელება "ქვოტის მიღმა", როგორც ეს აღნიშნა კანონმდებელმა 1997 წელს, აუცილებელია დადგინდეს საბოლოო ვადა, რომელიც იქნება აბსოლუტურად ნათელი, კონკრეტული და შესაბამისად სავალდებულო, რათა უზრუნველყოფილ იქნას საკონსტიტუციო წესებთან შესაბამისობა..."

თ. კანონი N. 66/2001

63. 2001 წლის 23 იანვრის საკანონმდებლო დადგენილება N.5, რომელიც ცვლილებების შემდეგ შეიქნა კანონი N.66, დათარიღებული 2001 წლის 20 მარტით, უფლებამოსილებას ანიჭებდა ოპერატორებს, რომლებიც ახორციელებდნენ სატელევიზიო მაუწყებლობას სახმელეთო სიხშირეებზე, განეგრძოთ მაუწყებლობა მანამდე, სანამ არ მოხდებოდა ეროვნული სიხშირის განაწილების გეგმის იმპლემენტირება ციფრული ტელევიზიებისათვის.
64. მუხლი 1 აღნიშნავდა, რომ ოპერატორებს, რომლებიც ამჯერად არ ახორციელებდნენ მაუწყებლობას, მაგრამ ფლობდნენ ლიცენზიას, შეეძლოთ შეეძინათ სამაუწყებლო ინსტალაციები და კავშირები, რომელიც კანონიერ სარგებლობაში იყო საკანონმდებლო დადგენილების ძალაში შესვლის დროისათვის.
- მუხლი 2 *bis* აღნიშნავდა შემდეგს:

"იმისათვის რომ უზრუნველყოფილი იქნას ციფრული სახმელეთო სატელევიზიო ბაზრის გახსნა, ოპერატორებს, რომლებიც კანონიერად არიან ჩართულნი ციფრულ სატელევიზიო მაუწყებლობაში სატილიტისა თუ კაბელის საშუალებით, უფლება ენიჭებათ განაგრძონ საცდელი მაუწყებლობა იმ პროგრამების თანადროული განმეორებების საშუალებით, რომელთა გადაცემაც ხდება ანალოგ სიხშირეებზე."

ი. კანონი N. 43, 2004 წლის 24 თებერვალი და კანონი N. 112, 2004 წლის 3 მაისი

65. 2003 წლის 24 დეკემბრის N. 352 საკანონმდებლო დადგენილების 1 მუხლი, რომელიც ცვლილებების შემდეგ გახდა კანონი N. 43 2004 წლის 24 თებერვალი, ქვოტის მიღმა არხებს უფლებას ანიჭებდა განეგრძოთ ანალოგი და ციფრულ სატელევიზიო ქსელების მაუწყებლობა მანამდე, სანამ ხორციელდებოდა ციფრული სატელევიზიო არხების განვითარების კვლევა.
66. 2004 წლის 3 მაისის N. 112 კანონი (ცნობილი როგორც "გასპარის კანონი") აკონკრეტებდა სახმელეთო სიხშირეებზე ციფრული მაუწყებლობის გაშვების სხვადასხვა ეტაპს.
67. კანონის 23-ე მუხლი აღნიშნავდა შემდეგს:

"1. ციფრული ტელევიზიებისათვის ეროვნული სიხშირეების განაწილების გეგმის იმპლემენტაციამდე, ოპერატორები, რომლებიც ახორციელებენ სატელევიზიო სამაუწყებლო საქმიანობას ნებისმიერ საფუძველზე ეროვნულ თუ ადგილობრივ დონეზე, რომლებიც აკმაყოფილებენ იმ პირობებს რაც საჭიროა ციფრული სახმელეთო საცდელი მაუწყებლობის ნებართვის მისაღებად, N.5 (2001 წლის 23 იანვარი) საკანონმდებლო დადგენილების შესაბამისად, რომელიც, ცვლილების შემდეგ გარდაიქმნა კანონად N. 66 (2001 წლის 20 მარტი), უფლებამოსილია განახორციელოს საცდელი მაუწყებლობა, მათ შორის იმ პროგრამების თანადროული გამეორებით, რომელიც უკვე გადაცემულ იქნა ანალოგ სიხშირეებზე, მანამდე, სანამ არ დასრულდება ქსელების გადაყვანა და უფლებამოსილი არიან, მოცემული კანონის ძალაში შესვლის თარიღიდან, ... მიმართონ ციფრული სახმელეთო მაუწყებლობისათვის აუცილებელი ლიცენზიებისა და ნებართვების მისაღებად.

2. საცდელი ციფრული მაუწყებლობა შესაძლოა განხორციელდეს მოცემული კანონის ძალაში შესვლის თარიღისათვის იმ ინსტალაციების გამოყენებით, რომლებიც კანონიერად ახორციელებენ მაუწყებლობას ანალოგ სიხშირეებზე.

3. იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს ციფრული ქსელების შექმნა, ეროვნულ ან ადგილობრივ დონეზე კანონიერი სატელევიზიო მაუწყებლობის განმახორციელებელ ოპერატორებს შორის ნებადართულია ინსტალაციების ან ვალდებულებების გადაცემა იმ პირობით, რომ შექმნა გამიზნული იქნება ციფრული მაუწყებლობისათვის.

...

5. მოცემული კანონის ძალაში შესვლის თარიღიდან, სატელევიზიო არხის ოპერირების ლიცენზია გაიცემა მოთხოვნის საფუძველზე, იმ პირობებზე, რომლებიც კანონიერად არიან ჩართულნი სატელევიზიო მაუწყებლობაში (1) ქვე-პუნქტში აღნიშნული ლიცენზიისა თუ ზოგადი ნებართვის საფუძველზე, თუკი შეუძლიათ დაადასტურონ, რომ მოიცავენ მოსახლეობის ან ადილობრივი დაფარვის ზონის 50%.

...

9. ანალოგი სისტემების ციფრულ სისტემაზე გადასვლის ხელშესაწყობად, სატელევიზიო პროგრამების მაუწყებლობა უნდა განხორციელდეს იმ ინსტალაციების საშუალებით, რომლებიც კანონიერად ოპერირებენ მოცემული კანონის ძალაში შესვლის მომენტისათვის..."

68. "კმო"-მ მოიწონა სიხშირეების განაწილების "პირველი დონის" გეგმა ეროვნული და რაიონული არხებისათვის 2003 წლის 29 იანვარს, ხოლო "ინტეგრირებული გეგმა", რომელიც დაერთო "პირველი დონის გეგმას" და "მეორე დონის გეგმას" (სიხშირეების გაცემა ადგილობრივი არხებისათვის) კი დადასტურებულ იქნა 2003 წლის 12 ნოემბერს.

კ. სამოქალაქო კოდექსის მუხლი 2043

69. მოცემული მუხლი აღნიშნავს შემდეგს:

" ნებისმიერი უკანონო მოქმედება, რომლის საშუალებითაც ზიანი მიადგება მეორე მხარეს, დამნაშავეს აკისრებს პასუხისმგებლობას მიყენებულ ზიანზე სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძველზე."

III. შესაბამისი საერთაშორისო მასალა

ა. ევროპის საბჭოს დოკუმენტები

1. მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია N. რ(99) წევრ სახელმწიფოთა მიმართ მედია პლურალიზმის ხელშეწყობის საკითხებზე

70. მოცემული რეკომენდაციის შესაბამისი ნაწილები, მიღებული მინისტრთა კომიტეტის მიერ 1999 წლი 19 დეკემბერს, მინისტრთა მოადგილეების 656-ე შეხვედრაზე აღნიშნავს შემდეგს:

"მინისტრთა კომიტეტი ევროპის საბჭოს წესდების 15.ბ მუხლის პირობების თანახმად,

...

ამასთანავე ხაზს უსვამს , რომ მედია, კერძოდ კი საჯარო სერვისის სამაუწყებლო სექტორი, უნდა აძლევდეს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებსა და ინტერესებს - მათ შორის ლინგვისტურ, სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ თუ პოლიტიკურ უმცირესობებს - გამოხატონ საკუთარი თავი;

ხაზს ვუსვამთ, რომ ეროვნულ, რაიონულ და ადგილობრივ დონეზე არსებული ავტონომიური და დამოუკიდებელი მედიის მრავალფეროვნება ზოგადად ხელს უწყობს პლურალიზმსა და დემოკრატიას;

ვიხსენებთ რა, რომ მედიის სახეობებისა და შინაარსის პოლიტიკური და კულტურული მრავალფეროვნება ცენტრალურ ადგილს იკავებს მედია პლურალიზმში;

ხაზს ვუსვამთ, რომ სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ პოლიტიკურ და კულტურულ პლურალიზმს საკუთარი მედია პოლიტიკის განვითარებით ადამიანის უფლებთა კონვენციის მე-10 მუხლისა - რომელიც ახდენს გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლების გარანტირებას - და დამოუკიდებელი მედიის პრინციპების ჯეროვანი პატივისცემით;

...

ახალი საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და სერვისების სფეროში რიგი შემთხვევების გათვალისწინებით, მათ შორის ციფრული სატელევიზიო სერვისების პირობითი წვდომის კონტროლის საკითხებზე;

ასევე იმის გათვალისწინებით, რომ დომინანტური პოზიციების შექმნითა და მედია კონცენტრაცია შესაძლოა განვითარდეს ტექნოლოგიური კავშირით სამაუწყებლო, სატელეკომუნიკაციო და კომპიუტერულ სექტორს შორის;

...

დარწმუნებულნი, რომ გამჭვირვალება მედია საწარმოების, მათ შორის შინაარსისა და ახალი საკომუნიკაციო სერვისების პროვიდერების მომსახურების კონტროლის მხრივ, ხელს შეუწყობს პლურალისტური მედია სივრცის არსებობას;

...

მოვიხმობთ რა ტრანსსასაზღვრო ტელევიზიის ევროპული კონვენციის შემასწორებელი ოქმის დებულებებს მედია პლურალიზმთან დაკავშირებით;

ვითვალისწინებთ რა ევროპის კავშირისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაწეულ სამუშაოებს მედია კონცენტრაციებისა და პლურალიზმის სფეროში,

რეკომენდაციას ვაძლევთ წევრ სახელმწიფოების მთავრობებს, რომ:

ი. გაანალიზონ მოცემული რეკომენდაციის დანართში მოცემული ზომები და განიხილონ მათი ჩართვა საკუთარ ეროვნულ კანონმდებლობასა თუ პრაქტიკაში საჭიროების მიხედვით, მედია პლურალიზმის განვითარების მიზნებისათვის;

იი. რეგულარულად შეაფასონ მედია პლურალიზმისა და/ან კონცენტრაციის საწინააღმდეგო მექანიზმების ეფექტიანობა და განიხილონ მათი გადაფასების შესაძლო საჭიროება მედია სფეროში არსებული ეკონომიკური და ტექნოლოგიური განვითარებების გათვალისწინებით."

2. მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია რეკ(2003)9 წევრ სახელმწიფოებისადმი ციფრული მაუწყებლობის მხრიდან დემოკრატიული და სოციალური კონტრიბუციის ხელშეწყობის ზომების შესახებ

71. მოცემული რეკომენდაციის შესაბამისი ნაწილი, მიღებული მინისტრთა კომიტეტის მიერ 2003 წლის 28 მაისს მინისტრთა მოადგილეების 840-ე შეხვედრაზე აღნიშნავს შემდეგს:

"...

ვიხსენებთ რა, რომ დამოუკიდებელი და ავტონომიური მედიის მრავალფეროვნება, რომელიც იძლევა განსხვავებული იდეებისა და მოსაზრებების გამოხატვის საშუალებას, როგორც ეს აღნიშნული არის კიდევ გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლების 1982 წლის 29 აპრილის დეკლარაციაში, დიდი მნიშვნელობის მატარებელია დემოკრატიულ საზოგადოებებში;

გვახსოვს რა რეზოლუცია N. 1 საჯარო სერვისის მაუწყებლობის მომავალთან დაკავშირებით, მიღებული მასმედიის პოლიტიკისადმი მიძღვნილ ევროპის მინისტრთა კონფერენციაზე (პრავა, 7-8 დეკემბერი 1994) და ვიგონებთ რა

მის რეკომენდაციას N. რ(96)10 საჯარო სერვისის მაუწყებლობის დამოუკიდებლობის გარანტიის შესახებ;

ხაზს ვუსვამთ რა სამაუწყებლო მედიის, განსაკუთრებით კი საჯარო სერვისის მაუწყებლობის განსაკუთრებულ როლს თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებებში, რომელიც მიზნად ისახავს დემოკრატიულ საზოგადოებებში პოლიტიკური, სამართლებრივი და სოციალური სტრუქტურების ღირებულებების მხარდაჭერას, განსაკუთრებით კი ადამიანის უფლებების, კულტურისა და პოლიტიკური პლურალიზმის პატივისცემას;

...

აღვნიშნავთ რა, რომ ციფრული მაუწყებლობისას არხების სიმრავლის პარალელურად, კონცენტრაცია მედია სექტორში ჯერ ისევ იზრდება, განსაკუთრებით გლობალიზაციის კონტექსტში, და ვახსენებთ რა წევრ სახელმწიფოებს N. რ(99)1 რეკომენდაციაში მოცემულ პრინციპებს მედია პლურალიზმის ხელშესაწყობად, კერძოდ კი მედიის ფლობის წესებს, წვდომის პლატფორმებსა და მედია შინაარსის მრავალფეროვნებას;

...

რეკომენდაციას ვუწევთ წევრ სახელმწიფოების მთავრობებს დანართში გაწერილი პრინციპების გათვალისწინებით, რომ:

ა. შექმნან ციფრული მაუწყებლობის განვითარებისათვის ადექვატური სამართლებრივი და ეკონომიკური პირობები, რომლებიც მოახდენენ მაუწყებლობის სერვისების პლურალიზმის გარანტირებასა და გააუმჯობესებენ საზოგადოების წვდომას უფრო დიდი არჩევანით სხვადასხვა ხარისხიან პროგრამებზე, მათ შორის, შესაძლებლობის ფარგლებში არსებული ტრანსსასაზღვრო სერვისების გაფართოების გზითაც;

ბ. დაიცავს, და საჭიროების შემთხვევაში, მიიღებს პოზიტიურ ზომებს რათა დაიცვას და ხელი შეუწყოს მედია პლურალიზმს მზარდი კონცენტრაციის დროს სექტორის დაბალანსების მიზნით;

..."

3. მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec (2007)2 წევრი სახელმწიფოების მიმართ მედია პლურალიზმისა და მედიის შინაარსის მრავალფეროვნების შესახებ

72. მინისტრთა კომიტეტის მიერ 2007 წლის 31 იანვარს მინისტრთა მოადგილეების 985-ე შეხვედრაზე მიღებული რეკომენდაციის შესაბამისი ნაწილები აღნიშნავენ შემდეგს:

"...

ვიხსენებთ რა ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების კონვენციის მე-10 მუხლს (ETS N. 59), რომელიც იცავს გამოხატვის თავისუფლებასა და ინფორმაციისა და იდეების მიღებისა და გაცემის თავისუფლებას საჯარო ხელისუფლების ჩარევის გარეშე, საზღვრების მიუხედავად.

ვიხსენებთ რა გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლების დეკლარაციას, მიღებულს 1982 წლის 29 აპრილს, რომელიც ხაზს უსვამს ყველა სახის ინფორმაციის თავისუფალი დენისა და ფართო გავრცელების მნიშვნელობას საზღვრების მიუხედავად ხალხთა დაახლოებისა და ურთიერთის კულტურის გამრავალფეროვნებისათვის;

ვიხსენებთ რა რეკომენდაციას რეკ(2000)23 მარეგულირებელი ორგანოების დამოუკიდებლობისა და ფუნქციონირების შესახებ სამაუწყებლო სექტორში და მის განმარტებით მემორანდუმს, რომელიც ხაზს უსვამს სამაუწყებლო მარეგულირებლის პოლიტიკური, ფინანსური და ოპერაციული დამოუკიდებლობის მნიშვნელობას;

ვიხსენებთ რა იმ საშუალებებს რომელსაც გვთავაზობს ციფრული ტექნოლოგიები ისევე როგორც მათთან დაკავშირებულ პოტენციურ საფრთხეებს თანამედროვე საზოგადოებაში, როგორც ეს აღინიშნა კიდევ რეკომენდაციაში რეკ(2003)9 იმ ზომებთან დაკავშირებით, რომელიც ხელს შეუწყობს დემოკრატიულ და სოციალურ განვითარებას ციფრულ მაუწყებლობაში;

ვიხსენებთ რა რეკომენდაციას N. რ(99)1 მედია პლურალიზმის ხელშეწყობის ზომების შესახებ და რეკომენდაციას N. რ(94)13 მედია გამჭვირვალების ხელშეწყობის ზომების შესახებ, დებულებებს, რომელიც ერთობლივად უნდა ვრცელდებოდეს ყველა მედიაზე;

აღნიშნავთ რა, რომ რეკომენდაციების N. რ(99)1 და რ(94)13 მიღების შემდეგ ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან ტექნოლოგიურ განვითარებას, რომელიც წარმოშობს მოცემული დოკუმენტების გადახედვის საჭიროებას რათა მოხდეს მათი მისადაგება ევროპაში ამაჟამად არსებულ მედია სექტორზე;

...

კიდევ ერთხელ ვადასტურებთ რა, რომ მედია პლურალიზმი და მედიის შინაარსის მრავალფეროვნება წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების ფუნქციონირებისათვის აუცილებელ პირობას და გამომდინარეობს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებული გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლების ფუნდამენტური უფლებიდან;

ვითვალისწინებთ რა, რომ მოთხოვნები, რომელიც გამომდინარეობს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-10 მუხლიდან სრულად დაკმაყოფილებული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყოველ პირს მიეცემა საშუალება ჩამოაყალიბოს საკუთარი მოსაზრება სხვადასხვა ინფორმაციაზე დაყრდნობით;

ვალარებთ რა მედიის უმნიშვნელოვანეს როლს საჯარო განხილვის, პოლიტიკური პლურალიზმისა და სხვადასხვა მოსაზრებების შესახებ ინფორმაციის ფლობის განვითარებაში, განსაკუთრებით საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებისათვის - მათ შორის კულტურული, ლინგვისტური, ეთნიკური, რელიგიური ან სხვა უმცირესობების - ინფორმაციის მიღებისა და გაცემის, საკუთარი თავის გამოხატვისა და იდეათა გაცვლაში;

...

კიდევ ერთხელ ვადასტურებთ, იმისათვის რომ მოხდეს იდეათა და მოსაზრებათა ისევე როგორც კულტურული მრავალფეროვნების დაცვა და აქტიური ხელშეწყობა, წევრი სახელმწიფოები უნდა მოერგონ არსებულ მარეგულირებელ სისტემას, განსაკუთრებით კი მედიის ფლობის კუთხით, და მიიღონ ნებისმიერი მარეგულირებელი და ფინანსური ზომები რომელიც საჭირო იქნება მედიის გამჭვირვალებისა და სტრუქტურული პლურალიზმის, ისევე როგორც გადაცემული შინაარსის მრავალფეროვნების უზრუნველსაყოფად;

...

ვითვალისწინებთ რა, რომ ეროვნული მედია პოლიტიკა შესაძლოა ამასთანავე ორიენტირებული იყოს ეროვნულ მედია კომპანიებს შორის შეჯიბრებითობის დაცვაზე ბაზრის გლობალიზაციის კონტექსტში და რომ ტრანსნაციონალური მედია კონცენტრაციის ფენომენს შესაძლოა ჰქონდეს ნეგატიური გავლენა შინაარსის მრავალფეროვნებაზე,

წევრ სახელმწიფოთა მთავრობებს რეკომენდაციას აძლევს მასზედ, რომ:

- i. გაითვალისწინონ ეროვნულ კანონმდებლობასა თუ პრაქტიკაში ქვემოთმოცემული ზომების ინტეგრირება;
- ii. ეროვნულ დონეზე რეგულარულად შეაფასონ მედია პლურალიზმისა და შინაარსის მრავალფეროვნების ხელშეწყობისადმი მიმართული არსებული მედია ზომების ეფექტიანობა, და განიხილონ მათი გადახედვის შესაძლებლობა მედიაში ეკონომიკური, ტექნოლოგიური და სოციალური განვითარებების გათვალისწინებით;
- iii. გაცვალონ ინფორმაცია მედიის სტრუქტურის, ეროვნული კანონმდებლობისა და კვლევების მხრივ კონცენტრაციისა და მედიის მრავალფეროვნების საკითხებზე;

რეკომენდირებული ზომები

I. მედიის სტრუქტურული პლურალიზმის ზომები

1. ზოგადი პრინციპები

1.1 წევრი სახელმწიფოები უნდა ეცადონ უზრუნველყონ საზოგადოება მედიაში როგორც კერძო, ისე საჯარო მაუწყებლების მრავალფეროვნებით სხვადასხვა მესაკუთრის მიერ ფლობის პირობებში, ამავედროულად მედია ბაზრის მახასიათებლების, განსაკუთრებით კი კონკრეტული კომერციული და კონკურენციის ასპექტების გათვალისწინებით.

1.2. იმ შემთხვევებში, როდესაც მედია სექტორში ზოგადი კონკურენციის წესები და წვდომის რეგულაცია არ არის საკმარისი კულტურული მრავალფეროვნების მოთხოვნებისა და იდეებისა და მოსაზრებების პლურალისტული გამოხატვის დასაცავად, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ კონკრეტული ზომები.

...

1.4. მარეგულირებელი გარემოს ადაპტირებისას, წევრმა სახელმწიფოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ეფექტიან და აშკარა დაყოფას პოლიტიკური ხელისუფლების განხორციელებასა და გავლენასა და კონტროლს შორის მედიაზე, ისევე როგორც მედიის შინაარსთან მიმართებაში გადაწყვეტილების მიღების პროცესზე.

...

4. პლურალიზმსა და მრავალფეროვნებაზე სხვა მედიის კონტრიბუცია

წევრმა სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ სხვა მედიის განვითარებას, რომელიც შეძლებს პლურალიზმისა და მრავალფეროვნების, ისევე როგორც დიალოგისათვის ხელშეწყობას. მოცემული მედია, შესაძლოა, მაგალითად, წარმოადგენდეს თემის, ადგილობრივ, უმცირესობის ან სოციალურ მედია საშუალებას. ...

II. შინაარსის მრავალფეროვნების ხელშეწყობი ზომები

...

3. სამაუწყებლო ლიცენზიის გაცემა და "მასთ ქერი/მასთ ოფერ" წესები

3.1 წევრმა სახელმწიფოებმა უნდა განიხილონ იმგვარი ზომების მიღება, რომელიც ხელს შეუწყობს და დააკვირდება მედია ორგანიზაციების მიერ სხვადასხვა შინაარსის შექმნასა და მიწოდებას. სამაუწყებლო სექტორთან დაკავშირებით ამგვარი ზომები შესაძლოა მოიცავდეს მაუწყებლის მიერ წარმოებულ ან დაკვეთილ, სამაუწყებლო ლიცენზიაში გარკვეული რაოდენობის ორიგინალი პროგრამების ჩართვას, განსაკუთრებით ახალი ამბებისა და მიმდინარე მოვლენების გაშუქებისას.

3.2 წევრმა სახელმწიფოებმა უნდა განიხილონ ისეთი წესების შემოღება, რომელიც მიმართული იქნება პლურალისტული ადგილობრივი მედიის შენარჩუნებისაკენ და რომელიც უზრუნველყოფს რომ სინდიკაციამ - გადაცემებისა და დაკავშირებული სერვისების ცენტრალური გაშუქებამ - არ შეუქმნას საფრთხე პლურალიზმს.

3.3. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ საჭიროების შემთხვევაში, სხვა არასაკაბელო ქსელების დისტრიბუციის საშუალებებისა და გაშუქების პლატფორმებისათვის უნდა მიიღონ "მასთ ქერი" წესები. ამასთანავე, გაციფრულების პროცესის შედეგად - განსაკუთრებით ქსელების გაზრდილი საშუალებებისა და სხვადასხვა ქსელების პროლიფერაციის გათვალისწინებით - წევრმა სახელმწიფოებმა პერიოდულად უნდა განიხილონ საკუთარი "მასთ ქერი" წესები, რათა უზრუნველყონ კარგად განმარტებული ზოგადი ინტერესის მიზნების დაკმაყოფილება. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა განიხილონ "მასთ ოფერის" ვალდებულების საჭიროება "მასთ ქერი" წესებთან ერთად რათა წახალისონ საჯარო სერვისის მედია და მთავარი კომერციული მედია კომპანიები ხელმისაწვდომი გახადონ მათი არხები იმ ქსელის ოპერატორებისათვის, რომელთაც სურთ მათი ტრანსლირება. ნებისმიერმა ზომამ, რომელიც გამომდინარეობს ყოველივე აღნიშნული მოქმედებებიდან უნდა გაითვალისწინოს საავტორო უფლებებისაგან გამომდინარე ვალდებულებები."

4. საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია 1387 (2004) იტალიაში ელექტრონული მედიის მონოპოლიზაციისა და უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების შესახებ

73. 2004 წლის 24 ივნისს საპარლამენტო ასამბლეის მიერ მიღებული მოცემული რეზოლუცია აღნიშნავს შემდეგს:

"1. იტალია გახლავთ ევროპის საბჭოს დამფუძნებელი წევრი, რომელიც მხარს უჭერს იმ იდეალებს, რომელსაც ემყარება მოცემული ორგანიზაცია. ამიტომ საპარლამენტო ასამბლეა შეშფოთებულია ერთი პირის - პრემიერ-მინისტრ სილვიო ბერლუსკონის - ხელში პოლიტიკური, კომერციული და მედია ძალაუფლების კონცენტრაციის გამო.

2. საპარლამენტო ასამბლეა ვერ გაიზიარებს ხედვას, რომ მოცემული ანომალია მხოლოდ პოტენციურ პრობლემას წარმოადგენს. დემოკრატია ფასდება არამხოლოდ მისი ყოველდღიური საქმიანობით, არამედ იმ პრინციპებითაც, რომელსაც ქვეყანა ახორციელებს როგორც მისი საკუთარი მოქალაქეების წინაშე, ისე საერთაშორისოდ. ასამბლეა იხსენებს, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის მე-10 მუხლის მიხედვითა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, სახელმწიფოებს ეკისრებათ დაცვის და, საჭიროების შემთხვევაში, პოზიტიური ზომების მიღების ვალდებულება რათა დაიცვან და ხელი შეუწყონ მედია პლურალიზმს.

3. ასამბლეა წუხილით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ 1994 წლიდან მოყოლებული იტალიის უკვე რამდენიმე მთავრობამ ზედიზედ ვერ მოაგვარა ინტერესთა კონფლიქტის საკითხები და ამჟამინდელი პარლამენტის მიერ ჯერ ისევ არ არის მიღებული შესაბამისი კანონმდებლობა. ასამბლეა ვერ იზიარებს ხედვას, რომლის მიხედვითაც ამჟამად განხილული "ფრატინის ბილის" წამყვანი პრინციპები - მხოლოდ მმართველები და არა მესაკუთრეები უნდა იყვნენ პასუხისმგებლები - წარმოადგენს ჯეროვან და ყოვლისმომცველ გამოსავალს ბ-ნ ბერლუსკონისთან დაკავშირებულ ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში.

4. "მედიასექტის" - იტალიის მთავარი კომერციული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის და მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ჯგუფის - საშუალებით ბ-ნი ბერლუსკონი ფლობს ეროვნულ ტერიტორიაზე მაუწყებლობის განმახორციელებლების დაახლოებით ნახევარს. მისი, როგორც მთავრობის ხელმძღვანელის როლი აყენებს მას ისეთ ვითარებაში, როდესაც მას შეუძლია არაპირდაპირ გავლენა მოახდინოს საჯარო სამაუწყებლო ორგანიზაცია "რაი"-ზე, რომელიც გახლავთ "მედიასექტ"-ის მთავარი კონკურენტი. იმის გათვალისწინებით, რომ "მედიასექტი" და "რაი" ერთობლიობაში ფლობენ სატელევიზიო აუდიენციის დახლოებით 90% და სექტორში არსებული რესურსების სამ მეოთხედზე მეტს, ბ-ნი ბერლუსკონი ახორციელებს უპრეცედენტო კონტროლს იტალიაში ყველაზე ძლევამოსილ მედიაზე.

5. სატელევიზიო ბაზარზე არსებული მოცემული დუოპოლია თავისთავად ანომალიას წარმოადგენს ანტიმონოპოლიის გადასახედიდან. სტატუს ქვო შენარჩუნებული გახლავთ მიუხედავად იმისა, რომ სამართლებრივი დებულებანი, რომელიც გავლენას

ახდენს მედია პლურალიზმს უკვე ორჯერ იქნა ცნობილი არაკონსტიტუციურად და შესაბამისმა ხელისუფლებამ დაადგინა "რაისა" და "მედიასეტის" სამი სატელევიზიო არხის დომინანტური პოზიცია. მოცემული ვითარების ილუსტრაციას წარმოადგენს პრემიერ-მინისტრის ბოლოდროინდელი დადგენილება, მხარდაჭერილი პარლამენტის მიერ, რომელმაც "რაის" მესამე არხს და "მედიასეტის" რეტეკუატროს მისცა საშუალება, ახალი კანონმდებლობის მიღებამდე განეგრძოთ ოპერირება მოქმედი ანტიმონოპოლიური ზღვრების დარღვევით. კონკურენცია მედია სექტორში კიდევ უფრო დაირღვა იმ ფაქტით, რომ "მედიასეტის" სარეკლამო კომპანია "პუბლიტალია'80" ფლობს დომინანტურ მდგომარეობას სატელევიზიო რეკლამირების სფეროში. ასამბლეა გმობს 1999 წელს მთავრობის მიერ ჩატარებული "მედიასეტის" არხის რეტეკუატროს მიერ დაკავებული სამაუწყებლო სიხშირეების ტენდერის გამარჯვებულის, პოტენციური ეროვნული მაუწყებლის Europa 7 გარიყვას.

6. ასამბლეას მიიჩნევს, რომ სამაუწყებლო სექტორის რეფორმირების შესახებ ახლად მიღებული "გასპარის კანონი" ეფექტიანად ვერ მოახდენს პლურალიზმის გარანტირებას გაციფრულების შედეგად სატელევიზიო არხების რაოდენობის გაზრდის გზით. ამავდროულად, იგი აშკარად აძლევს საშუალებას "მედიასეტს" კიდევ უფრო განვითარდეს, რადგან ბაზრის მოთამაშეებს აძლევს საშუალებას დაამყარონ მონოპოლია კომუნიკაციების ზოგად ინტეგრირებულ სისტემაში ("კის") ანტიმონოპოლიური ლიმიტის მიღწევის გარეშეც კი. ასამბლეა აღნიშნავს, რომ მოცემული წუხილის გამო, რესპუბლიკის პრეზიდენტი დაუპირისპირდა კანონის წინა ვერსიას.

7. ასამბლეა განსაკუთრებით წუხს "რაი"-ს ვითარების გამო, რომელიც ეწინააღმდეგება საჯარო სერვისის მაუწყებლების შესახებ ასამბლეის 1641 (2004) რეკომენდაციაში გაწერილ დამოუკიდებლობის პრინციპს. "რაი" ყოველთვის იყო ქვეყანაში არსებული პოლიტიკური სისტემის სარკე და მისი შიდა პლურალიზმი წარსულში დომინანტური პოლიტიკური იდეოლოგიების პროპორციული წარმომადგენლობიდან შეიცვალა "ყველაფერი მოგებულს" დამოკიდებულებით, რომელიც ასახავს კიდევ ამჟამინდელ პოლიტიკურ სიტემას. ასამბლეა წუხილით აღნიშნავს ადმინისტრაციის საბჭოში ბალანსირებული პოლიტიკური წარმომადგენლობის არარსებობისა და "რაის" პროგრამირებაზე პოლიტიკური გავლენისადმი პროტესტის ნიშნად "რაის" პრეზიდენტისა და ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ჟურნალისტის გადადგომას.

8. მაშინ როდესაც სამაუწყებლო სექტორთან შედარებით ტრადიციულად, ბეჭდური მედია იტალიაში უფრო მეტ პლურალიზმსა და პოლიტიკურ ბალანსს გვთავაზობს, იტალიელთა უმრავლესობა ახალ ამბებს ტელევიზიით იტყობს. გაზეთის რეკლამის მაღალი ფასი, სატელევიზიო რეკლამასთან შედარებით გამანადგურებელ გავლენას ახდენს იტალიურ ბეჭდურ მედიაზე. თუმცა, ასამბლეას სურს ხაზი გაუსვას მის მოწონებას მთავრობის მიერ პატარა და საშუალო ზომის გაზეთების მხარდაჭერისა და

სხვა ზომების განხორციელების გამო, ვინაიდან მოცემული ზომები მიზნად ისახავს გაზეთის მკითხველთა რაოდენობის ზრდის ხელშეწყობას.

9. ასამბლეა უკიდურესად შემფოთებულია იმ ნეგატიური იმიჯის გამო, რომელიც უკავშირდება ბ-ნი ბერლუსკონის ინტერესთა კონფლიქტსა და მისგან გამომდინარე იტალიის ნეგატიურ აღქმას საერთაშორისო ასპარეზზე, მიიჩნევს რა, რომ აღნიშნულმა შესაძლოა დააბრკოლოს ევროპის საბჭოს მცდელობები, რომელიც მიზნად ისახავს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მედიის ხელშეწყობას ახალ დემოკრატიებში. იგი მიიჩნევს, რომ იტალია, როგორც ორგანიზაციის ფუნქციონირების ერთ-ერთი უძლიერესი კონტრიბუტორი, რიგ ვალდებულებებს ფლობს ამ მხრივ.

10. ასამბლემ აღნიშნა, რომ რამდენიმე საერთაშორისო ორგანომ, მათ შორის ეუთოს მედიის თავისუფლების წარმომადგენელმა და, ახლხან, ევროპის პარლამენტმა გამოხატეს ანალოგიური წუხილი. ასამბლეა მიესალმება მედია პლურალიზმის დაცვის ზომებს ევროპის პარლამენტის მიერ შემოთავაზებულ, ევროპის კავშირში და განსაკუთრებით იტალიაში გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლების დარღვევის საფრთხეების შესახებ 2004 წლის 22 აპრილის რეზოლუციას (ფუნდამენტური უფლებების ქარტია, მუხლი 11(2)), განსაკუთრებით კი მედიის მრავალფეროვნების დაცვის პრიორიტეტულობის შესახებ ევროპის კავშირის შეჯიბრებითობის კანონის ფარგლებში.

11. ასამბლეა, შესაბამისად, მოუწოდებს იტალიის პარლამენტს განახორციელოს შემდეგი ქმედებები:

- i. დაუყოვბლად მიიღოს კანონი, რომელიც დაარეგულირებს ინტერესთა კონფლიქტს კომპანიების მესაკუთრეთა და მაკონტროლებელს შორის და განახორციელებს დაკისრებულ ვალდებულებებს, და ჩამოაყალიბებს სასჯელებს იმ შემთხვევებისათვის, სადაც ადგილი აქვს ინტერესთა კონფლიქტს სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულებასთან უმაღლეს ეშელონში;
- ii. უზრუნველყოფს საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელი ზომების მიღებას რათა დაასრულოს ხანგრძლივი პრაქტიკა მედიაში პოლიტიკური ჩარევისა, გაითვალისწინებს რა, განსაკუთრებით მინისტრთა კომიტეტის დეკლარაციას მედიაში პოლიტიკური დებატის თავისუფლების შესახებ, მიღებულს 2004 წლის 12 თებერვალს;
- iii. შეასწოროს "გასპარის კანონი" და მოიყვანოს შესაბამისობაში მინისტრთა კომიტეტის N. რ(99)1 რეკომენდაციასთან, მედია პლურალიზმის ხელშეწყობის ზომებთან დაკავშირებით, კერძოდ:
 - a) "კის"-ში შესაბამის ბაზრებში დომინანტური პოზიციების წარმოქმნის თავიდან აცილებით;
 - b) კონკრეტული ზომების მიღებით, რომელიც მიზნად ისახავს "რაი-მედიასეტ" დუოპოლიის დასრულებას;

- c) კონკრეტული ზომების მიღებით, რათა გაციფრულებით უზრუნველყოფილ იქნას შინარსის პლურალიზმის მიღწევა.

12. ასამბლეა მოუწოდებს იტალიის მთავრობას:

- i. მიიღოს ზომები, რომლებიც შესაბამისობაში მოიყვანენ "რაი"-ს საქმიანობას საჯარო სერვისის მაუწყებლობის შესახებ ასამბლეის N. 1641 რეკომენდაციასთან (2004) , ისევე როგორც მას მედიის პოლიტიკის შესახებ პრალაში გამართულ მე-4 ევროპულ მინისტრიალის კონფერენციაზე მიღებულ დეკლარაციასთან და მინისტრთა კომიტეტის N. 9(96)10 რეკომენდაციასთან საჯარო სერვისის მაუწყებლობის დამოუკიდებლობის გარანტიების შესახებ და დემოკრატიისა და ციფრული მაუწყებლობის სოციალური კონტრიბუციის ხელშეწყობის შესახებ N. რეკ(2003)9 რეკომენდაციასთან;
- ii. მისცეს პოზიტიური საერთაშორისო მაგალითი ევროპის საბჭოსა და ევროპის კავშირში, ევროპის დონეზე გაზრდილი მედია პლურალიზმის ხელშეწყობის შესახებ ინიციატივების შეთავაზებისა და მხარდაჭერით;

13. ასამბლეა თხოვს ვენეციის კომისიას წარმოადგინოს მოსაზრება "გასპარის კანონისა" და "ფრატინის ბილის" შესაბამისობის შესახებ ევროპის საბჭოს სტანდარტებთან გამომხატვის თავისუფლებისა და მედია პლურალიზმის საკითხებში, განსაკუთრებით კი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის გათვალისწინებით".

5. ვენეციის კომისიის მოსაზრება "გასპარის კანონისა" და "ფრატინის ბილის" შესაბამისობის შესახებ ევროპის საბჭოს სტანდარტებთან გამომხატვის თავისუფლებისა და მედია პლურალიზმის საკითხებში.

74. ვენეციის კომისიის მოსაზრება, მიღებული 63-ე პლენარულ სესიაზე (2005 წლის 10-11 ივნისი) მოცემული საქმისათვის მნიშვნელოვან ასპექტებში აღნიშნავს შემდეგს:

" ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ მიმართა თხოვნით ვენეციის კომისიას წარმოადგინო მოსაზრება მასზედ, თუ რამდენად შესაბამისობაში გახლდათ ორი იტალიური კანონი სამაუწყებლო სისტემის შესახებ ("გასპარის კანონი") და ინტერესთა კონფლიქტის შესახებ ("ფრატინის კანონი") გამომხატვის თავისუფლებისა და მედია პლურალიზმის სფეროში ევროპის საბჭოს დადგენილ სტანდარტებთან.

...

მაშინ, როდესაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არ აწესებს კონკრეტულ მიმართულებებს მოცემულ საკითხზე, მისი სასამართლო პრაქტიკიდან მაინც შესაძლებელია რიგი სახელმძღვანელო პრინციპების გამოტანა: *in primis*, რომ გამოხატვის თავისუფლებას აკისრია ფუნდამენტური როლი დემოკრატიულ საზოგადოებაში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პრესის მეშვეობით იგი წარმოადგენს ზოგადი ინტერესის მომცველი ინფორმაციისა და იდეების გავრცელების საშუალებას, რომლის მიღების უფლებაც გააჩნია საზოგადოებას, და რომ სახელმწიფო გახლავთ პლურალიზმის უპირველესი განარტორი, განსაკუთრებით კი აუდიო-ვიზუალური მედიის მხრივ, რომელთა პროგრამებიც ხშირად ფართო მასშტაბით გადაიცემა.

მედია პლურალიზმი მიიღწევა როდესაც არსებობს ავტონომიური და დამოუკიდებელი მედიის მრავალფეროვნება ეროვნულ, რაიონულ და ადგილობრივ დონეზე, რითიც ხდება მედია შინაარსის უზრუნველყოფა სხვადასხვა პოლიტიკურ და კულტურულ ხედვებზე. კომისიის აზრით შიდა პლურალიზმი ყოველ მედია სექტორში მიღწეულ უნდა იქნას თანადროულად: მიუღებელი იქნებოდა მაგალითად, პლურალიზმის გარანტირება ბეჭდვით მედია სექტორში, მაგრამ არა ტელევიზიაში. მედიის პლურალიზმი არ გულისხმობს, კომისიის აზრით, მხოლოდ მაუწყებლებისა და ტელევიზიების არსებობას, არამედ მოიცავს მედიის ფართო სპექტრის არსებობას, ანუ, სხვადასხვა ტიპის მედიის არსებობას.

მედია პლურალიზმის ხელშემწყობი ევროპის საბჭოს ინსტრუმენტები მოიცავს შემდეგს:

- საკანონმდებლო რეგულირება, რომლითაც წესდება ლიმიტი მედია კონცენტრაციაზე; მის მისაღწევად დადგენილი ინსტრუმენტები მოიცავს ნებადართული ზღვარის დაწესებას (რომელიც იზომება ერთი ან რამდენიმე ელემენტის ერთობით, მაგალითად მაყურებლის წილობრივი ხვედრი ან სააქციო კაპიტალი ან შემოსავლის ლიმიტები), სადაც ერთ მედია კომპანიას ნება ეძლევა აკონტროლოს ერთი ან მეტი შესაბამისი ბაზარი;
- კონკრეტული მედია მარეგულირებელი ორგანოები, რომელთაც გააჩნიათ უფლებამოსილება იმოქმედონ კონცენტრაციის წინააღმდეგ;
- ვერტიკალური ინტეგრაციის საწინააღმდეგო კონკრეტული ზომები (ერთო კომპანიის ან ჯგუფის ფარგლებში წარმოების, მაუწყებლობის, გავრცელებისა და მასთან დაკავშირებული საქმიანობების მთავარი ელემენტების კონტროლი);
- მარეგულირებელი ორგანოების დამოუკიდებლობა;
- მედიის გამჭვირვალება;
- განსხვავებული შინაარსის წარმოებისა და მაუწყებლობის ხელშეწყობის პროაქტიური ზომების მიღება;

- ობიექტური და არა პარტიზანული კრიტერიუმების საფუძველზე, გამჭვირვალე პროცედურის ფარგლებში, დამოუკიდებელ კონტროლს დაქვემდებარებული, პირდაპირი ან არაპირდაპირი ფინანსური დახმარებით პლურალიზმის გაზრდა:

- თვითმარეგულირებელი ინსტრუმენტებით, მათ შორის სარედაქციო სახელმძღვანელო პრინციპებითა და წესდებებით, სარედაქციო დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა;

რაც შეეხება "გასპარის კანონის" დებულებებს, რომელიც მიზნად ისახავს მედია პლურალიზმის დაცვას, კომისია მიიჩნევს თავიდანვე, რომ არხების რაოდენობის ზრდა, რაც გამოწვეული იქნება ციფრული ტელევიზიის დამკვიდრებით, არ არის საკმარისი თავისთავად მედია პლურალიზმისათვის. ახალ არხებს შესაძლოა ჰყავდეს მცირე მაყურებელი, თუმცა იგივე შედეგით. დაბოლოს, უფრო დიდი კომპანიები ისარგებლებენ უფრო ფართო შესყიდვის საშუალებით, მაგალითად გადაცემების შეძენით, და შესაბამისად ისარგებლებენ მნიშვნელოვანი უპირატესობით ეროვნული შინაარსის პროვაიდერებთან შედარებით.

კომისია მიიჩნევს, რომ არხების ოც პროცენტის ზღვარი არ არის ბაზარზე ხვედრითი წილის ნათელი ინდიკატორი. იგი კომბინირებულ უნდა იქნას, მაგალითად, მაყურებლის ხვედრითი წილის ინდიკატორთან.

რაც შეეხება "გასპარის კანონის" მიერ დაწესებულ მეორე ზღვარს, რომელიც გახლავთ კომუნიკაციების ინტეგრირებული სისტემების ("კის") შემოსავალი, კომისია მიიჩნევს, რომ "კის" ნამდვილად ასახავს თანამედროვე მიმართულებას, თუმცა უკვე ამ ეტაპზე არ უნდა იქნას გამოყენებული, ფართო მნიშვნელობით მაინც, როგორც "შესაბამისი ბაზრის" კრიტერიუმის ჩამანაცვლებელი, რადგანაც იგი შედეგად იწვევს პლურალიზმის დაცვის ინსტრუმენტების ეფექტიანობის შესუსტებას. მართლაც, მისი საშუალებით ინდივიდუალურ კომპანიას შესაძლოა მიეცეს საშუალება ისარგებლოს ძალიან მაღალი საშემოსავლო ხვედრითი წილით ინდივიდუალურ ბაზრებზე, და ამავდროულად მაინც არ მიაღწიოს მთლიანი სექტორის 20% ზღვარს.

მართლაც, კომისია აღნიშნავს, რომ "გასპარის კანონით" დადგენილი ახალი რეგულირება უფრო ლმობიერია წინათ მოქმედი კონცენტრაციის საწინააღმდეგო წესებთან შედარებით, რომელთა მაქსიმალური ნებადართული დონეებიც გადაჭარბებულ იქნა "მედიასეტისა" და "რარის" მიერ. რეტეკუატროს შესაბამისად მიეცა უფლება განეგრძო ანალოგი სიხშირის დაკავება.

კომისია მიიჩნევს, შესაბამისად, რომ "ზის" კრიტერიუმი ჩანაცვლებულ უნდა იქნას წინარედ მოქმედი "შესაბამისი ბაზრის" კრიტერიუმით, როგორც ეს ხდება სხვა ევროპულ ქვეყნებში.

...

რაც შეეხება რადიო და სატელევიზიო მაუწყებლობის გადასვლას ანალოგიდან ციფრულ სიხშირეებზე, კომისიას ექმნება შთაბეჭდილება, რომ "გასპარის კანონი" თავს იკავებს მიიღოს ზომები, რომელიც შედეგად მოიძებს ჯეროვან გამოსავალს სატელევიზიო ბაზარზე მედია კონცენტრაციის პრობლემის მოსაგვარებლად და დიდწილად არის დამოკიდებული იმ მომენტზე, როდესაც მოხდება სრული გაციფრულება. კომისიის აზრით, მოცემული მიდგომა არადაამკმაყოფილებელია, რადგანაც თუკი ადგილი ექნება *status quo*-ს შენარჩუნებას, დიდია ალბათობა, რომ "მედიასეტი" და "რაი" დარჩებიან დომინანტ მოთამაშეებად იტალიის სატელევიზიო სფეროში. ამ მხრივ, კომისია აღნიშნავს, რომ მაშინ როდესაც ზოგადი ანტი-მონოპოლიური ზომები მიიღება დომინანტური პოზიციების *ბოროტად გამოყენების* წინააღმდეგ, მედია სექტორში დომინანტური პოზიციების არსებობა *როგორც ასეთი იკრძალება*.

...

რაც შეეხება "რაის" პრივატიზაციას, რომელმაც წესით უნად გამოიწვიოს საჯარო მაუწყებლის ნაკლები ხარისხით პოლიტიზირება, კომისია აღნიშნავს, რომ "რაიში" მიმდინარე ცვლილებები მთავრობას მისცემს განუსაზღვრელი ვადით საჯარო მაუწყებელზე კონტროლის განხორციელების საშუალებას. მანამდე, სანამ მოქმედი მთავრობა იარსებებს, აღნიშნული იგულისხმებს, რომ მისი საკუთარი სამი სატელევიზიო ეროვნული არხის კონტროლან ერთად, პრემიერ - მინისტრს ექნება კონტროლი სამ საჯარო ეროვნულ სატელევიზიო არხზეც. კომისია გამოხატავს წუხილს იმ საფრთხის გამო რასაც იწვევს არსებული ატიპიური ვითარება, რომელმაც შესაძლოა გააძლიეროს მონოპოლიზაციის საფრთხე, რაც, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, შესაძლოა განხილულ იქნას გამოხატვის თავისუფლებაში გაუმართლებელ ჩარევად.

..."

6. *"მედია პლურალიზმისა და ადამიანის უფლებების შესახებ" ადამიანის უფლებათა კომისიის სადისკუსიო ბარათი*

75. ადამიანის უფლებათა კომისრის 2011 წლის 6 დეკემბრის სადისკუსიო ბარათი მოცემული საქმისათვის მნიშვნელოვან მონაკვეთებში აღნიშნავს შემდეგს:

"3.2. იტალიის შემთხვევა

ე.წ. იტალიის ანომალიის ისტორია ასახავს თუ რამდენად დიდი საფრთხე შეიძლება შეუქმნას მაუწყებლობის მონოპოლიზაციამ ძველ დემოკრატიასაც კი.

გამოხატვის თავისუფლება და პრესის თავისუფლება ჯეროვანია იტალიაში, თუმცა, სატელევიზიო სამაუწყებლო ბაზარი რეგულარულად მოიხსენიება როგორც "იტალიური ანომალია".

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში, ე.წ. დუოპოლია ვერ შეიზღუდა მესამე ძალით: ეროვნულ დონეზე სატელევიზიო არხის ბაზრის დომინანცია კერძო მესაკუთრის, "მედიასეტისა" და საჯარო მესაკუთრის "რადიოტელევიზიონე იტალიანა, რაის" მიერ. დუოპოლიას თან ახლდა "მედიასეტის" პრაქტიკული მონოპოლია კომერციულ სატელევიზიო სექტორსა და სარეკლამო ბაზარზე. გაციფრულებამდე, დუოპოლიის მაყურებლის წილი შეადგენდა დაახლოებით 90% (ორივე ფლობდა სამ არხს). საერთო შემოსავლები და რეკლამის ბაზარი ასევე წარმოადგენდა დუოპოლიზმის მტკიცებულებას.

იტალიას ასევე გააჩნია გამოცდილება საჯარო სერვისის მაუწყებლის პოლიტიკური პარტიებისა და მთავრობების მიერ კონტროლის მხრითაც. იმის გამო, რომ ქვეყნის პრემიერ-მინისტრი სილვიო ბერლუსკონი გახლავთ "მედიასეტის" თანამესაკურე, "რაიზე" მთავრობის მიერ კონტროლის განხორციელების ზოგადი შიში კიდევ უფრო მძიმდება მთავრობის ფართო კონტროლით ქვეყნის ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაციის წყაროს, ტელევიზიის მიმართ.

2004 წელს მიღებული "გასპარისა" და "ფრატინის" კანონები გამიზნული იყო მედიის მომავალი პლურალიზმის უზრუნველსაყოფად და "ორგვარი" სიტუაციების თავიდან ასაცილებლად. თუმცა, არც უნივერსალურ გაციფრულებასა და არც არასწორი კონკურენციის წესებს არ ძალუძთ კულტურული მრავალფეროვნებისა და პოლიტიკური პლურალიზმის უზრუნველყოფა მედიაში, განსაკუთრებით თუკი უკვე არსებული მედია კონცენტრაცია პრაქტიკულად შენარჩუნებულია ან კიდევ უფრო გაძლიერებულია კანონის მიერ. "გასპარის კანონის" წესები ანალოგიდან ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის შესახებ, მიუხედავად მათი ინოვაციური ბუნებისა, აძლევს დუოპოლიას არსებული ეკონომიკური სიძლიერის გამოყენების საშუალებას ახალ ციფრულ ბაზარზე გასავრცელებლად.

ევროპული სტანდარტები კრძალავენ კერძო მაუწყებლობის არაჯეროვან პოლიტიკურ თუ პარტიზანულ ფლობას ან კონტროლს, რათა თავიდან იქნეს აცილებული სამთავრობო ან პოლიტიკური ჩარევა. გერმანია და გაერთიანებული სამეფო აწესებენ შეზღუდვებს სამაუწყებლო მედიის პირდაპირ ფლობას ან კონტროლს პოლიტიკური მოთამაშეების მიერ; ევროკავშირის ქვეყნებიც ითხოვენ მაუწყებლებისაგან დამოუკიდებლობის შენარჩუნებას პოლიტიკური პარტიებისა და პოლიტიკოსებისაგან. თუმცა, იტალია, მიუხედავად "ფრატინის კანონისა" არც ერთ მოთხოვნას არ ემორჩილება."

ბ. ევროპის პარლამენტი

76. ევროპის პარლამენტის რეზოლუცია ევროპის კავშირში და განსაკუთრებით იტალიაში გამოხატვის და ინფორმაციის თავისუფლების დარღვევის საფრთხეების შესახებ (ფუნდამენტური უფლებების ქარტია მუხლი 11(2) (2003/2237(INI)) აღნიშნავს შემდეგს:

"ვითარება იტალიაში

... აღნიშნავს, რომ იტალიაში სატელევიზიო ბაზრის კონცენტრაციის დონე ამჟამად ევროპაში ყველაზე მაღალია და მიუხედავად იმისა, რომ იტალიის ტელევიზიას აქვს თორმეტი ეროვნული არხი და ათიდან თხუთმეტამდე რაიონული და ადგილობრივი არხი, ბაზარი მაინც ხასიათდება დუოპოლიით "რაისა" და "მედიასეტს" შორის, სადაც ორივე ოპერატორი, ერთიანობაში ფლობს მაყურებლის ხვედრითი წილის დაახლოებით 90% და იღებს სარეკლამო რესურსის ხვედრითი წილის 96.8%, განსხვავებით გერმანიაში არსებული 88%, გაერთიანებულ სამეფოში არსებული 82%, საფრანგეთში 77% და ესპანეთში 58%;

აღნიშნავს, რომ "მედიასეტის" ჯგუფი არის უდიდესი კერძო სატელევიზიო და საკომუნიკაციო ჯგუფი და ერთ-ერთი უდიდესი მსოფლიოში, აკონტროლებს (*inter alia*) სატელევიზიო ქსელებს (RTI, S.p.A) და სარეკლამო ფრანშიზის მფლობელებს (Publitalia`80), სადაც ორივე მათგანი ოფიციალურად იკავებს დომინანტ პოზიციას, და შესაბამისად არღვევს კომუნიკაციების მარეგულირებელი ორგანოს ეროვნულ კანონს (კანონი N. 247/97) (გადაწყვეტილება 226/03);

აღნიშნავს, რომ ერთ-ერთი სექტორი, სადაც ინტერესთა კონფლიქტი ყველაზე აშკარა ხასიათს ატარებს არის რეკლამირება, იმის გათვალისწინებით, რომ 2001 წელს "მედიასეტის" ჯგუფი იღებდა სატელევიზო რეკლამის რესურსის ორ მესამედს, რაც მთლიანობაში შეადგენდა 2,500 მილიონ ევროს და რომ ძირითადად იტალიურმა

კომპანიებმა რეკლამირებაში საკუთარი ინვესტიციების უდიდესი რაოდენობა გადაიტანეს ბეჭდური მედიიდან "მედიასეტის" ქსელებში და "რაიდან" "მედიასეტში";

აღნიშნავს, რომ იტალიის მინისტრთა საბჭოს პრეზიდენტმა არ მოაგვარა მისი ინტერესთა კონფლიქტი მიუხედავად იმისა, რომ ამკარად განაცხადა ამის შესახებ; პირუკუ, მან გაზარდა "მედიასეტში" მისი წილობრივი მონაწილეობა (48.639%-დან 51.023%-მდე) რითაც მნიშვნელოვნად შეამცირა მისი ქსელის ვალი რეკლამირებაში დიდწილი ზრდის შედეგად, ამან კი ნეგატიური გავლენა იქონია მისი კონკურენტების შემოსავალზე (და რანგირებაზე) და, ყველაზე მეტად დააზარალა წერილობითი პრესის რეკლამირების დაფინანსება;

წუხილით აღნიშნავს, რომ მთავრობის განმეორებადი და აღნუსხვადი ჩარევა, ზეწოლა და ცენზურა საჯარო სატელევიზიო სერვისის "რაის" კორპორატიულ სტრუქტურასა და სქემებთან მიმართებაში (სატირის პროგრამების მიმართაც კი), რაც დაიწყო სამი ცნობილი პროფესიონალის გათავისუფლებით იტალიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მიერ 2002 წლის აპრილში გაკეთებული გასაოცარი მოთხოვნის შედეგად - იმ ვითარებაში, როდესაც "რაის" მმართველთა საბჭოს და შესაბამისი საპარლამენტო მაკონტროლებელი ორგანოს წევრების აბსოლუტური უმრავლესობა არიან მმართველი პარტიის წევრები, მოცემული ზეწოლა გავრცელდა სხვა, მის საკუთრებაში არ მყოფ მედიაზეც, რამაც *inter alia* გამოიწვია *orriere della Sera*-ს რედაქტორის გადადგომა 2003 წლის მაისში;

აღნიშნავს, შესაბამისად, რომ იტალიის სისტემა წარმოადგენს ანომალიას, რომელიც ერთი ადამიანის - იტალიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის - ხელში აერთიანებს ეკონომიკურ, პოლიტიკურ და მედია ძალაუფლებას და იწვევს იტალიის მთავრობის მიერ პირდაპირ თუ ირიბად, ყველა ეროვნული სატელევიზიო არხის კონტროლს;

აღნიშნავს, რომ იტალიაში სამაუწყებლო სისტემა ათწლეულების განმავლობაში მოქმედებს კანონსმილმა პირობებში, რაც არაერთგზის იქნა აღიარებული საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ, რის შედეგადაც, კანონმდებლისა და შესაბამისი დაწესებულებების მცდელობები არაეფექტიანი აღმოჩნდა სამართლებრივი სისტემის ხელახლა დაფუძნების გზაზე; "რაი" და "მედიასეტი" ორივე აგრძელებს აკონტროლოს სახმელეთო ანალოგი სატელევიზიო მაუწყებლები, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ 1004 წლის N. 420-ე გადაწყვეტილებაში დაადგინა, რომ დაუშვებელი იყო ერთი და იგივე ერთეულის მიერ 20%-ზე მეტი სატელევიზიო გადაცემების მაუწყებლობა ეროვნულ დონეზე, სახმელეთო სიხშირეებით (ანუ ორ პროგრამაზე მეტი) და დაადგინა, რომ N. 223/90 კანონით განსაზღვრული მარეგულირებელი რეჟიმი ეწინააღმდეგებოდა იტალიის კონსტიტუციას, მიუხედავად იმისა, რომ "გარდამავალ რეჟიმს" წარმოადგენდა; არც N. 249/97 კანონი

(რომლითად შეიქმნა კომუნიკაციების გარანტორი ორგანო და დაწესდა ტელეკომუნიკაციის წესები რადიო და სატელევიზიო სისტემებში) არ დაემორჩილა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დებულებებს, რომელმაც მის N. 466/02 გადაწყვეტილებაში კონსტიტუციურად უკანონოდ სცნო მუხლი 3 (7) "იმდენად რამდენადაც იგი არ აწესებს მკაცრ და დროულ ვადას, ნებისმიერ შემთხვევაში არაუგვიანეს 2003 წლის 31 დეკემბრისა, როდემდეც მე-3 მუხლის მე-6 ნაწილში დადგენილ ლიმიტს მიღმა მაუწყებლების მიერ გადმოცემული პროგრამები უნდა გადაიცეს ექსკლუზიურად სატელიტით ან კაბელით";

აღნიშნავს, რომ იტალიის საკონსტიტუციო სასამართლომ 2002 წლის ნოემბერში (საქმე 466/2002) დაადგინა, რომ იტალიის ამჟამინდელი კერძო სატელევიზიო ოპერირების სისტემა ეროვნულ დონეზე, ანალოგი საშუალებით უკვე გადაიზარდა სიხშირეების უბრალო *de facto* ოკუპაციიდან (დანადგარების ოპერირება ნებართვებისა და კონცესიების გარეშე) და არ ასახავს პლურალიზმის გაზრდის სურვილს სიხშირეების გადანაწილებისა და მაუწყებლობის ჯეროვანი დაგეგმვიდან გამომდინარე... მოცემული *de facto* ვითარება არ წარმოადგენს ინფორმაციის გარე პლურალიზმის პატივისცემას, რომელიც თავისთავად წარმოადგენს შესაბამისი საკონსტიტუციო სასამართლო პრაქტიკით განსაზღვრულ ძირითად მოთხოვნას... მოცემულ კონტექსტში, სიტუაციის განგრძობადობისა (და დამძიმების) გავალისწინებით, ვითარებაში, რომელიც 1994 წელს მიღებული N. 420 გადაწყვეტილებით მიჩნეულია უკანონოდ, ხოლო 1997 წლის კანონმდებლის მიერ კი აღიარებულია "ჭარბად", უნდა დადგინდეს აბსოლუტურად ნათელი, განსაზღვრული და შესაბამისად სრულიად სავალდებულო საბოლოო თარიღი, რათა უზრუნველყოფილ იქნას შესაბამისობა კონსტიტუციურ წესებთან; აღნიშნავს, რომ აუდიოვიზუალური სექტორის რეფორმირებისათვის საბოლოო ვადა არ იქნა დაცული და რომ აუდიოვიზუალური სექტორის რეფორმირების შესახებ კანონი უკან იქნა გადაზავნილი რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ პარლამენტის მიერ ხელახლა განსახილველად საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გამოცხადებული პრინციპების უგულვებელყოფის გამო;

იმედოვნებს, რომ "კომუნიკაციების ინტეგრირებული სისტემების" საკანონმდებლო განმარტება, მოცემული აუდიოვიზუალური სექტორის რეფორმის კანონპროექტში ("გასპარის კანონის" მე-2 მუხლის (გ) პუნქტი), რომლის მიხედვითაც "კომუნიკაციების ინტეგრირებული სისტემები" განიმარტება როგორც მხოლოდ შესაბამისი ბაზარი და არ მოდის კონფლიქტში ევროკავშირის კონკურენციის წესებთან ევროკავშირის ხელშეკრულების 82-ე მუხლის მნიშვნელობით და ამასთანავე არ ეწინააღმდეგება მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებებს და შეუძლებელს არ ხდის მიმართებითი ბაზრის ნათელ და კონკრეტულ განმარტებას;

იმედს იქონიებს, რომ "გასპარის კანონპროექტში" მოცემული "გაწერილი სიხშირების სისტემა" წარმოადგენს *de facto* ვითარების მხოლოდ ლეგიტიმაციას და არ ეწინააღმდეგება დირექტივას N.2002/21/EC, N.2002/20/EC დირექტივის მე-7 მუხლს ან N.2002/77/EC დირექტივას, რომელიც *inter alia* აკონკრეტებს, რომ რადიო სიხშირების გადაცემა ელექტრო კომუნიკაციის სერვისებისთვის უნდა ეფუძნებოდეს ობიექტურ, გამჭვირვალე, არადისკრიმინაციულ და პროპორციულ კრიტერიუმებს;

ხაზს უსვამს მის წუხილს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებისა და კანონების გამოუყენებლობის გამო, რაც არღვევს კანონიერებისა და კანონის უზენაესობის პრინციპებს და ამასთანავე გამოთქვამს შემფოთებას აუდიოვიზუალური სექტორის რეფორმის შეუძლებლობის გამო, რის შედეგადაც მოქალაქეთა უფლება პლურალისტულ ინფორმაციაზე მნიშვნელოვნად სუსტებოდა ათწლეულების განმავლობაში; უფლება რომელიც აღიარებულია ფუნდამენტური უფლებების ქარტიითაც;

წუხს, რომ იტალიაში არსებული ვითარება შესაძლოა შეიქმნას სხვა წევრ და წევრობიაზე განცხადებაშემოტანილ სახელმწიფოებშიც, თუკი მედია მაგნატები გადაწყვეტენ პოლიტიკაში ჩარვას;

წუხს, რომ იტალიის პარლამენტმა ჯერ კიდევ ვერ მიიღო რეგულაცია, რომლითაც მოაგვარებდა იტალიის მინისტრთა საბჭოს პრეზიდენტის ინტერესთა კონფლიქტს, რაც, დაპირების მიხედვით, უნდა მომხდარიყო მისი მთავრობის მმართველობის პირველ ას დღეში;

მიიჩნევს, რომ აუდიოვიზუალური სექტორის ზოგადი რეფორმა შეიძლება გამარტივებულიყო თუკი ეს უკანასკნელი დააწესებდა კერძო აუდიოვიზუალურ სექტორში, მნიშვნელოვანი ინტერესების მქონე ადგილობრივი, რაიონული თუ ეროვნული აღმასრულებელი მთავრობის წევრების მიმართ კონკრეტულ და ადეკვატურ გრანტიებს არსებული და მომავალი ინტერესთა კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად;

იმედს იტოვებს, რომ ინტერესთა კონფლიქტის შესახებ "ფრატინის კანონპროექტი" არ შეჩერდება პრემიერის ინტერესთა კონფლიქტის *de facto* აღიარებით და ამავდროულად განსაზღვრავს მოცემული ვითარების გაგრძელების თავიდან ასაცილებელ მექანიზმებს;

წუხს- წევრ სახელმწიფოთა ვალდებულება უზრუნველყონ მედია პლურალიზმი რომ განმარტებულიყო 1992 წლის პლურალიზმის შესახებ "Green Paper" მიხედვით, იტალიაში არსებული ვითარება შესაძლოა თავიდან ყოფილიყო აცილებული;

...

სთავაზობს იტალიის პარლამენტს:

- დააჩქაროს მუშაობა აუდიოვიზუალური სექტორის რეფორმაზე იტალიის საკონსტიტუციო სასამართლოსა და რესპუბლიკის პრეზიდენტის რეკომენდაციების მიხედვით, და ამასთანავე ყურადღება მიაქციოს "გასპარის ბილის" დებულებებს, რომელიც შეუსაბამოა კავშირის კანონმდებლობასთან, რაც უკვე აღინიშნა შესაბამისი ორგანოების მიერ;
- მოიძიოს ჯეროვანი და შესაფერისი გამოსავალი იტალიის მინისტრთა საბჭოს პრეზიდენტის ინტერესთა კონფლიქტის პრობლემის მოსაგვარებლად, რომელიც ამასთანავე პირდაპირ აკონტროლებს მთავარ კერძო პროვაიდერს, და არაპირდაპირ, ახორციელებს კონტროლს საჯარო ტელევიზიებზე, მთავარი ფრანშიზის მფლობელსა და სხვა მრავალ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია აუდიოვიზუალურ და მედია სექტორთან.
- მიიღოს ზომები, რათა უზრუნველყოს საჯარო სერვისის მაუწყებლის დამოუკიდებლობა".

კანონმდებლობა

I. პირველადი დაკვირვებანი

77. 2011 წლის 12 ოქტომბრის მოსმენაზე, მომჩივნებმა დააკონკრეტეს სასამართლოს წინაშე წარმოდგენილი საქმის დროითი ფარგლები. კერძოდ, მათ აღნიშნეს, რომ მათი საჩივრები ეხებოდა მხოლოდ 1999 წლის 28 ივლისის შემდგომ პერიოდს, თარიღი, როდესაც სამინისტროს დადგენილებით *Centro Europa 7 S. r. l.* მიენიჭა ლიცენზია ეროვნული სატელევიზიო მაუწყებლობის განსახორციელებლად (იხ. ზემოთ პარაგრაფი 9) 2009 წლის 20 ივნისამდე, თარიღი, როდესაც მათ მიეცათ უფლება გამოეყენებინათ ერთი არხი და შეძლეს მაუწყებლობის დაწყება (იხ. პარაგრაფი 16 ზემოთ). სასამართლო, შესაბამისად, შემოიფარგლება იმის განხილვით, თუ რამდენად ჰქონდა ადგილი მომჩივანთა ფუნდამენტური უფლებების დარღვევას ზემოთმოცემულ პერიოდში, და არ განიხილავს ჰქონდა თუ არა ადგილი მსგავს დარღვევებს 1999 წლის 28 ივლისამდე და 2009 წლის 30 ივნისის შემდეგ.

II. მთავრობის პირველადი პრეტენზიები

ა. მომჩივნი კომპანიის მსხვერპლის სტატუსი

78. მთავრობამ აღნიშნა, რომ მომჩივანმა კომპანიამ მიღო სიხშირეები 2008 წლის 11 დეკემბრის სამინისტროს დადგენილებით (იხ. პარაგრაფი 16 ზემოთ) და დაეთანხმა, რომ ნებისმიერი დავა მოცემულ საგანზე მოგვარებული გახლდათ 2010 წლის 9 თებერვლის შეთანხმებით (იხ. პარაგრაფები 19 ზემოთ). ამასთანავე, 2009 წლის 20 იანვარს, *Consiglio di Stato*-მ მიაკუთვნა მომჩივან კომპანიას კომპენსაცია 1,041,418 ევროს ოდენობით (იხ. პარაგრაფი 45 ზემოთ). მთავრობა დავობდა, რომ მოცემული ზომების ერთიანობაში გათვალისწიებით, *Centro Europa 7 S.r.l.* არ უნდა განხილულიყო მსხვერპლად იმ ქმედებებისათვის, რომელსაც ეს უკანასკნელი ასაჩივრებდა (ციტირებდა *mutatis mutandis, Scordino v. Italy (no. 1)* [GC], no. 36813/97, § 179, ECHR 2006-V).
79. მომჩივანმა კომპანიამ აღნიშნა, რომ მართალია სიხშირეები არ იქნა გამოყოფილი ლიცენზიის გაცემიდან თითქმის ათი წლის განმავლობაში, მას მაინც შეეძლო ედავა მსხვერპლის სტატუსი მოცემული დარღვევებისათვის, რადგან *Consiglio di Stato*-ს მიერ მიკუთვნებული კომპენსაცია არასაკმარისი გახლდათ მიყენებულ ზიანთან შედარებით და არ ასახავდა მის რეალურ ნეგატიურ გავლენას. რაც შეეხება 2010 წლის 9 თებერვლის შეთანხმებას, იგი ეხებოდა 2008 წლის დეკემბერში გამოყოფილ სიხშირეებზე დამატებითი სიხშირეების გამოყოფას და შესაბამისად არ ხვდებოდა წინამდებარე საჩივრის ფარგლებში.
80. სასამართლო იმეორებს, რომ პირველ რიგში ეროვნული ხელისუფლების ვალდებულებას წარმოადგენს კონვენციის ნებისმიერი სავარაუდო დარღვევის გამოსწორება. ამ მხრივ საკითხი, თუ რამდენად აქვს მომჩივანს უფლება ისარგებლოს დარღვევის მსხვერპლის სტატუსით მნიშვნელოვანია კონვენციის ფარგლებში საქმის განხილვის ყოველ ეტაპზე (იხ. *Burdov v. Russia*, no. 59498/00, § 30, ECHR 2002-III).
81. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ მომჩივანისათვის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება ან ზომა თავისთავად არ არის საკმარისი რათა მას ჩამოერთვას "მსხვერპლის" სტატუსი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეროვნული ხელისუფლების ორგანოები აღიარებენ, პირდაპირ ან არსობრივად დარღვევას და შემდეგ იღებენ ზომებს კონვენციის დარღვევის გამოსასწორებლად (იხ. *Eckle v. Germany*, 15 July 1982, §§ 69 et seq., Series A no. 51; *Amuur v. France*, 25 ივნისი 1996, § 36, *Reports of Judgments and Decisions* 1996-III; *Dalban v. Romania* [GC], no. 28114/95, § 44, ECHR 1999-VI; და *Jensen v. Denmark* (dec.), no. 48470/99, ECHR 2001-X).
82. საკითხი თუ რამდენად შეუძლია პირს ამტკიცოს კონვენციის სავარაუდო დარღვევის მსხვერპლის სტატუსი, სასამართლოსათვის გულისხმობს მისი ვითარების *ex post facto* განხილვას (იხ. *Scordino (no.1)*, ციტირებული ზემოთ, § 181).
83. მოცემულ შემთხვევაში, მომჩივან კომპანიას გამოეყო სამაუწყებლო სიხშირეები 2008 წლის დეკემბერში და მიეცა შესაძლებლობა დაეწყო მაუწყებლობა 2009 წლის 30

ივნისიდან (იხ. პარაგრაფი 16 ზემოთ). სიხშირეების გამოყოფით მოხდა იმ ვითარების დასრულება, რომლის შესახებაც დავობდა მომჩივანი კომპანია. თუმცა, სასამართლოს აზრით აღნიშნული ფაქტი არ წარმოადგენდა კონვენციის დარღვევის არაპირდაპირ აღიარებას ან ვითარების გამოსწორებას იმ პერიოდისათვის, რომლის განმავლობაშიც *Centro Europa 7 S.r.l.* არ ეძლეოდა მაუწყებლობის საშუალება.

84. სასამართლო მიიჩნევს, რომ ადგილი არ ჰქონია პირდაპირ ან არსობრივად კონვენციის მე-10 მუხლის და 1 დამატებითი ოქმის 1 მუხლის დარღვევის აღიარებას ეროვნული სამართალწარმოების პროცესში. ამ მხრივ იგი აღნიშნავს, რომ 2005 წელს *Consiglio di Stato*-მ გადაწყვიტა შეეწყვიტა მომჩივანი კომპანიის აპელაციის განხილვა და სთხოვა მართლმსაჯულების სასამართლოს მიეღო პირველადი გადაწყვეტილება სერვისებისა და კონკურენციის ხელშეკრულების დებულებების, დირექტივა 2002/21/EC (“ჩარჩო დირექტივა”), დირექტივა 2002/20/EC (“ავტორიზაციის დირექტივა”), დირექტივა 2002/77/EC (“კონკურენციის დირექტივა”) და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის ინტერპრეტაციის შესახებ, იმდენად რამდენადაც ევროპის კავშირის ხელშეკრულების მე-6 მუხლი აკეთებდა მასზე მითითებას (იხ. პარაგრაფი 32 ზემოთ). მართლმსაჯულების სასამართლომ დაადგინა, რომ არ იყო საჭრო კონვენციის მე-10 მუხლთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება, რადგან ევროკავშირის 49-ე მუხლთან მიმართებაში მისი პასუხი, იმ დღიდან რაც იგი ძალაში შევიდა, ჩარჩო დირექტივის 9(1) მუხლის, ავტორიზაციის დირექტივის 5(1) მუხლი და 5(2) მუხლის მეორე ქვე-პუნქტი, ისევე როგორც კონკურენციის დირექტივის მე-4 მუხლის ფარგლებში აძლევდა საშუალებას ეროვნულ სასამართლოებს მიეღოთ გადაწყვეტილება მომჩივანი კომპანიის მიერ წარმოდგენილ საჩივარზე (იხ. პარაგრაფი 34 ზემოთ).
85. 2008 წლის 31 მაისისა და 2009 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილებებში *Consiglio di Stato*-მ დაადგინა, რომ მომჩივანი კომპანიისათვის სიხშირეების არმიცემა დიდწილად გამოწვეული გახლდათ საკანონმდებლო მიზეზებით და რომ ხელისუფლების მხრიდან ადგილი ჰქონდა გაუფრთხილებელ მოქმედებას. შესაბამისად, მომჩივან კომპანიას სამოქალაქო კოდექსის 2043 მუხლის საფუძველზე მიეკუთვნა კომპენსაცია (იხ. პარაგრაფები 37-38 და 45-48 ზემოთ).
86. სასამართლოს აზრით, *Consiglio di Stato* შეიზღუდა საკუთარ გადაწყვეტილებებში იმის დადგენით, რომ ხელისუფლების ორგანოებს დაეკისრათ არასახელშეკრულებო პასუხისმგებლობა სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებების საფუძველზე (იხ. პარაგრაფი 69 ზემოთ) იმდენად, რამდენადაც ნებისმიერი განზრახ ან გაუფრთხილებელი მოქმედება, რომელიც იწვევს არაჯეროვან ზიანს მის ჩამდენს აკისრებს მოცემულ ზიანზე პასუხისმგებლობას. გადაწყვეტილებებში არსად არ არის მითითებული, რომ ზიანის მიყენებასთან ერთად, ხელისუფლების ორგანოების ქმედებები ეწინააღმდეგებოდა სასამართლოს მიერ დადგენილ პრინციპებს გამომხატვის თავისუფლებისა თუ საკუთრებით შეუფერხებლად სარგებლობის ან

ორივეს კუთხით. უნდა აღნიშნოს, რომ ამ კუთხით *Consiglio di Stato*-ს მოცემულ პრინციპებზე მითითება არ გაუკეთებია.

87. დაბოლოს, სასამართლოს წინაშე მთავრობამ არ აღიარა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის რაიმე დარღვევას. არსებულ პირობებში, და დარღვევის აღიარების არარსებობის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ მომჩივანი კომპანია უფლებამოსილია ამტკიცოს საკუთარი მსხვერპლის სტატუსი სავარაუდო დარღვევებისათვის.
88. იმის დაშვების შემთხვევაში კი, რომ *Consiglio di Stato*-ს მიერ გაცემული კომპენსაცია საკმარისი და ჯეროვანი გახლდათ, სასამართლო მიიჩნევს, რომ იგი არ წარმოადგენს სავარაუდო დარღვევების არაღიარების მისაგებელს.
89. შესაბამისად, სასამართლო, არ აკმაყოფილებს მთავრობის პრეტენზიას.

ბ. მეორე მომჩივნის მსხვერპლის სტატუსი

90. მთავრობა დავობდა, რომ მეორე მომჩივანს, ბ-ნ ფრანჩესკანტონიო დი სტეფანოს არ გააჩნია *locus standi* სასამართლოს წინაშე. მას არ აუხსნია თუ რა გახლდათ მისი ფუნქცია *Centro Europa S.r.l.*-ში ან თუ რატომ უნდა ჩაითვალოს მსხვერპლად. მთავრობამ ასევე აღნიშნა, რომ იგი არ გახლდათ კომპანიის ერთადერთი მეწილე და რომ ყველა ადმინისტრაციული გადაწყვეტილება გამოტანილი გახლდათ მხოლოდ კომპანიის მისამართით.
91. მომჩივნებმა აღნიშნეს, რომ სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით (შეეხნენ რა საქმეებს *Glas Nadezhda EOOD and Anatoliy Elenkov v. Bulgaria*, no. 14134/02, § 41, 11 ოქტომბერი 2007, და *Groppera Radio AG and Others v. Switzerland*, 28 მარტი 1990, § 49, Series A no. 173), კომპანიის ერთადერთი მეწილე და წესდებისმიერი წარმომადგენელი შესაძლოა განხილულ იქნას მაუწყებლობის აკრძალვის მსხვერპლად.
92. სასამართლო იმეორებს, რომ კონვენციის 34-ე მუხლში გამოყენებული ტერმინი "მსხვერპლი" ეხება იმ პირს, რომელზეც უშუალოდ იქონია გავლენა განსახილველმა მოქმედებამ ან უმოქმედობამ (იხ. სხვა მრავალს შორის, *Vatan v. Russia*, no. 47978/99, § 48, 7 ოქტომბერი 2004). იგი ასევე აღნიშნავს, რომ პირი ვერ იდავებს დარღვევის შესახებ იმ სამართალწარმოების ფარგლებში, რომლის მხარეც იგი არ ყოფილა, მიუხედავად იმისა, რომ იგი გახლდათ მეწილე ან/და დირექტორი იმ კომპანიისა, რომელიც იყო სამართალწარმოების მხარე (იხ. მრავალს შორის, *F. Santos, Lda. and Fachadas v. Portugal* (dec.), no. 49020/99, ECHR 2000-X, და *Nosov v. Russia* (dec.), no. 30877/02, 20 ოქტომბერი 2005). რიგ შემთხვევებში კომპანიის ერთპიროვნულმა მესაკუთრემ შესაძლოა იდავოს "მსხვერპლის" სტატუსზე კონვენციის 34-ე მუხლის მნიშვნელობით, თუკი გასაჩივრებული ზომები მიღებული იქნა მის კომპანიასთან მიმართებაში (იხ. სხვა მრავალს შორის, *Ankarcrona v. Sweden* (dec.), no. 35178/97, ECHR 2000-VI, და *Glas Nadezhda EOOD and Anatoliy Elenkov*, ციტრებული ზემოთ, § 40), ხოლო სხვა შემთხვევაში კომპანიის იურიდიულ პირად არ აღიარებისას, იგი

შესაძლებელია გამართლებულ იქნას მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, კერძოდ კი მაშინ, როდესაც აშკარად დგინდება, რომ კომპანიისთვის შეუძლებელია მიმართოს საკონვენციო დაწესებულებებს მისი წესდების მიხედვით შექმნილი ორგანოების საშუალებით - ლიკვიდაციის შემთხვევაში - ლიკვიდატორების საშუალებით (იხ. *Meltex Ltd and Movsesyan v. Armenia*, no. 32283/04, § 66, 17 ივნისი 2008; იხ. აგრეთვე, *Agrotexim and Others v. Greece*, 24 ოქტომბერი 1995, § 66, Series A no. 330-A; *CDI Holding Aktiengesellschaft and Others v. Slovakia* (dec.), no. 37398/97, 18 ოქტომბერი 2001; და *Amat-G Ltd and Mebaghishvili v. Georgia*, no. 2507/03, § 33, ECHR 2005-VIII).

93. სასამართლო თავიდანვე აღნიშნავს, რომ წინამდებარე საქმეში ადგილი არ ჰქონია მსგავს გამონაკლის გარემოებებს (იხ. განსხვავებით *G.J. v. Luxembourg*, no. 21156/93, § 24, 26 ოქტომბერი 2000). იგი ასევე აღნიშნავს, რომ მეორე მომჩივანს არ წარმოუდგენია არანაირი მტკიცებულება რათა დაედასტურებინა, რომ იგი რეალურად წარმოადგენდა *Centro Europa 7 S.r.l.*-ს ერთპიროვნულ მეწილეს. სასამართლოს ხელთ არსებული ყველა მასალა მიუთითებს, რომ მხოლოდ მომჩივანი კომპანია, როგორც იურიდიული პირი, მონაწილეობდა სატენდერო წინადადებებში და რომ სწორედ მან მიიღო სატელევიზიო მაუწყებლობის ლიცენზია; ამასთანავე, იტალიის სასამართლოების გადაწყვეტილებები ეროვნული სამართალწარმოების ფარგლებში ეხებოდა მხოლოდ მომჩივან კომპანიას (იხ. *Meltex Ltd and Movsesyan*, ციტირებული ზემოთ, § 67). სასამართლო, შესაბამისად ასკვნის, რომ სიხშირეების გამოყოფის შესახებ უარი და შემდგომი სამართალწარმოებანი გავლენას ახდენდა მხოლოდ მომჩივანი კომპანიის ინტერესებზე. შესაბამისად, იგი ვერ მიიჩნევს მეორე მომჩივანს როგორც "მსხვერპლს" კონვენციის 34-ე მუხლის მნიშვნელობით იმ ქმედებებთან მიმართებაში, რომელიც გასაჩივრებული სასამართლოს წინაშე.
94. აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო ასკვნის, რომ საჩივარი, მეორე მომჩივნის წარმოდგენის ფარგლებში არის შეუთავსებელი *ratione personae* კონვენციის 35-ე მუხლის 3(ა) პუნქტის შესაბამისად და უარყოფილ უნდა იქნას 35(4) მუხლის საფუძველზე.
95. სასამართლო, შესაბამისად, განიხილავს მხოლოდ მომჩივანი კომპანიის მიერ წარმოდგენილ საჩივრებს.

გ. ინდივიდუალური გასაჩივრების უფლების ბოროტად გამოყენება

96. მთავრობამ აღნიშნა, რომ მომჩივანმა კომპანიამ ბოროტად გამოიყენა ინდივიდუალური გასაჩივრების უფლება. იგი დავობდა, რომ კომპანიას არ შეუტყობინებია სასამართლოსათვის სიხშირეების გამოყოფის სააღსრულებო წარმოების შესახებ, რომელმაც გამოიწვია საქმის განსახილველი სიდიდან ამოღება *Centro Europa 7 S.r.l.*-სა და მთავრობას შორის დადებული შეთანხმების შედეგად (იხ. პარაგრაფები 19-20 ზემოთ). მომჩივანმა კომპანიამ, შესაბამისად, უგულვებელყო

ვალდებულება შეეტყობინებინა საქმის განხილვისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ელემენტები სასამართლოსათვის (*Kerechashvili v. Georgia* (dec.), no. 5667/02, ECHR 2006-V).

97. სასამართლო იმეორებს, რომ საჩივარი შესაძლოა უარყოფილ იქნას ინდივიდუალური გასაჩივრების უფლების ბოროტად გამოყენების გამო, თუკი იგი მიზანმიმართულად ეფუძნებოდა არასწორ ფაქტებს, რაც მიზნად ისახავდა სასამართლოს შეცდომაში შეყვანას (იხ. *Varbanov v. Bulgaria*, no. 31365/96, § 36, ECHR 2000-X). იგივე ვრცელდება შემთხვევებზე, როდესაც სასამართლოს წინაშე საქმის განხილვის დროს ადგილი აქვს მნიშვნელოვან მოვლენებს და როდესაც - სასამართლო რეგლამენტის მუხლი 47(6) მიერ ცალსახად მოთხოვნის მიუხედავად - მომჩივანი არ მიაწვდის მოცემულ ინფორმაციას სასამართლოს, და შესაბამისად, ხელს შეუშლის მიიღოს საქმეზე გადაწყვეტილება ფაქტების შესახებ სრული ინფორმაციის ფლობის გარეშე (იხ. *Hadrabová and Others v. the Czech Republic* (dec.), nos. 42165/02 და 466/03, 25 September 2007, და *Predescu v. Romania*, no. 21447/03, §§ 25-27, 2 დეკემბერი 2008). თუმცა, ასეთ შემთხვევაში მომჩივნის განზრახვა შეცდომაში შეიყვანოს სასამართლო უნდა დადასტურდეს საკმარისი სიცხადით (იხ. *mutatis mutandis, Melnik v. Ukraine*, no. 72286/01, §§ 58-60, 28 მარტი 2006, და *Nold v. Germany*, no. 27250/02, § 87, 29 ივნისი 2006).
98. მოცემულ საქმეში სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივანი კომპანიის საჩივრები ეხება მათ მიერ მაუწყებლობის განხორციელების შეუძლებლობას 1999 წლის 28 ივლისიდან 2009 წლის 30 ივნისამდე (იხ. პარაგრაფი 77 ზემოთ) და რომ საჩივრის ფორმაში კომპანიამ მიუთითა, რომ მან მიიღო სიხშირეები 2008 წელს, ხოლო მაუწყებლობის საშუალება მიეცა 2009 წლის ივნისიდან.
99. მოცემულ გარემოებებში რთულია დადგინდეს, რომ სამართალწარმოების დაწყებისთანავე მომჩივანმა კომპანიამ უგულვებელყო სასამართლოსათვის შეეტყობინებინა საქმის განხილვის ერთი ან მეტი არსებითი ელემენტის შესახებ. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ შეთანხმება სამინისტროსთან და საქმის განხილვის განახლების შესახებ მოთხოვნის წარდგენა რეგიონალურ ადმინისტრაციულ სასამართლოში წარმოადგენს მოვლენებს, რომელიც განხორციელდა 2010 წლის 9 თებერვალსა და 2011 წლის 8 მარტს (იხ. პარაგრაფები 19-22 ზემოთ), საკმაო დროის შემდეგ იმ პერიოდიდან რომელიც ეხება მოცემულ საჩივარს. შესაბამისად, არ არსებობს საფუძველი სასამართლომ დაასკვნას, რომ კომპანიამ ბოროტად გამოიყენა ინდივიდუალური გასაჩივრების უფლება მოცემულ საქმეში.
100. შესაბამისად, მთავრობის პრეტენზია ვერ დაკმაყოფილდება.

დ. საჩივრის დაგვიანებული წარმოდგენა

101. 2011 წლის 12 ოქტომბრის მოსმენაზე მთავრობამ წამოაყენა პრეტენზია მასზედ, რომ არ იყო დაცული კონვენციის 35 (1) მუხლით დაწესებული ექვსთვიანი ვადა, რადგან

ეროვნულ დონეზე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება გახლდათ *Consiglio di Stato*-ს გადაწყვეტილება N. 2622, დეკონირებული 2008 წლის 31 მაისს. მთავრობა დავობდა, რომ *Consiglio di Stato*-ს მოცემული გადაწყვეტილებით, რომელიც საბოლოო გახლდათ და უცვლელად ტოვებდა რაიონული ადმინისტრაციული სასამართლოს გადაწყვეტილებას, მიუღებლად იქნა ცნობილი სიხშირეების გამოყოფის შესახებ. შესაბამისად, 2009 წლის 20 ივლისს წარმოდგენილი სარჩელი არღვევდა დადგენილ ვადას.

102. სასამართლო იმეორებს, რომ ექვსთვიანი ვადა ვერ განიმარტება იმგვარად, თითქოს ავალდებულებდეს მომჩივნებს წარმოადგინონ სარჩელი სასამართლოს წინაშე მანამდე, სანამ ეროვნულ დონეზე საბოლოოდ დადგინდება მათი პოზიცია მოცემულ საქმეზე (იხ. *Varnava and Others v. Turkey* [GC], nos. 16064/90, 16065/90, 16066/90, 16068/90, 16069/90, 16070/90, 16071/90, 16072/90 and 16073/90, § 157, ECHR 2009). თუკი მომჩივანი დავობს განგრძობადი ვითარების ირგვლივ, ექვსთვიანი ვადის ათვლა დაიწყება მას შემდეგ რაც მოცემული ვითარება დასრულდება (იხ. სხვა მრავალს შორის, *Ortolani v. Italy* (dec.), no. 46283/99, 31 მაისი 2001, და *Pianese v. Italy and the Netherlands* (dec.), no. 14929/08, § 59, 27 სექტემბერი 2011).
103. მოცემულ საქმეში, 2008 წლის 31 მაისის გადაწყვეტილებით, *Consiglio di Stato*-მ უარი განუცხადა მომჩივან კომპანიას დაეკმაყოფილებინა მისი მოთხოვნა სიხშირეების გამოყოფის შესახებ, დაადგინა რა, რომ სასამართლოს არ გააჩნდა უფლებამოსილება განეხორციელებინა ადმინისტრაციული ორგანოს კომპეტენციაში შემავალი ზომები. მან დაადგინა, რომ სამინისტროს უნდა მიეღო გადაწყვეტილება მომჩივანი კომპანიისათვის სიხშირეების გამოყოფის შესახებ, რომლის დროსაც უნდა გაეთვალისწინებინა მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, და გადაავადა გადაწყვეტილების მიღება კომპანიისათვის კომპენსაციის მინიჭების შესახებ (იხ. პარაგრაფები 37-39 ზემოთ).
104. აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ *Consiglio di Stato*-ს 2008 წლის 31 მაისის N.2622 გადაწყვეტილების შემდეგ, მომჩივანი კომპანია ჯერ ისევ ელოდა პასუხს შესაბამისი ორგანოებისაგან სიხშირეების გამოყოფის შესახებ წარმოდგენილ მოთხოვნაზე. იმის გამო, რომ ხსენებული გადაწყვეტილება არ გახლდათ საბოლოო, მას არ მოუგვარებია მომჩივანი კომპანიის მოთხოვნები. კერძოდ, საკითხი თუ რამდენად მიაღწა ზიანი კომპანიას, თუ რამდენად მიეკუთვნებოდა მოცემული ზიანი ხელისუფლებას და თუ რამდენად ჰქონდა კომპენსაციის უფლება პასუხგაუცემელი რჩებოდა. *Consiglio di Stato*-მ მოცემულ შეკითხვებს პასუხი გასცა მხოლოდ 2009 წლის 20 იანვარს, სადაც სამინისტროს დააკისრა მომჩივანი კომპანიისათვის კომპენსაციის სახით 1,041,418 ევროს გადახდის ვალდებულება. მხოლოდ ამ უკანასკნელ გადაწყვეტილებაში აღიარა *Consiglio di Stato*-მ, რომ სამინისტროს მოქმედება დაუდევარი იყო იმდენად, რამდენადაც პირველ რიგში, მან მიანიჭა *Centro Europa 7 S.r.l.*-ს ლიცენზია სამაუწყებლო სიხშირეების გამოყოფის გარეშე და, მეორე, არსებობდა მიზეზობრივი კავშირი

ხელისუფლების მოქმედებასა და სავარაუდო ზიანს შორის (იხ. პარაგრაფი 45-48 ზემოთ).

ამასთანავე, სასამართლო აღნიშნავს, რომ ვითარება რომლის შესახებაც ჩივის მომჩივანი კომპანია, კერძოდ კი სატელევიზიო პროგრამების მაუწყებლობის შეუძლებლობა, არ დასრულებულა 2009 წლის 30 ივნისამდე (იხ. პარაგრაფი 16 ზემოთ), მხოლოდ ოცი დღით ადრე სარჩელის შემოტანამდე.

105. მოცემულ პირობებში, მთავრობის პრეტენზია მომჩივანის მიერ ვადის დაუცველობის შესახებ ვერ იქნება გაზიარებული.

ე. სამართლებრივი დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების ამოწურველობა

106. მთავრობის მიხედვით, მომჩივან კომპანიას არ ჰქონდა ამოწურული სამართლებრივი დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებები, რადგანაც მას არ წამოუყენებია "არსობრივად მაინც" სარჩელი კონვენციის მე-10 მუხლის მიხედვით 2009 წლის 18 თებერვალს რაიონული ადმინისტრაციული სასამართლოს წინაშე, სადაც ასაჩივრებდა 2008 წლის 11 დეკემბრის დადგენილებას, რომლითაც მოხდა სიხშირეების გამოყოფა (იხ. პარაგრაფი 18 ზემოთ).

107. მომჩივანი კომპანია ასაჩივრებდა მთავრობის არგუმენტს და აცხადებდა, რომ რაიონულ ადმინისტრაციული სასამართლოს წინაშე წარმოდგენილი საქმე ცდებოდა სასამართლოს წინაშე წარმოდგენილი საჩივრის ვადებს.

108. სამართლებრივი დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების ამოწურვის ზოგადი პრინციპები ჩამოყალიბებულია საქმეში *Sejdivic v. Italy* ([GC], no. 56581/00, §§ 43-46, ECHR 2006-II). სასამართლო აღნიშნავს, რომ სამართალწარმოება რომელსაც შეეხო მთავრობა და რომელიც ჯერ ისევ განხილვის პროცესშია ეროვნული სასამართლოების წინაშე (იხ. პარაგრაფი 23 ზემოთ) ეხება 2008 წლის 11 დეკემბრის დადგენილებას რომლის საფუძველზეც მოხდა სიხშირეების მინიჭება. მოცემულმა დადგენილებამ დაასრულა მომჩივანი კომპანიის მიერ სასამართლოს წინაშე გასაჩივრებული ვითარება, რადგანაც შექმნა ის სამართლებრივი საფუძველი, რომლის შედეგადაც მომჩივანმა კომპანიამ შეძლო მაუწყებლობის დაწყება 2009 წლის 30 ივნისიდან (იხ. პარაგრაფი 16 ზემოთ). შესაბამისად, მოცემული საჩივრის კონტექსტიდან გამომდინარეობს, რომ მომჩივან კომპანიას ვერ მოეთხოვება დაელოდოს მოცემული სამართალწარმოების შედეგებს მანამდე სანამ სასამართლო განიხილავს მისი საჩივრების არსებით მხარეს.

109. შესაბამისად, მთავრობის პირველადი პრეტენზია სამართლებრივი დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების ამოწურველობის შესახებ არ უნდა დაკმაყოფილდეს.

III. კონვენციის მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევა

110. მომჩივანი კომპანია დავობდა მისი გამოხატვის თავისუფლების დარღვევის შესახებ, განსაკუთრებით ინფორმაციისა და იდეების გავრცელების თავისუფლების კუთხით. კერძოდ იგი ასაჩივრებდა, რომ თითქმის ათი წლის განმავლობაში მთავრობამ არ გამოუყო არანაირი სიხშირე ანალოგი სახმელეთო მაუწყებლობის განსახორციელებლად. მან აღნიშნა, რომ კანონი N. 249/1997-ისა და (იხ. პარაგრაფი 56 ზემოთ), საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების 420/1994 და 466/2002 (იხ. პარაგრაფები 54 და 62 ზემოთ) გამოუყენებლობა, ისევე როგორც იტალიის სატელევიზიო ბაზარზე არსებული დუოპოლია არღვევდა კონვენციის მე-10 მუხლს, რომელიც აღნიშნავს შემდეგს:

"1. yvelas aqvs azris gamoxatvis Tavisufleba. es ufleba moicavs adamianis Tavisuflebas, gaaCndes sakuTari Sexeduleba, miiRos an gaavrcelos informacia an ideebi sajaro xelisuflebis Caurevlad da saxelmwifo sazRvrebis miuxedavad. es muxli ver daabrcolebs saxelmwifos, moaxdinos radiomauwyeblobis, televiziisa da kinematografiul sawarmoTa licenzireba.

2. am TavisuflebaTa ganxorcieleba, vinaidan isini ganuyofelia Sesabamisi valdebulebisa da pasuxismgeblobisagan, SeiZleba daeqvemdebaros kanoniT dadgenil iseT wesebs, pirobebs, SezRudvebs an sanqciebs, romlebic aucilebelia demokratiul sazogadoebaSi erovnuli uSiSroebis, teritoriuli mTlianobis an sazogadoebrivi usafRxoebis interesebisaTvis, sazogadoebrivi uwesrigobis Tu danaSaulis aRsakveTad, janmrTelobis an moralis dacvis mizniT, sxvaTa uflebebis an Rirsebis dasacavad, saidumlod miRebuli informaciis gamJRavnebis Tavidan asacileblad, anda sasamarTlos avtoritetisa da miukerZoeblobis uzrunvelsayofad."

111. მთავრობა არ ეთანხმებოდა მოცემულ არგუმენტს.

ა. მისაღებობა

112. სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემული საჩივარი არ არის აშკრად დაუსაბუთებელი კონვენციის 35-ე მუხლის 3(ა) პუნქტის მნიშვნელობით. იგი ასევე აღნიშნავს, რომ იგი არ არის მიუღებელი რაიმე სხვა საფუძვლითაც. შესაბამისად, იგი მისაღებად უნდა იქნას მიჩნეული.

ბ. არსებითი მხარე

1. მხარეთა არგუმენტები და მესამე მხარე

(ა) მომჩივანი კომპანია

113. მომჩივანმა კომპანიამ აღნიშნა, რომ მას არ შეეძლო სატელევიზიო პროგრამების მაუწყებლობა მიუხედავად იმისა, რომ ფლობდა ლიცენზიას, რომელიც მიიღო საჯარო ტენდერის შედეგად. მისი უფლებების მოცემული დარღვევა გამოიწვია იტალიის სახელმწიფოს სხვადასხვა ორგანოებისა და ინსტრუმენტების მიერ მიღებულმა სხვადასხვა საკანონმდებლო, ადმინისტრაციულმა და სამართლებრივმა ზომებმა. ჩარევა გამოხატვის თავისუფლებაში არც გამართლებული ყოფილა და არც აუცილებელი გახლდათ დემოკრატიულ საზოგადოებაში.
114. მომჩივანი კომპანიის მიხედვით, რიგი გარდამავალი კანონების ამოქმედებამ დააკანონა პრაქტიკა, რომლითაც უპირატესობა ენიჭებოდა არსებულ ოპერატორებს და ხელი შეუშალა მას ეფექტიანად ესარგებლა საკუთარი უფლებებით. მომჩივანი კომპანია შეეხო სასამართლოს დასკვნას საქმეში *Meltex Ltd and Movse* (ციტირებული ზემოთ) და აღნიშნა, რომ განსხვავებით მოცემული საქმისაგან, მის საქმეში არსებული დარღვევა არ გამომდინარეობდა მხოლოდ ერთჯერადი უარით, არამედ ეფუძნებოდა ათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში მიღებულ უარს, ესარგებლა საჯარო ტენდერის შედეგად მიღებული ლიცენზიით.
115. მომჩივანმა კომპანიამ აღნიშნა, რომ უარი მისთვის გამოეყოთ სამაუწყებლო სიხშირეები უტოლდებოდა კონვენციის 10.1 მუხლით დადგენილ მის უფლებაში ჩარევას (*Meltex Ltd and Movsesyan*, ციტირებული ზემოთ, და *Glas Nadezhda EOOD and Anatoliy Elenkov*, ციტირებული ზემოთ). ჩარევა არ გახლდათ კანონით განსაზღვრული, როგორც ამას კონვენცია მოითხოვს, ეროვნული პარლამენტის მიერ მიღებული გარდამავალი კანონმდებლობის განუჭვრეტელობის გათვალისწინებით. მომჩივანი კომპანია ასევე აღნიშნავდა, რომ იტალიის სასამართლოებმა გამოიყენეს მოცემული კანონმდებლობა და დაადგინეს, რომ კომპენსაცია გამოთვლილი უნდა იქნას 2004 წლის 1 დეკემბრიდან, განსხვავებით მარლმსაჯულების სასამართლოს მიერ მიღებული პოზიციისა.

(ბ) მთავრობა

116. მთავრობამ აღნიშნა, რომ 1999 წელს მომჩივან კომპანიას მიეცა ლიცენზია, რომელიც *ipso facto* არ ანიჭებდა მას სიხშირეების მიღების უფლებას. 2001 წლის 23 იანვრის N.5 საკანონმდებლო დადგენილების მიხედვით, რომელიც შეიცვალა კანონით N. 66 2001 წლის 20 მარტს (იხ. პარაგრაფები 63-64), მომჩივან კომპანიას შეეძლო შეესყიდა საჭირო სიხშირეები პროგრამების გადასაცემად. თუმცა, მან არ გამოიყენა მოცემული საშუალება და არ მიიღო მონაწილეობა ახალ ტენდერში, რომელიც გამოცხადდა 2007 წელს.
117. მთავრობის მიხედვით, მომჩივან კომპანიაზე ვერ გაიცა სიხშირეები ეროვნული და ადგილობრივი ანალოგი სიხშირეების რეორგანიზაციის ფარგლებში არსებული მცირე სიხშირეების გამო და იმის გამო, რომ რამდენიმე კომპანიამ, რომელმაც წარმოადგინა წარუმატებელი შეთავაზება (ბიდი) 1999 წელს გაასაჩივრა მათი შემთხვევა ეროვნულ

- სასამართლოებში და მიეცათ საშუალება გაეგრძელებინათ მაუწყებლობა ლიცენზიის გარეშე ამ უკანასკნელი წესების საფუძველზე.
118. მთავრობამ აღნიშნა, რომ 1999 წლის ტენდერის გამოცხადების მიზანი გახლდათ იმ ოპერატორების შერჩევა, რომლებიც ჩაირთვებოდნენ "კმო" გეგმაში. შესაბამისად, მიზანი არ გახლდათ სიხშირეების უშუალოდ გაცემა, რადგან ინსტალაციების დარეგულირების პროგრამა ჯერ არ იყო ჩამოყალიბებული. ამ მხრივ, მათ აღნიშნეს, რომ სამინისტროს 1999 წელს იგივე პირობებით სხვა ლიცენზია არ გაუცია.
119. მთავრობამ განმარტა, რომ იტალიაში საკაბელო ტელევიზიის წარუმატებლობის შემდეგ, კანონმა N. 66/2001 გაითვალისწინა, რომ ციფრულ სახმელეთო მაუწყებლობაზე გადასვლა განხორციელდებოდა 2006 წლისთვის მაინც. შედეგად, კანონმდებლო დეკრეტი N. 253/2003 და კანონი N. 112/2004 (იხ. პარაგრაფები 65-67 ზემოთ) აკონკრეტებდნენ, რომ გარდამავალი დებულებები შეწყვეტდნენ მოქმედებას მას შემდეგ რაც ციფრული დაფარვა გადააჭარბებდა მომხმარებელთა 50%, ზღვარს, რომელიც მიღწეულ იქნა 2004 წლის 27 მაისს.
120. მთავრობამ შემდგომ აღნიშნა, რომ მართლმსაჯულების სასამართლომ დაადგინა, რომ საჭირო არ გახლდათ იმის განხილვა ჰქონდა თუ არა ადგილი კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევას. ასევე, *Consiglio di Stato*-ს N. 242 და 245/2009 გადაწყვეტილებებში დადგენილ იქნა, რომ ეროვნული სატელევიზიო სერვისი არ გახლდათ ტრანსსასაზღვრო სერვისი და რომ მომჩივანი კომპანია, როგორც ლიცენზიის მფლობელი, უფლებამოსილი გახლდათ მიეღო მონაწილეობა კონკურენტულ, არა-დისკრიმინაციულ პროცედურებში, რომელიც მიმართული იქნებოდა სიხშირეების გაცემაზე 2008 წლის 1 იანვრიდან. მოცემული შედეგი მიღწეულ იქნა 2008 წლის 11 დეკემბრის სამინისტროს დადგენილები (იხ. პარაგრაფი 16 ზემოთ), სადაც მომჩივან კომპანიას გადაეცა მე-8 არხი VHF III სიხშირეზე, რომელიც გაავისუფლდა ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის შედეგად.
121. მთავრობამ აღნიშნა, რომ იტალიას ნელ-ნელა უნდა უზრუნველყო ეროვნული და ადგილობრივი არხების შესაბამისობა და ამ მხრივ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა მოქმედი ოპერატორების ინტერესებისა და ახალი ოპერატორების ინტერესების ერთობლივ გათვალისწინებას, მოცემული, უწინარესად მიზნად ისახავდა მონოპოლიის ან, პირუკუ, ქაოსის საფრთხის შექმნის თავიდან აცილებას. გადასვლამ არსებულ ოპერატორებს მისცა საშუალება განეგრძოთ მაუწყებლობა, ხოლო ახალი ლიცენზიის მფლობელებს კი მიეცათ საშუალება განევითარებინათ ქსელი სიხშირეების შესყიდვის გზით.
122. მთავრობამ აღნიშნა, რომ სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, სატელევიზიო კომპანიების საქმიანობის რეგულირება არ არღვევდა კონვენციის მე-10 მუხლს, რომელიც სახელმწიფოებს არ უკრძალავდა ტექნიკური ასპექტების, კონკრეტული მაყურებლის უფლებებისა და საჭიროებების, არხების ბუნებისა და მიზნების, ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე პოტენციური მაყურებლის და საერთაშორისო

ვალდებულებების შემოწმებას (*Informationsverein Lentia and Others v. Austria*, 24 ნოემბერი 1993, Series A no. 276).

123. მთავრობამ განმარტა, რომ მომჩივანი კომპანიისათვის მინიჭებული ლიცენზია გულისხმობდა მის სამართლებრივად დაცულ პოზიციას და საშუალებას შეესყიდა სიხშირეები, გამოეყენებინა სხვა ოპერატორების ციფრული გადაცემის უნარი და ესარგებლა "რადიო და მედიასეტის, ორი ოპერატორის კო-ლოკაციით".
124. მთავრობამ აღნიშნა, რომ მომჩივანი კომპანია ამჟამად მომხმარებლებს სთავაზობდა რიგ არხებს, რომელიც ტრანსირებდა სხვადასხვა შინაარსს, მათ შორის საშიშ ფილმებსა და ფილმებს ზრდასრულთათვის. პრაქტიკულად, იგი მოქმედებდა შეზღუდული სისტემით, რადგან მისი პროგრამების ყურება შესაძლებელი გახლდათ მხოლოდ დეკოდერის საშუალებით, რომლითაც იგი თავად უზრუნველყოფდა მომხმარებლებს. მოცემული ანალიზი იძლევა საშუალებას წარმოჩინდეს მომჩივანი კომპანიის მიერ, დამოუკიდებელ საზოგადოებაში, ინფორმაციისა და იდეების მიღების თავისუფლებით სარგებლობის ფორმა და მასშტაბი.
125. დაბოლოს, მთავრობამ აღნიშნა, რომ წინამდებარე საქმის გარემოებანი ვერანაირად ვერ შეედრებოდა *Meltex Ltd and Movsesyan* საქმეში არსებულ ვითარებას (იხ. ზემოთ).

(გ) მესამე მხარე

126. Open Society Justice Initiative-მა თავდაპირველად წარმოადგინა "სამაუწყებლო მედია პლურალიზმის სახელმძღვანელო პრინციპების" მიმოხილვა. შემდეგ კი, მანამდე სანამ განიხილავდა ევროპულ სტანდარტებს, რომლებიც აღიარებენ ვალდებულებას, რომელთა მიხედვითაც პლურალიზმის უზრუნველყოფა საჭიროებს ლიმიტების დადგენას მედიის, განსაკუთრებით სამაუწყებლოს, ფლობაზე, იგი შეეხო იტალიის მსგავსი სიდიდიდის სამი ევროპული ქვეყნის კანონებსა და პრაქტიკას (საფრანგეთ, გერმანია და გაერთიანებული სამეფო).
127. მან ასევე განიხილა მაუწყებელთა პოლიტიკური კონტროლი და აღნიშნა, რომ ბევრი ევროპული სახელმწიფო აღიარებს ისეთ სამართლებრივ სისტემებს, რომელიც კონრეტულად კრძალავენ ან/და ზღუდავენ წამყვანი პოლიტიკოსებისა და პოლიტიკური პარტიების საშუალებას აკონტროლონ სამაუწყებლო ერთეულები და მათი პროგრამები.
128. მესამე მხარის მიხედვით, მოცემული საქმის გარემოებანი უფრო ფართო კონტექსტსა და იტალიის სამაუწყებლო და საინფორმაციო სექტორის ძველ პრობლემებთან ერთად უნდა იქნას განხილული. Open Society Justice Initiative-მა აღნიშნა, რომ თუკი სასამართლო მოცემულ საქმეში დაადგენს მე-10 მუხლის დარღვევას, მან ამასთანავე უნდა განიხილოს იტალიის სახელმწიფოსათვის ზოგადი და სისტემური ცვლილებების განხორციელების დაკისრების ვალდებულება, რომელიც მიზნად დაისახავს მისი სამაუწყებლო სისტემის პლურალიზმის უზრუნველყოფას.

2. სასამართლოს შეფასება

(ა) აუდიოვიზუალურ მედიაში პლურალიზმის ზოგადი პრინციპები

129. სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს თავიდანვე მიმოიხილოს ის ზოგადი პრინციპები, რომელიც შექმნილია აუდიოვიზუალურ მედიაში პლურალიზმთან დაკავშირებით. როგორც ხშირად იქნა სასამართლოს მიერ აღნიშნული, დემოკრატია ვერ იარსებებს პლურალიზმის გარეშე. დემოკრატია ვითარდება გამოხატვის თავისუფლებით. დემოკრატიის არსიდან გამომდინარე, წარმოდგენილი და განხილული უნდა იქნეს სხვადასხვა პოლიტიკური პროგრამები, ისეთებიც კი რომლებიც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ სახელმწიოს არსებულ ორგანიზების ფორმას, იმ პირობით, რომ ეს უკანასკნელი არ აზიანებს თავად დემოკრატიას (იხ. *Manole and Others v. Moldova*, no. 13936/02, § 95, ECHR 2009 (ამონარიდები), და *Socialist Party and Others v. Turkey*, 25 მაისი 1998, §§ 41, 45 and 47, *Reports* 1998-III).
130. ამ მხრივ, სასამართლო აღნიშნავს, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში, აუდიოვიზუალურ სექტორში ნამდვილი პლურალიზმის უზრუნველსაყოფად საკმარისი არ არის რამდენიმე არხის არსებობა ან იმის თეორიული დაშვება, რომ პოტენციური ოპერატორები იქონიებენ წვდომას აუდიოვიზუალურ ბაზარზე. აუცილებელია, ამასთანავე დაშვებული იქნას ეფექტიანი წვდომა ბაზარზე რათა გარანტირებულ იქნას ზოგადი პროგრამების შინაარსის მრავალფეროვნება, რომელიც შესაძლებლობის ფარგლებში მაქსიმალურად ასახავს იმ საზოგადოებაში არსებულ მოსაზრებათა მრავალფეროვნებას, რომელზეც არის გათვლილი მოცემული პროგრამები.
131. გამოხატვის თავისუფლება, დაცული კონვენციის 10 (1) მუხლით, წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ უმთავრეს საყრდენსა და მისი პროგრესისათვის უმნიშვნელოვანეს პირობას (იხ. *Lingens v. Austria*, 8 July 1986, § 41, Series A no. 103). პრესისა და სხვა საინფორმაციო მედიის თავისუფლება საზოგადოებას თავაზობს პოლიტიკური ლიდერების იდეებისა და მოსაზრებების შესახებ დამოკიდებულების ჩამოყალიბების ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას. პრესის განუყოფელი ფუნქციაა ინფორმაციისა და იდეების გავრცელება პოლიტიკურ საკითხებსა და საზოგადოების ინტერესის მომცველ სხვა თემებზე. პრესას ეკისრება არამარტო ამგვარი ინფორმაციისა და იდეების გავრცელების ვალდებულება, არამედ საზოგადოებასაც გააჩნია მისი მიღების უფლება (იხ. მაგალითად *Handyside v. the United Kingdom*, 7 დეკემბერი 1976, § 49, Series A no. 24, და *Lingens*, ციტირებული ზემოთ, §§ 41-42).
132. აუდიოვიზუალურ მედიას, რადიოსა და ტელევიზიას, ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი აკისრია. ხშირად და გამოსახულებით აზრის გამოხატვის ძალაუფლების გამო, ამგვარ მედიას გააჩნია უფრო სწრაფი და ძლიერი გავლენა ბეჭდურთან შედარებით (იხ. *Jersild v. Denmark*, 23 September 1994, § 31, Series A no. 298, and *Pedersen and Baadsgaard v. Denmark* [GC], no. 49017/99, § 79, ECHR 2004-XI).

ტელევიზიისა და რადიოს, როგორც მსმენელისა თუ მაყურებლის სახლში გართობის ცნობილი საშუალების როლი, კიდევ უფრო აძლიერებს მათ გავლენას (იხ. *Murphy v. Ireland*, no. 44179/98, § 74, ECHR 2003-IX).

133. ვითარება, რომლის დროსაც ძლიერ ეკონომიკურ ან პოლიტიკურ ჯგუფს საზოგადოებაში ეძლევა უფლება მოიპოვოს დომინანტი პოზიცია აუდიოვიზუალურ მედიაზე და შედეგად განახორციელოს ზეწოლა მაუწყებლებზე და საბოლოოდ შეზღუდოს მათი სარედაქციო თავისუფლება, საფრთხეს უქმნის დემოკრატიულ საზოგადოებაში გამოხატვის თავისუფლების ფუნდამენტურ როლს, დაცულს კონვენციის მე-10 მუხლით, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც იგი მიზნად ისახავს ზოგადი ინტერესის მომცველი ინფორმაციისა თუ იდეების მიწოდებას, რომელთა მიღების უფლებაც აქვს საზოგადოებას (იხ. *VgT Verein gegen Tierfabriken v. Switzerland*, no. 24699/94, §§ 73 და 75, ECHR 2001-VI; იხ. აგრეთვე *De Geillustreerde v. the Netherlands*, no. 5178/71, კომისიის გადაწყვეტილება 6 ივლისი 1976, § 86, Decisions and Reports 8, გვ. 13). მოცემული ასევე აქტუალურია როდესაც დომინანტური პოზიცია უკავია სახელმწიფო ან საჯარო მაუწყებელს. შესაბამისად, სასამართლოს მიაჩნია, რომ შეზღუდული ბუნების გამო, ლიცენზირების რეჟიმი, რომელიც საჯარო მაუწყებელს აძლევს მონოპოლიის საშუალებას სხვა ხელმისაწვდომ სიხშირეებზე გაუმართლებელია, თუკი არ მოხდება იმის დადასტურება, რომ აღნიშნული ქმედება გამოწვეული გახლდათ მწველი საჭიროებით (იხ. *Informationsverein Lentia and Others*, ციტირებული ზემოთ, § 39).

134. სასამართლო აღნიშნავს, რომ ისეთ სენსიტიურ სექტორში როგორც გახლავთ აუდიოვიზუალური მედია, ჩაურევლობის ნეგატიურ ვალდებულებასთან ერთად, სახელმწიფოს ამასთანავე ეკისრება პოზიტიური ვალდებულება შექმნას შესაბამისი საკანონმდებლო და ადმინისტრაციული გარემო, რათა გარანტირებულ იქნას ეფექტიანი პლურალიზმი (იხ. პარაგრაფი 130 ზემოთ). აღნიშნული განსაკუთრებით სასურველია, როდესაც, მსგავსად მოცემული შემთხვევისა, ეროვნული აუდიოვიზუალური სისტემა ხასიათდება დუოპოლიით.

აღნიშნულის გათვალისწინებით, უნდა აღინიშნოს, რომ მედია პლურალიზმისა და მედია შინაარსის მრავალფეროვნების შესახებ რეკომენდაციაში CM/Rec(2007)2 (იხ. პარაგრაფი 72 ზემოთ), მინისტრთა კომიტეტმა დაადასტურა, რომ "იმისათვის რათა დაცული და აქტიურად ხელშეწყობილი იყოს იდეებისა და მოსაზრებების გამოხატვა, ისევე როგორც კულტურული მრავალფეროვნება, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მოარგონ მოქმედი მარეგულირებელი სისტემები, განსაკუთრებით მედიის ფლობასთან დაკავშირებული და მიიღონ ნებისმიერი მარეგულირებელი და ფინანსური ზომები, რომელიც მოახდენს მედია გამჭვირვალებისა და სტრუქტურული პლურალიზმის, ისევე როგორც გადაცემული შინაარსის მრავალფეროვნების გარანტირებას".

135. მოცემულ საქმეში ისმის შეკითხვა, თუ რამდენად ჰქონდა ადგილი სახელმწიფო ორგანოების ჩარევას მომჩივანი კომპანიის "ინფორმაციისა და იდეების გავრცელების" უფლებაში, და თუ ჰქონდა, თუ რამდენად იყო მოცემული ჩარევა "დადგენილი

კანონით", ისახავდა ერთ ან მეტ კანონიერ მიზანს და იყო "აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში" მათ მისაღწევად (იხ. *RTBF v. Belgium*, no. 50084/06, § 117, ECHR 2011 (extracts)).

(ბ) ჰქონდა თუ არა ადგილი ჩარევას

136. სასამართლოს დადგენილი აქვს, რომ მაუწყებლობის ლიცენზიის მინიჭებაზე უარი წარმოადგენს კონვენციის 10(1) მუხლით გარანტირებული უფლებების განხორციელებაში ჩარევას (იხ. სხვა მრავალს შორის, *Informationsverein Lentia and Others*, ციტირებული ზემოთ, § 27; *Radio ABC v. Austria*, 20 ოქტომბერი 1997, § 27, *Reports* 1997-VI; *Leveque v. France* (dec.), no. 35591/97, 23 ნოემბერი 1999; *United Christian Broadcasters Ltd v. the United Kingdom* (dec.), no. 44802/98, 7 ნოემბერი 2000; *Demuth v. Switzerland*, no. 38743/97, § 30, ECHR 2002-IX; და *Glas Nadezhda EOOD and Anatoliy Elenkov*, ციტირებული ზემოთ, § 42). ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა არ აქვს იმას თუ რის - ინდივიდუალური განაცხადისა თუ ტენდერში მონაწილეობის - შედეგად ხდება უარის გაცხადება (იხ. *Meltex Ltd and Movsesyan*, ციტირებული ზემოთ, § 74).
137. სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემული საქმე განსხვავდება წინარე პარაგრაფში ციტირებული საქმეებიდან იმდენად რამდენადაც იგი არ ეხება ლიცენზიის გაცემაზე უარს. პირიქით, ტენდერის გამოცხადების შემდეგ, მომჩივან კომპანიაზე გაიცა ლიცენზია 1999 წლის 28 ივლისს ანალოგ სახელმწიფო სატელევიზიო მაუწყებლობაზე (იხ. პარაგრაფი 9 ზემოთ). თუმცა, იმის გამო, რომ კომპანიამ ვერ მიიღო სამაუწყებლო სიხშირეები, მან ვერ შეძლო პროგრამების გადაცემა 2009 წლის 30 ივნისამდე.
138. სასამართლო იმეორებს, რომ კონვენცია გამიზნულია არა თეორიული ან ილუზორული არამედ პრაქტიკული და ეფექტიანი უფლებების დასაცავად (იხ. *Artico v. Italy*, 13 მაისი 1980, § 33, Series A no. 37). სიხშირეების გაუცემლობამ მომჩივანი კომპანიისათვის ლიცენზიას დაუკარგა ყოველგვარი პრაქტიკული მიზანი რადგანაც ის საქმიანობა, რომლის ავტორიზაციასაც წარმოადგენდა ლიცენზია *de facto* შეუძლებელი შეიქმნა თითქმის ათი წლის განმავლობაში. აღნიშნული, შესაბამისად, წარმოადგენდა მნიშვნელოვან წინაღობას და, შესაბამისად ჩარევას მომჩივანი კომპანიის მიერ ინფორმაციისა და იდეების გავრცელების უფლების განხორციელებაში.

(გ) იყო თუ არა ჩარევა "კანონით განსაზღვრული"

(i) ზოგადი პრინციპები

139. მუხლი 10(1) მესამე წინადადება უფლებას ანიჭებს სახელმწიფოს ლიცენზირების საშუალებით დაარეგულიროს მის ტერიტორიაზე არსებული მაუწყებლობის სისტემა, განსაკუთრებით კი მისი ტექნიკური ასპექტები. ლიცენზიის გაცემა შეიძლება პირობითი გახლდეთ და დამოკიდებული იყოს სხვა გარემოებებზე, მაგალითად

შემოთავაზებული არხის ბუნებასა და მიზნებზე, მის პოტენციურ მაყურებელზე ეროვნულ, რაიონულ ან ადგილობრივ დონეზე, კონკრეტული მაყურებლის უფლებებსა და საჭიროებებზე და საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტებიდან გამომდინარე ვალდებულებებზე (იხ. *United Christian Broadcasters Ltd*, cited above, and *Demuth*, cited above, §§ 33-35). ამგვარი რეგულაცია უნდა ეფუძნებოდეს "კანონს".

140. მე-10 მუხლის მეორე წინადადებაში არსებული ფრაზა "კანონით დადგენილი" საჭიროებს სადავო ზომის არამარტო საფუძვლის არსებობას ეროვნულ კანონმდებლობაში, არამედ ეხება მოცემული კანონის ხარისხსაც, რომელიც უნდა იყოს მოცემული პირისათვის ხელმისაწვდომი და მისი შედეგები უნდა იყოს განჭვრეტადი (იხ. სხვა მრავალს შორის, *VgT Verein gegen Tierfabriken*, ციტირებული ზემოთ, § 52; *Rotaru v. Romania* [GC], no. 28341/95, § 52, ECHR 2000-V; *Gawęda v. Poland*, no. 26229/95, § 39, ECHR 2002-II; და *Maestri v. Italy* [GC], no. 39748/98, § 30, ECHR 2004-I). თუმცა, უპირველეს ყოვლისა ეროვნული ხელისუფლების, კერძოდ კი სასამართლოს, ფუნქციას წარმოადგენს განმარტოს და გამოიყენოს ეროვნული კანონმდებლობა (იხ. *Kruslin v. France*, 24 აპრილი 1990, § 29, Series A no. 176-A, და *Kopp v. Switzerland*, 25 მარტი 1998, § 59, Reports 1998-II).
141. ფრაზა "კანონით დადგენილი"-სადმი არსებული ერთ-ერთი მოთხოვნაა მისი განჭვრეტადობა. ანუ, ნორმა ვერ ჩითვლება "კანონად" თუ იგი არ არის ფორმულირებული საკმარისი სიზუსტით რათა მისცეს მოქალაქეებს საშუალება განსაზღვრონ მათი მოქმედებანი; იგი უნდა იყოს - საჭიროების შემთხვევაში შესაფერისი რჩევით - გონივრულობის ფარგლებში, იმ შედეგების განჭვრეტადი, რომელიც შესაძლოა გამოიწვიოს მოცემულმა მოქმედებამ. აღნიშნული შედეგები ვერ იქნება განჭვრეტადი სრული სიზუსტით: გამოცდილება ადასტურებს, რომ აბსოლუტურობა ამ მხრივ მიუღწეველია. თუმცა, მაშინ როდესაც სიზუსტე ერთობ სასურველია, მან შესაძლოა გამოიწვიოს მომეტებული სიხისტე, მაშინ როდესაც კანონი უნდა ინარჩუნებდეს უნარს მოერგოს ცვალებად გარემოებებს. შესაბამისად, ბევრი კანონი ფორმულირდება, მეტ-ნაკლებად, ბუდნოვნად და მათი განმარტება და გამოყენება პრაქტიკაში ხდება (იხ. *Sunday Times v. the United Kingdom (no. 1)*, 26 აპრილი 1979, § 49, Series A no. 30; *Kokkinakis v. Greece*, 25 მაისი 1993, § 40, Series A no. 260-A; და *Rekvenyi v. Hungary* [GC], no. 25390/94, § 34, ECHR 1999-III).
142. ეროვნული კანონმდებლობის სიზუსტის მასშტაბი - რომელიც რთულია მოერგოს ყოველ შემთხვევას - დამოკიდებულია დიდწილად განსახილველი კანონის შინაარსზე, იმ სფეროზე, რომელზეც იგი უნდა გავრცელდეს და ადრესატთა რაოდენობასა და სტატუსზე (იხ. *RTBF v. Belgium*, ციტირებული ზემოთ, § 104; *Rekvenyi*, ციტირებული ზემოთ, § 34; და *Vogt v. Germany*, 26 სექტემბერი 1995, § 48, Series A no. 323).
143. კერძოდ კი, წესი "განჭვრეტადია" როდესაც იგი იძლევა დაცვის საშუალებას საჯარო მოხელეების თვითნებური ჩარევისაგან (იხ. *Tourancheau and July v. France*, no. 53886/00, § 54, 24 ნოემბერი 2005) და არ უშვებს მისი გამოყენების შეზღუდვას რომელიმე მხრის

საზიანოდ (იხ. *mutatis mutandis, Başkaya and Okçuoğlu v. Turkey* [GC], nos. 23536/94 და 24408/94, § 36, ECHR 1999-IV).

(ii) ზემორე პრინციპების გამოყენება მოცემულ საქმეში

144. მოცემულ საქმეში, შესაბამისად, სასამართლომ უნდა განსაზღვროს აყალიბებდა თუ არა იტალიის კანონმდებლობა საკმარისი სიზუსტით იმ პირობებსა და პროცედურას, რომლითაც მომჩივან კომპანიას შეეძლო მიეღო სამაუწყებლო სიხშირეები მისი ლიცენზიის ფარგლებში. მოცემული საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმ შემთხვევებში, როდესაც შესაბამისი კანონმდებლობა ეხება აუდიოვიზუალურ ბაზარზე წვდომას.
145. სასამართლო აღნიშნავს, რომ 1999 წლის 28 ივლისს შესაბამისმა ორგანოებმა მომჩივან კომპანიას მიანიჭეს ლიცენზია ქვეყნის მასშტაბით სახმელეთო სატელევიზიო მაუწყებლობის განხორციელებაზე N. 249/1997 კანონის შესაბამისად, მისცეს რა მას უფლება დაემონტაჟებინა და აემუშავებინა ანალოგი სატელევიზიო ქსელი. რაც შეეხება სიხშირეების გადაცემას, ლიცენზია მითითებას აკეთებდა ეროვნულ სიხშირეების გამოყოფის გეგმაზე, რომელიც მიღებულ იქნა 1998 წლის 30 ოქტომბერს, და ანიჭებდა მომჩივან კომპანიას ოცდაოთხ თვეს მისი ინსტალაციები შესაბამისობაში მოეყვანა შესაბამის მოთხოვნებთან (იხ. პარაგრაფი 9 ზემოთ). თუმცა, როგორც ჩანს კიდევაც ეროვნული სასამართლოებების გადაწყვეტილებებით (იხ. პარაგრაფი 14 ზემოთ), მოცემული მოთხოვნა ვერ დაკმაყოფილდა მომჩივანი კომპანიის მიერ მანამდე, სანამ ხელისუფლებამ არ მიიღო დარეგულირების პროგრამა და განახორციელა სიხშირეების განაწილების გეგმა. სასამართლო მიიჩნევს, რომ ასეთ პირობებში, მომჩივან კომპანიას გონივრულად შეეძლო დალოდებოდა, 1999 წლის 28 ივლისიდან ოცდაოთხი თვის განმავლობაში მაინც, ხელისუფლების მიერ იმ ინსტრუმენტების მიღებას, რომელიც დაარეგულირებდა მის სახმელეთო სამაუწყებლო საქმიანობას. იმის გათვალისწინებით, რომ მან საკუთარი ინსტალაციები გააუმჯობესა მოთხოვნის შესაბამისად, მომჩივან კომპანიას უნდა შეემდეგ მისცემოდა სატელევიზიო პროგრამების გადაცემის უფლება.
146. თუმცა, სიხშირეების გადაცემის გეგმა არ განხორციელებულა 2008 წლის დეკემბრამდე და მომჩივან კომპანიას გადაცემების სამაუწყებლოდ არხი გადაეცა მხოლოდ 2009 წლის 30 ივნისს (იხ. პარაგრაფი 16 ზემოთ). ამასობაში, რამდენიმე არხი განაგრძობდა დროებით საფუძველზე სხვადასხვა იმ სიხშირით სარგებლობას, რომელიც გადაცემული უნდა ყოფილიყო გეგმის მიხედვით. *Consiglio di Stato*-მ დაადგინა (იხ. პარაგრაფი 28 ზემოთ), რომ აღნიშნული გარემოებანი უპირატესად გამოწვეული გახლდათ საკანონმდებლო ფაქტორებით. სასამართლო მოკლედ განიხილავს მოცემულ ფაქტორებს.
147. პირველ რიგში სასამართლო აღნიშნავს, რომ კანონი N. 249/1997, მუხლი 3(1) მიუთითებდა, რომ "ქვოტის მიღმა" არხები (იხ. პარაგრაფი 60 ზემოთ) უფლებამოსილნი იყვნენ განეგრძოთ მაუწყებლობა როგორც ეროვნული ისე ადგილობრივ დონეზე

- მანამდე, სანამ მოხდებოდა ახალი ლიცენზიების გაცემა ან არ დაკმაყოფილდებოდა განაცხადები ახალი ლიცენზიის გაცემაზე, თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში არაუგვიანეს 1998 წლის 30 აპრილისა (იხ. პარაგრაფი 57 ზემოთ). თუმცა, იმავე კანონის მუხლი 3(6) აწესებდა გარდამავალ სქემას, რომლის მიხედვითაც ქვოტის მიღმა არხებს შეეძლოთ მაუწყებლობის გაგრძელება სახმელეთო სიხშირეებზე დროებით, 1998 წლის 30 აპრილის შემდეგაც, იმ პირობით, რომ ისინი დააკმაყოფილებდნენ ლიცენზიის მფლობელ არხებზე დაკისრებულ ვალდებულებებს და რომ მათი გადაცემები თანადროულად გადაიცემოდა სატელიტით ან კაბელით (იხ. პარაგრაფი 60 ზემოთ).
148. მომჩივან კომპანიას, ლიცენზიის გაცემის დროისათვის, ზემორე საკანონმდებლო ბაზიდან გამომდინარე შეეძლო დაესკვნა, რომ 1998 წლის 30 აპრილის შემდეგ ქვოტის მიღმა არხების მიერ მაუწყებლობის გაგრძელება არ მოახდენდა გავლენას ახალი ლიცენზიის მფლობელთა უფლებებზე. თუმცა, 2001 წლის 20 მარტს, საკანონმდებლო ბაზა შეიცვალა კანონით N. 66 რომელიც არეგულირებდა გადასვლას ანალოგიდან ციფრულ ტელევიზიაზე და, კიდევ ერთხელ ანიჭებდა ქვოტის მიღმა არხებს უფლებას განეგრძოთ მაუწყებლობა სახმელეთო სიხშირეებზე ციფრული ტელევიზიისათვის ეროვნული სიხშირის გამოყოფის გეგმის იმპლემენტაციამდე (იხ. პარაგრაფი 63 ზემოთ).
149. 2002 წლის 20 ნოემბერს, მაშინ როდესაც გეგმა ჯერ კიდევ არ იყო განხორციელებული, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ გადასვლა სახმელეთო სიხშირეებიდან საკაბელო ან სატელიტურ მაუწყებლობაზე ქვოტის მიღმა არხებისათვის უნდა დასრულებულიყო არაუგვიანეს 2003 წლის 31 დეკემბრისა, მიუხედავად იმისა თუ რა ეტაპზე გახლდათ ციფრული მაუწყებლობა (იხ. პარაგრაფი 62 ზემოთ). მოცემული გადაწყვეტილების გათვალისწინებით, მომჩივან კომპანიას შეეძლო ეფიქრა, რომ მისთვის გამოყოფილი სიხშირე გათავისუფლდებოდა 2004 წლის დასაწყისში. თუმცა, ეროვნული კანონმდებლობით კიდევ ერთხელ ჰქონდა ადგილი გახანგრძლივებას.
150. N. 352/2003 საკანონმდებლო დადგენილების 1 მუხლის მიხედვით ქვოტის მიღმა არხებს მიეცათ უფლება განეგრძოთ მაუწყებლობა მანამდე, სანამ "კმო" დაასრულებდა კვლევას ციფრული სატელევიზიო არხების განვითარების საკითხებზე. შედეგად, კანონმა N. 112/2004 (მუხლი 23(5)), ზოგადი ავტორიზაციის მექანიზმით, ქვოტის მიღმა არხებს გაუხანგრძლივა სახმელეთო სიხშირეებზე მაუწყებლობის უფლება მანამდე, სანამ განხორციელდებოდა ეროვნული სიხშირეების გამოყოფის გეგმა ციფრული ტელევიზიებისათვის (იხ. პარაგრაფები 65-67 ზემოთ) და შედეგად გამოიწვია ის, რომ მოცემულ არხებს აღარ მოეთხოვებოდათ იმ სიხშირეების გათავისუფლება, რომელიც უნდა გადაცემულიყო ლიცენზიის მფლობელი ოპერატორებისათვის, მსგავსად მომჩივანი კომპანიისა.
151. სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემული კანონების გამოყენებამ გამოიწვია სიხშირეების დაბლოკვა და ხელი შეუშალა ოპერატორებს, გარდა ქვოტის მიღმა ოპერატორებისა, ჩართულიყვნენ ციფრული ტელევიზიის ადრეულ ეტაპზე. კერძოდ, მოცემულმა კანონებმა გადაავადეს გარდამავალი სქემის დასრულება მანამდე სანამ "კმო" არ დაასრულებდა კვლევას ციფრული ტელევიზიების არხების განვითარების

საკითხებზე და მანამდე სანამ არ მოხდებოდა ეროვნული სიხშირეების განაწილების გეგმის იმპლემენტაცია. და ეს ყოველივე განხორციელდა მაშინ, როდესაც მათი განჭვრეტა შეუძლებელი გახლდათ. ამ მხრივ, სასამართლო ეთანხმება ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს დასკვნას მოცემულ საკითხზე, სადაც იგი აღნიშნავს, რომ:

"... კანონი N. 112/2004 არა მარტო ანიჭებს მოქმედ ოპერატორებს რადიო სიხშირეების მიღების პრიორიტეტულ უფლებას, არამედ მათთვის ამ უფლებას ექსკლუზიურ ხასიათს უნარჩუნებს, ოპერატორებისათვის მოცემული პრივილეგირებული პოზიციის დროში შეზღუდვის გარეშე და არანაირ ვალდებულებას არ აწესებს დადგენილი ზღვარის დარღვევით მიღებულ რადიო სიხშირეებზე უარის თქმის შესახებ, ციფრულ სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლის შემდეგ."

152. სასამართლო შესაბამისად მიიჩნევს, რომ განხილული კანონები ფორმულირებული იყო ბუნდოვნად და არ განმარტავდა საკმარისი სიზუსტითა და სიცხადით გარდამავალი სქემის მასშტაბსა და ხანგრძლივობას.
153. ამასთანავე, მართლმსაჯულების სასამართლომ, რომელსაც მოცემული საქმე გადასცა *Consiglio di Stato*-მ, აღნიშნა, რომ ეროვნული კანონმდებლის მიერ მიღებულმა ზომებმა გამოიწვია მოქმედი ქსელების სასარგებლოდ გარდამავალი დებულებების ფორმულირება და რომ მოცემულის შედეგად, ოპერატორებს, რომლებსაც არ ჰქონდათ სიხშირეები, მსგავსად *Centro Europa 7 S.r.l.*-სა, შეეშალათ ხელი მიეღოთ წვდომა სატელევიზიო სამაუწყებლო ბაზარზე, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელნი ფლობდნენ შესაბამის ლიცენზიას (მომჩვანი კომპანიის შემთხვევაში გაცემული 1999 წელს - იხ. პარაგრაფი 35 ზემოთ).
154. მოცემულის გათვალისწინებით სასამართლო მიიჩნევს, რომ ეროვნული საკანონმდებლო ბაზა არ იყო სათანადოდ ნათელი და ზუსტი და არ აძლევდა მომჩვან კომპანიას საკმარისი სიცხადით იმ მომენტის განჭვრეტის საშუალებას, როდესაც მას შეეძლო მიეღო სიხშირეები და დაეწყო საქმიანობა რომლისთვისაც მიიღო ლიცენზია და ყოველივე ეს მიუხედავად საკონსტიტუციო სასამართლოსა და მართლმსაჯულების სასამართლოების მიერ გამოტანილი დასკვნებისა. აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ მოცემული კანონები არ აკმაყოფილებდნენ სასამართლოს პრაქტიკის მიერ დადგენილ განჭვრეტადობის მოთხოვნებს.
155. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ ხელისუფლების ორგანოებს არ დაუცავთ ლიცენზიაში დადგენილი ვადები, რაც კანონი N. 249/1997 კანონისა და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების გათვალისწინებით, იმედგამაცრუებელი უნდა ყოფილიყო მომჩვანი კომპანიის მოლოდინებისათვის. მთავრობას არ უჩვენებია, რომ კომპანიას გააჩნდა ეფექტიანი საშუალება ეიძულებინა ხელისუფლება დამორჩილებოდნენ კანონს და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს. შესაბამისად, მას არ ჰქონდა მიცემული სათანადო დაცვა თვითნებობისაგან.

(დ) დასკვნა

156. დასკვნის სახით, სასამართლო მიიჩნევს, რომ საკანონმდებლო ბაზა, რომელიც გამოყენებული იქნა მომჩივანი კომპანიის მიმართ - რომელმაც ვერ შეძლო მუშაობა სატელევიზიო სამაუწყებლო სექტორში ათ წელზე მეტი დროის განმავლობაში მიუხედავად იმისა, რომ საჯარო ტენდერის საფუძველზე მიიღო ლიცენზია - არ აკმაყოფილებდა განჭვრეტადობის მოთხოვნას კონვენციის მიხედვით და ართმევდა კომპანიას თვითნებობის წინააღმდეგ დაცვის იმ საშუალებას, რომელსაც დემოკრატიულ საზოგადოებაში კანონის უზენაესობა ითხოვს. მოცემულმა ნაკლმა გამოიწვია, სხვა მრავალს შორის, შემცირებული კონკურენცია აუდიოვიზუალურ სექტორში. შესაბამისად, იგი უტოლდება სახელმწიფოს მიერ პოზიტიური ვალდებულებების შეუსრულებლობას უზრუნველყოს ეფექტიანი მედია პლურალიზმი შესაბამისი საკანონმდებლო და ადმინისტრაციული გარემოთი (იხ. პარაგრაფი 134 ზემოთ).
157. მოცემული დასკვნები საკმარისია იმის დასადგენად, რომ მოცემულ საქმეში ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევას.
158. აღნიშნული დასკვნა ათავისუფლებს სასამართლოს იმის განხილვისაგან თუ რამდენად დაცული გახლდათ კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი მოცემულ საქმეში, კერძოდ კი რამდენად ჰქონდა კანონიერი მიზანი და იყო აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში მოცემული მიზნის მისაღწევად გარდამავალი სქემის გამაგრებლებელი კანონები.

II. კონვენციის მე-14 მუხლის სავარაუდო დარღვევა მე-10 მუხლთან ერთობლიობაში

159. მომჩივანი კომპანია ამტკიცებდა, რომ იგი დისკრიმინირებული გახლდათ "მედიასექტის" ჯგუფთან შედარებით გამოხატვის თავისუფლების უფლებით სარგებლობისას.

იგი ეფუძნებოდა კონვენციის მე-14 მუხლს, რომელიც აღნიშნავს შემდეგს:

"am konvenciiT gacxadebuli uflebebiTa da TavisuflebebiT sargebloba uzrunvelyofilia yovelgvari diskriminaciis gareSe, sqesis, rasis, kanis feris, enis, religiis, politikuri Tu sxva Sexedulebebis, erovnuli Tu socialuri warmoSobis, erovnuli umciresobisadmi kuTvnillebis, qonebrivi mdgomareobis, dabadebisa Tu sxva niSnis ganurCevlad."

160. მომჩივანი კომპანიის მიხედვით, იტალიის სისტემა პრეფერენციულ მოპყრობას სთავაზობდა "მედიასექტ" ჯგუფს, რომელიც სარგებლობდა დისკრიმინაციული კანონმდებლობითა და ადმინისტრაციული ზომებით, რომელიც მიღებული იქნა ინტერესთა კონფლიქტის პირობებში. იგი ასევე აღნიშნავდა, რომ იგი დაზარალდა

დისკრიმინაციით სხვა ოპერატორებთან მიმართებაშიც და შედეგად ხელი შეეშალა ბაზარზე შესვლაში.

161. მთავრობამ აღნიშნა, რომ საქმისადმი პოლიტიკური მიდგომა არ უნდა იქნას გამოყენებული. მათ ხაზი გაუსვეს კონვენციის მე-10 მუხლის ფარგლებში მათ მიერ წარმოდგენილ არგუმენტებს თუ რატომ ვერ შეძლო მომჩივანმა კომპანიამ სიხშირეების მიღება და უარყო ნებისმიერი კავშირი *Centro Europa 7 S.r.l*-სა და "მედისეტს" შორის, და მიუთითა, რომ მოცემულ საქმეში ადგილი არ ჰქონია რომელიმე კონკრეტული არხისადმი პრეფერენციულ მოპყრობას მომჩივან კომპანიასთან მიმართებაში.
162. სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემული საჩივარი ერთობ მჭიდროდაა დაკავშირებული კონვენციის მე-10 მუხლით წარმოდგენილ საჩივართან და შესაბამისად მისაღებად უნდა იქნას ცნობილი. მე-10 მუხლით გაკეთებული დასკვნების გათვალისწინებით (იხ. პარაგრაფი 156 ზემოთ), სასამართლო საჭიროდ არ მიიჩნევს ცალკე განიხილოს სარჩელი კონვენციის მე-14 მუხლით.

V. 1 ოქმის 1 მუხლის სავარაუდო დარღვევა

163. მომჩივანი კომპანია მიუთითებდა კონვენციის 1 ოქმის 1 მუხლით დაცული საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლების დარღვევას. ეს უკანასკნელი აღნიშნავს შემდეგს:

"yovel fizikur an iuridiul pirs aqvs Tavisi sakuTreb iT Seuferxebeli sargeblobis ufleba. mxolod sazogadoebrivi saWiroebisaTvis SeiZleba CamoerTvas sakuTreba vinmes kanoniTa da saerTaSoriso samarTlis zogadi principebiT gaTvaliswinebul pirobebSi.

amasTan, winare debulebani ver xelyofs saxelmwifos uflebas gamoiyenos iseTi kanoni, romelsac is aucileblad miiCnevs saerTo interesebis Sesabamisad sakuTreb iT sargeblobis kontrolisaTvis, an gadasaxadebisa Tu sxva mosakreblis, anda jarimebis gadaxdis uzrunvelsayofad."

164. მომჩივანმა კომპანიამ აღნიშნა, რომ თითქმის ათი წლის განმავლობაში მას არ ჰქონდა საშუალება გამოეყენებინა ქვეყნის ტერიტორიაზე სატელევიზიო მაუწყებლობის განხორციელების ლიცენზიით მინიჭებული უფლება და რომ ეროვნული სასამართლობის მიერ მიკუთვნებული კომპენსაცია არ ასახავდა მისი "საკუთრების" სრულ ღირებულებას.
165. მთავრობა არ ეთანხმებოდა მოცემულ არგუმენტს.

ა. მისაღებობა

166. სასამართლომ პირველ რიგში უნდა დაადგინოს ფლობდა თუ არა "საკუთრებას" 1 ოქმის 1 მუხლის მნიშვნელობით მომჩივანი კომპანია და შესაბამისად უნდა განსაზღვროს მოცემული მუხლის გამოყენებადობა მოცემულ საქმეში.

1. მხარეთა არგუმენტები

(ა) მთავრობა

167. ძირითად არგუმენტად მთავრობა დავობდა, რომ არ არსებობდა "კუთვნილება" და მიუთითებდა, რომ 1999 წელს მომჩივან კომპანიაზე გაცემული ლიცენზია მას *ipso facto* არ ანიჭებდა უფლებას მიეღო სიხშირეები სამინისტროსაგან; შესაბამისად, მათ არ გააჩნდათ კანონიერი მოლოდინი მიეღოთ რაიმე სიხშირე. ამასთანავე, ეროვნულმა სასამართლოებმა მიუღებლად სცნეს მომჩივანი კომპანიის მოთხოვნა სიხშირეების გადაცემაზე.
168. მთავრობა ასევე აღნიშნავდა, რომ კონვენცია არ იცავდა სამართლებრივი საფუძვლის არმქონე არარსებულ უფლებებს. სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, არც "ჯეროვანი დავა" და არც "სადავო მოთხოვნა" არ აკმაყოფილებდა "კუთვნილების" მოთხოვნებს კონვენციის მნიშვნელობით. კონვენციის მიერ დაცული "კანონიერი მოლოდინი" წარმოიშვება როდესაც ადგილი აქვს დავას ეროვნული კანონის სწორი ინტერპრეტაციისა და გამოყენების ირგვლივ, და მაშინ, როდესაც მომჩივნების არგუმენტები არ არის დაკმაყოფილებული ეროვნული სასამართლოების მიერ (*Kopecký v. Slovakia* [GC], no. 44912/98, § 50, ECHR 2004-IX).
169. ამასთანავე, მომჩივან კომპანიას შეეძლო შეეძინა სიხშირეები ბაზარზე 2001 წლის 20 მარტის N. 66 კანონის 1 მუხლის მიხედვით (იხ. პარაგრაფი 63 ზემოთ). მთავრობის არგუმენტით, საჩივრის საგანი გახლდათ არა სიხშირეების გადაცემა, არამედ ეროვნულ დონეზე მიკუთვნებული კომპენსაციის სადავო არასაკმარისი ოდენობა. დაბოლოს, მთავრობამ აღნიშნა, რომ ლიცენზია არასდროს გამოხმობილა უკან ან გაუქმებულა.

(ბ) მომჩივანი კომპანია

170. მომჩივანი კომპანია არ დაეთანხმა მთავრობის არგუმენტებს და აღნიშნა, რომ სამაუწყებლო სიხშირეებზე წვდომისა და გამოყენების უფლება, რომელიც იძლეოდა გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობისა და ეკონომიკური საქმიანობის საშუალებას, წარმოადგენდა აქტივს და, შესაბამისად, ხვდებოდა "კუთვნილების" ცნებაში 1 ოქმის 1 მუხლის მნიშვნელობით.

2. სასამართლოს შეფასება

(ა) ზოგადი პრინციპები

171. სასამართლო აღნიშნავს, რომ "კუთვნილების" არსი 1 ოქმის 1 მუხლის მიხედვით დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონეა, არ იზღუდება მატერიალური საქონლით და დამოუკიდებელია ეროვნულ კანონმდებლობაში არსებული ფორმალური

კლასიფიკაციისაგან. მსგავსად მატერიალური საქონლისა, რიგი სხვა უფლებები და ინტერესებიც წარმოადგენენ აქტივებს და შესაძლოა განხილულ იქნას როგორც "საკუთრების უფლება" და შედეგად "კუთვნილება" მოცემული დებულების მიზნებისათვის. ყოველ კონკრეტულ საქმეში განხილული უნდა იქნას თუ რამდენად ანიჭებს საქმის გარემოებანი, მთლიანობაში, მომჩივანის ინტერესს დაცვას 1 ოქმის 1 მუხლის მიხედვით (იხ. *Iatridis v. Greece* [GC], no. 31107/96, § 54, ECHR 1999-II; *Beyeler v. Italy* [GC], no. 33202/96, § 100, ECHR 2000-I; და *Broniowski v. Poland* [GC], no. 31443/96, § 129, ECHR 2004-V).

172. 1 ოქმის 1 მუხლი ვრცელდება მხოლოდ პირის არსებულ კუთვნილებაზე. შესაბამისად, მომავალი შემოსავალი ვერ ჩაითვლება "კუთვნილებად", გარდა იმ შემთხვევისა, თუკი იგი უკვე გამომუშავებულ იქნა ან ნამდვილად ექვემდებარება გადახდას. ასევე, იმედი იმისა, რომ დიდი ხნის წინ დასრულებული საკუთრების უფლება შესაძლოა აღსდგეს, ვერ ჩაითვლება "კუთვნილებად". ვერც პირობითი მოთხოვნა, რომელსაც გაუვიდა ვადა მოცემული პირობის დაუკმაყოფილებლობის გამო ჩაითვლება "კუთვნილებად" (იხ. *Gratzinger and Gratzingerova v. the Czech Republic* (dec.) [GC], no. 39794/98, § 69, ECHR 2002-VII).

173. თუმცა, რიგ შემთხვევებში, აქტივის მიღების "კანონიერი მოლოდინი" შესაძლოა დაცულ იქნას 1 ოქმის 1 მუხლით. ანუ, როდესაც საკუთრებითი ინტერესი წარმოადგენს მოთხოვნის არსს, პირი, რომელსაც გააჩნია მოცემული ინტერესი შესაძლოა ჩაითვალოს "კანონიერი მოლოდინის" მქონედ თუკი მოცემული ინტერესი ეფუძნება საკმარის საფუძველს ეროვნულ კანონმდებლობაში ან, მაგალითად, როდესაც არსებობს დადგენილი სასამართლო პრაქტიკა ეროვნული სასამართლოების მიერ, რომლებიც ადასტურებენ მის არსებობას. თუმცა, ვერანაირი "კანონიერი მოლოდინი" ვერ იარსებებს ისეთ შემთხვევებში, რომელიც ეხება დავას ეროვნული კანონმდებლობის სწორი ინტერპრეტაციისა და გამოყენების შესახებ და მომჩვენის არგუმენტები უარყოფილია შედეგად ეროვნული სასამართლოების მიერ (იხ. *Kopecký*, ციტირებული ზემოთ, § 50).

(ბ) ზემორე პრინციპების გამოყენება მოცემულ საქმეში

174. სასამართლო თავიდანვე აღნიშნავს, რომ 1999 წლის 28 ივლისიდან მომჩივანი კომპანია ფლობდა ქვეყნის მასშტაბით სახმელეთო სატელევიზიო მაუწყებლობის ლიცენზიას. ლიცენზია მას ანიჭებდა უფლებას დაემონტაჟებინა და ემუშავებინა ანალოგი სატელევიზიო ქსელი (იხ. პარაგრაფი 9 ზემოთ). იტალიის ადმინისტრაციულმა სასამართლოებმა დაადგინეს, რომ მოცემული ფაქტი მომჩივან კომპანიას არ ანიჭებდა პერსონალურ უფლებას (*diritto soggettivo*) მიეღო სამაუწყებლო სიხშირეები, არამედ წარმოადგენდა მხოლოდ ლეგიტიმურ ინტერესს (*interesse legittimo*), ანუ არაპირდაპირ დაცულ ინდივიდუალურ პოზიციას იმდენად რამდენადაც იგი შესაბამისობაში იქნებოდა საჯარო ინტერესთან. შესაბამისად, მომჩივან კომპანიას

ეძლეოდა ერთადერთი იმის უფლება, რომ მოეთხოვა სიხშირეები მთავრობისაგან ეროვნული კანონმდებლობისა და მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული კრიტერიუმების შესაბამისად (იხ. რაიონული ადმინისტრაციული სასამართლოს გადაწყვეტილება 2004 წლის 16 სექტემბერი, პარაგრაფი 25 ზემოთ, და *Consiglio di Stato*-ს გადაწყვეტილება N. 2622/08, 2008 წლის 31 მაისი, პარაგრაფი 37 ზემოთ).

175. სასამართლომ უკვე აღნიშნა კონვენციის მე-10 მუხლთან დაკავშირებით, რომ იმ დროისათვის მოქმედი ლიცენზიის პირობებისა და საკანონმდებლო ბაზის მიხედვით, მომჩივან კომპანიას შეეძლო ჰქონოდა გონივრული მოლოდინი, რომ ხელისუფლების ორგანოები, 1999 წლის 28 ივლისიდან ოცდაათი თვის ვადაში მიიღებდნენ საჭირო სამართლებრივ ზომებს რათა დაერეგულირებინთ სახმელეთო მაუწყებლობის საქმიანობანი. იმ პირობით, რომ იგი მოახდენდა ინსტალაციების განახლებას, როგორც ეს მოეხოვებოდა კიდევ, მომჩივან კომპანიას უნდა მისცემოდა უფლება გადაეცა სატელევიზიო პროგრამები (იხ. პარაგრაფი 145 ზემოთ). შესაბამისად, მას ამ მხრივ გააჩნდა "კანონიერი მოლოდინი". მართალია, რომ როგორც მთავრობამ აღნიშნა კიდევ, ადმინისტრაციულმა სასამართლოებმა უარი განუცხადეს მომჩივან კომპანიას დაეკმაყოფილებინათ მოთხოვნა სიხშირეების გამოყოფაზე. თუმცა, მოცემულ გადაწყვეტილებას არ გამოუწვევია მომჩივანი კომპანიის არსებით მხარეზე სარჩელის დაუკმაყოფილებლობა, არამედ გამომდინარეობდა იტალიური კანონი ზოგადი წესიდან, რომლის მიხედვითაც ადმინისტრაციულ სასამართლოებს არ შეუძლიათ ადმინისტრაციული ორგანოების ფუნქციების განხორციელება (იხ. პარაგრაფი 37 ზემოთ).

176. ასევე, 2008 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებაში მართლმსაჯულების სასამართლომ აღნიშნა შემდეგი:

"... ამ მხრივ უნდა აღნიშნოს, რომ სატელევიზიო მაუწყებლობის სექტორში, სერვისების მიწოდების თავისუფლება, მოცემული ევროკავშირის ხელშეკრულების 49-ე მუხლში და ამ სფეროში იმპლემენტირებული NCRF მიერ, ითხოვს არამართო სამაუწყებლო ნებართვების გაცემას, არამედ რადიოსიხშირეების გამოყოფასაც. ოპერატორი ვერ განხორციელებს ეფექტიანად იმ უფლებებს, რომლებიც გამომდინარეობს კავშირის კანონმდებლობიდან სატელევიზიო მაუწყებლობის ბაზარზე წვდომასთან მიმართებაში სამაუწყებლო რადიო სიხშირეების გარეშე."

177. სასამართლო ეთანხმება მოცემულ ანალიზს. იგი ასევე აღნიშნავს, რომ მან უკვე დაადგინა, რომ ბიზნეს საქმიანობის განხორციელების ლიცენზიის ჩამორთმევა უტოლდება ჩარევას საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლებაში კონვენციის 1 დამატებითი ოქმის 1 მუხლის მნიშვნელობით (იხ. *Tre Traktörer AB v. Sweden*, 7 ივლისი 1989, § 53, Series A no. 159; *Capital Bank AD v. Bulgaria*, no. 49429/99, § 130, ECHR 2005-XII; *Rosenzweig and Bonded Warehouses Ltd v. Poland*, no. 51728/99, § 49, 28 ივლისი 2005; და *Bimer S.A. v. Moldova*, no. 15084/03, § 49, 10 ივლისი 2007). მართალია ლიცენზია

არ გაუქმებულა მოცემულ საქმეში, მაგრამ სასამართლო მიიჩნევს, რომ სამაუწყებლო სიხშირეების გადაცემის გარეშე, იგი უარსო გახდა.

178. სასამართლო შესაბამისად მიიჩნევს, რომ ლიცენზიით სარგებლობასთან დაკავშირებული ინტერესი წარმოადგენდა საკუთრებით ინტერესს რომელიც ხვდება 1 ოქმის 1 მუხლის დაცვის ქვეშ (იხ. *mutatis mutandis, Tre Traktörer AB*, ციტირებული ზემოთ, § 53).
179. შესაბამისად, იგი მიიჩნევს, რომ მომჩივანი კომპანიის კანონიერი მოლოდინი, რომელიც დაკავშირებული იყო საკუთრებით ინტერესთან ანალოგი სატელევიზიო ქსელის ოპერირების ფორმით, სარგებლობდა საკმარისი საფუძვლით რათა შეადგენდეს არსობრივ ინტერესს და შესაბამისად "კუთვნილებას" 1 ოქმის 1 მუხლის პირველ წინადადებაში გაწერილი მნიშვნელობით. შესაბამისად, მოცემული მუხლი ვრცელდება წინამდებარე საქმეზე (იხ. *mutatis mutandis, Stretch v. the United Kingdom*, no. 44277/98, §§ 32-35, 24 ივნისი 2003, და *Bozcaada Kimisis Teodoku Rum Ortodoks Kilisesi Vakfi v. Turkey* (no. 2), nos. 7646/03, 37665/03, 37992/03, 37993/03, 37996/03, 37998/03, 37999/03 და 38000/03, § 50, 6 ოქტომბერი 2009).
180. სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემული საჩივარი არ არის აშკარად დაუსაბუთებელი კონვენციის 35-ე მუხლის 3(ა) პუნქტის მიხედვით. იგი ასევე აღნიშნავს, რომ იგი არ არის მიუღებელი რაიმე სხვა საფუძვლით. შესაბამისად, მას მისაღებად აცხადებს.

ბ. საქმის არსებითი მხარე

1. მხარეთა არგუმენტები

(ა) მომჩივანი კომპანია

181. მომჩივანმა კომპანიამ აღნიშნა, რომ მთავრობის ქმედება უტოლდებოდა კუთვნილების ჩამორთმევას 1 ოქმის 1 მუხლის მნიშვნელობით იმდენად, რამდენადაც მთავრობამ არამართო არ გასცა მასზე სიხშირეები ყოველგვარი გამამართლებელი საფუძვლის გარეშე, არამედ ასევე უარი განაცხადა აემოქმედებინა ლიცენზია, რომელიც გაიცა საჯარო სატენდერო პროცედურის საფუძველზე.
182. მომჩივანმა კომპანიამ აღნიშნა, რომ ჩამორთმევა არ იყო კავშირში საჯარო ინტერესთან და რომ ემსახურებოდა "მედიასეტის" კერძო ინტერესებს გამოეყენებინა ის სიხშირეები, რომელიც მას წესით უნდა დაეთმო მომჩივანი კომპანიის, როგორც ლიცენზიის კანონიერი მფლობელის სასარგებლოდ. ამასთანავე, ჩამორთმევა არ განხორციელებულა "კანონით დადგენილი პირობების მიხედვით: N. 249/1997 კანონის მიხედვით, შესაბამისი სიხშირეები უნდა გადაცემოდა სატენდერო პროცედურის გამარჯვებული ბიდერის, კერძოდ კი *Centro Europa 7 S.l.r* სასარგებლოდ. თუმცა, რიგი გარდამავალი საკანონმდებლო ზომების შედეგად კომპანიას არ მიეცა საშუალება ჰქონოდა წვდომა სიხშირეებზე.

183. მომჩივანმა კომპანიამ შემდგომ აღნიშნა, რომ ეროვნულ დონეზე მისთვის მიკუთვნებული კომპენსაცია არ ასახავდა ჩამორთმეული საკუთრების ღირებულებას. დაკარგულ სამუალებების შედეგად დაკარგული შემოსავლის განსასაზღვრად სასამართლომ უნდა განიხილოს არამართო სიხშირეების გადაცემის დაყოვნება, არამედ ის ფაქტიც, რომ შეუძლებელი გახლდათ სხვა კომპანიებთან კონკურენცია 1999 წელს ანუ მაშინ, როდესაც ბაზარი უფრო მცირერივხვოვანი გახლდათ ვიდრე დღეს. მომჩივანმა კომპანიამ შემდგომ აღნიშნა, რომ *Consiglio di Stato*-მ - საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე დაასკვნა, რომ 2003 წლის 31 დეკემბერი წარმოადგენდა იმ გონივრულ ვადას, როდესაც უნდა ამოწურულიყო გარდამავალი პერიოდი - გაითვალისწინა მხოლოდ ის ზიანი, რომელიც დადგა 2004 წლის შემდეგ, ანუ, მათ უგულვებელყვეს დარღვევის მთელი ხუთი წელი. დაბოლოს, მომჩივანმა კომპანიამ აღნიშნა, რომ *Consiglio di Stato*-ს დასკვნის მიხედვით, ლიცენიის მინიჭება მათ არ აძლევდათ დაუყოვნებელ უფლებას ჩართულიყვნენ შესაბამის ეკონომიკურ საქმიანობაში და რომ კომპენსაცია გამოთვლილი უნდა ყოფილიყო შესაბამისი ორგანოების მიერ სიხშირეების გამოყოფის კანონიერი მოლოდინის საფუძველზე.

(ბ) მთავრობა

184. მთავრობა არ ეთანხმებოდა მომჩივანი კომპანიის არგუმენტებს და ასაჩივრებდა საჩივრის "ფინანსურ" ბუნებას.

2. სასამართლოს შეფასება

185. 1 ოქმის 1 მუხლი, რომელიც წარმოადგენს საკუთრების დაცვის გარანტიას შეიცავს სამ განსხვავებულ წესს: " პირველი წესი, მოცემული პირველი პარაგრაფის პირველ წინადადებაში ზოგადი ხასიათისაა და აყალიბებს საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის პრინციპს; მეორე წესი, მოცემული პირველი პარაგრაფის მეორე წინადადებაში, ეხება კუთვნილების ჩამორთმევას და უქვემდებარებს მას რიგ პირობებს; მესამე წესი, მოცემული მეორე პარაგრაფში აღიარებს, რომ ხელშემკვრელი სახელმწიფოები უფლებამოსილნი არიან, სხვა მრავალთან ერთად, აკონტროლონ საკუთრების გამოყენება ზოგადი ინტერესის შესაბამისად ... სამი წესი, თუმცა, არ არის "განსხვავებული" და ინარჩუნებს ურთიერთკავშირს. მეორე და მესამე წესები დაკავშირებულია საკუთრებით შეუფერხებელ სარგებლობაში ჩარევასთან და შესაბამისად განხილული უნდა იქნას პირველ წესში მოცემულ ზოგად პრინციპთან ერთობლიობაში (იხ. სხვა მრავალთან ერთად, *James and Others v. the United Kingdom*, 21 February 1986, § 37, Series A no. 98, და *Beyeler*, ციტირებული ზემოთ, § 98).

186. მომჩივანმა კომპანიამ აღნიშნა, რომ მას "ჩამოერთვა საკუთრება" მოცემულ საქმეში. თუმცა, სასამართლო ვერ გაიზიარებს ამ არგუმენტს. ადგილი არ ჰქონია მომჩივანი კომპანიის არსებითი ინტერესის ჩამორთმევას ანალოგი სატელევიზიო ქსელის

ოპერირებისას, როგორც ფაქტებიდან იკვეთება ახლა იგი ახორციელებს სატელევიზიო პროგრამების გადაცემას. მიუხედავად ამისა, ლიცენზიით გათვალისწინებულ საქმიანობის განხორციელების საშუალებაზე გავლენა მოხდა რამდენიმე ზომის გამოყენებით, რაც, არსობრივად, მიზნად ისახავდა მაუწყებლობის დაწყების გადავადებას; აღნიშნული ფაქტი, სასამართლოს აზრით, წარმოადგენს საკუთრებით სარგებლობის კონტროლს, რომელიც განხილული უნდა იქნას 1 ოქმის 1 მუხლის მეორე პარაგრაფის ქრილში.

187. პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი მოთხოვნა, რომელსაც აყალიბებს 1 ოქმის 1 მუხლი აისახება მოთხოვნაში, რომლის მიხედვითაც ნებისმიერი ჩარევა საჯარო ხელისუფლების მიერ საკუთრებით შეუფერხებელ სარგებლობაში უნდა იყოს კანონიერი (იხ. *Iatridis*, ციტირებული ზემოთ, § 58, და *Beyeler*, ციტირებული ზემოთ, § 108). კერძოდ, მეორე წინადადება აღიარებს, რომ სახელმწიფოებს გააჩნიათ უფლება აკონტროლონ საკუთრების გამოყენება იმ პირობით, რომ მოცემულ უფლებას ისინი "კანონით" აძლირებენ. კანონიერების პრინციპი ასევე გულისხმობს, რომ ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი დებულებები არის სათანადოდ ხელმისაწვდომი, ზუსტი და განჭვრეტადი გამოყენებისას (იხ. *mutatis mutandis*, *Broniowski*, cited above, § 147).
188. თუმცა, სასამართლომ უკვე დაადგინა კონვენციის მე-10 მუხლით, რომ მომჩივანის კომპანიის უფლებებში ჩარევას არ გააჩნდა სათანადოდ განჭვრეტადი სამართლებრივი საფუძველი მისი სასამართლო პრაქტიკით დანერგილი მნიშვნელობით (იხ. პარაგრაფი 156 ზემოთ). სასამართლო იგივე დასკვნამდე მიდის 1 ოქმის 1 მუხლით საქმის განხილვისას, რაც საკმარისია დაასკვნას, რომ ადგილი ჰქონდა მოცემული მუხლის დარღვევასაც.
189. ზემორე დასკვნა ათავისუფლებს სასამართლოს იმის განხილვის ვალდებულებისაგან, თუ რამდენად იყო დაკმაყოფილებული 1 ოქმის 1 მუხლის სხვა მოთხოვნები მოცემულ საქმეში, კერძოდ, კი თუ რამდენად იყო მომჩივანი კომპანიის "საკუთრების" კონტროლი განხორციელებული "ზოგადი ინტერესის შესაბამისად".

VI. კონვენციის 6 § 1 მუხლის სავარაუდო დარღვევა

190. მომჩივანი კომპანია დავობდა საქმის სამართლიანი განხილვის უფლების დარღვევას. იგი ეფუძნებოდა კონვენციის 6 § 1 მუხლის შესაბამის ნაწილს, რომელიც აღნიშნავს შემდეგს:

" yoveli adamiani, misi samoqalaqo xasiaTis uflebebisa da movaleobebis ... gamorkvevisas, aRWurvilia ... misi saqmis samarTliani ... ganxilvis uflebiT ... Seqmnili damoukidebeli da miukerZoebeli sasamarTlos mier."

ა. მხარეთა არგუმენტები

1. მთავრობა

191. მთავრობა ამტკიცებდა, რომ მოცემული საჩივარი აშკარად დაუსაბუთებელი გახლდათ, რადგანაც სასამართლოს ვალდებულებას არ წარმოადგენდა ეროვნული სასამართლოების მიერ სავარაუდოდ ჩადენილი ფაქტობრივი თუ სამართლებრივი შეცდომების განხილვა და რომ უპირატესად ეროვნული ხელისუფლების, კერძოდ კი სასამართლოების, ფუნქციას იყო ეროვნული კანონმდებლობის ინტერპრეტაციის პრობლემების მოგვარება.
192. კერძოდ, კანონები N. 43/2004 დ 112/2004 არ იქნა გათვალისწინებული რაიონული ადმინისტრაციული სასამართლოს მიერ და *Consiglio di Stato* -მ გააკეთა მითითება მოცემულ კანონებზე იმის დადგენისას, რომ მომჩივანი კომპანია უფლებამოსილი გახლდათ მიეღო კომპენსაცია. *Consiglio di Stato*-ს გადაწყვეტილებამ, რომლითაც მოხდა ფინანსური კომპენსაციის მიკუთვნება დაადასტურა, რომ სახელმწიფო დამოუკიდებელი გახლდათ და რომ მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილება გათვალისწინებული იქნა. მთავრობამ შემდეგ აღნიშნა, რომ სასამართლოში სამართალწარმოებისას საერთო ინტერესების მქონე მხარეებს შეეძლოთ წარმოედგინათ დასკვნები სასამართლოსათვის ნაწილობრივ მსგავსი პირობებით, და რომ ტექნიკური არგუმენტების ჩამოყალიბება ადვოკატის მიერ არ ნიშნავდა მათ მოწონებას მთავრობის მხრიდან.
193. დაბოლოს, მთავრობამ აღნიშნა, რომ *Consiglio di Stato*-მ არ გაიზიარა მომჩივანი კომპანიის თხოვნა ექსპერტის მიერ განფასებაზე, დაადგინა რა, რომ მტკიცების ტვირთი ეკისრებოდა კომპანიას და რომ სასამართლოს მიერ მოთხოვნილი ექსპერტის შეფასება ვერ დააკომპენსირებდა მტკიცებულების შეუგროვებლობას.

2. მომჩივანი კომპანია

194. მომჩივანი კომპანია ამტკიცებდა, რომ სხვადასხვა საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც განხორციელდა სამართალწარმოების განმავლობაში არღვევდა საქმის სამართლიანად განხილვის უფლებას; მან დასძინა, რომ კანონი არ იყო სწორად გამოყენებული და რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებანი არ იქნა აღსრულებული. მეტიც, *Consiglio di Stato*-ს წინაშე სამართალწარმოებისას მთავრობა უპირატესობას "მედიასეტის" ჯგუფს ანიჭებდა, რითაც გამოხტავდა სახელმწიფოს მხარეს დამოუკიდებლობის ნაკლებობას. მომჩივანი კომპანიის აზრით, აღნიშნული დასტურდებოდა იმ ფაქტით, რომ მთავრობის წერილობითი სარჩელი ეფუძნებოდა "მედიასეტის" ჯგუფის მიერ წარმოდგენილ სარჩელს.
195. მომჩივანმა კომპანიამ აღნიშნა, რომ იტალიის სახელმწიფომ ვერ შეძლო ნათელი და ყოვლისმომცველი მარეგულირებელი სისტემის შექმნა, რითაც დაარღვია კანონიერების, გამჭვირვალების, არა-დისკრიმინაციის, თავისუფალი კონკურენციის, მიუკერძოებლობისა და კანონის უზენაესობის პრინციპები. დაბოლოს, *Consiglio di Stato*-

მ ვერ მოახერხა იმ ზიანისათვის კომპენსირება, რომელიც რეალურად მიადგა მომჩივან კომპანიას და ვერც ექსპერტის შეფასება მოითხოვა რათა განესაზღვრა დავალიანების ოდენობა.

ბ. სასამართლოს შეფასება

196. სასამართლო მიიჩნევს, რომ მომჩივანი კომპანიის წუხილის გარკვეული ნაწილი (კერძოდ, ნათელი მარეგულირებელი სისტემის არარსებობის, საკანონმდებლო ცვლილებებისა და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების აღუსრულებლობის შესახებ) დიდწილად მოიცავს კონვენციის მე-10 მუხლით წარმოდგენილ საჩივარს. შესაბამისად, საჭირო არ გახლავთ მისი განხილვა ცალკე მე-6 მუხლით.
197. რაც შეეხება კონკრეტულ საჩივრებს *Consiglio di Stato*-ში სამართალწარმოებასთან დაკავშირებით, სასამართლო იმეორებს, რომ მისი ვალდებულებაა უზრუნველყოს ხელშემკვრელი მხრეების მიერ კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების დაცვა. კერძოდ, იგი ეთანხმება მთავრობას, რომ მისი ფუნქცია არ გახლავთ ეროვნულ დონეზე დაშვებული ფაქტობრივი და სამართლებრივი შეცდმების ანალიზი, იმდენად რამდენადაც ისინი არ არღვევენ კონვენციით დაცულ უფლებებსა და თავისუფლებებს (იხ. სხვა მრავალს შორის *García Ruiz v. Spain* [GC], no. 30544/96, § 28, ECHR 1999-I). კერძოდ, სასამართლო თავად ვერ შეაფასებს იმ ფაქტებს, რომელმაც ეროვნული სასამართლო მიიყვანა ერთ და არა მეორე დასკვნამდე; რადგან მაშინ, იგი მიჩნეულ იქნება მეოთხე ინსტანციის სასამართლოდ და ამით უგულვებელყოფს მისი მოქმედების სფეროზე დაკისრებულ შეზღუდვებს (იხ. *mutatis mutandis*, *Kemmache v. France* (no. 3), 24 ნოემბერი 1994, § 44, Series A no. 296-C). სასამართლოს ერთადერთი ფუნქცია კონვენციის მე-6 მუხლთან მიმართებაში გახლავთ იმ საჩივრების განხილვა, რომლებიც აღნიშნავენ, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა არ დაიცვეს კონკრეტული პროცედურული გარანტიები ჩამოყალიბებული მე-6 მუხლში ან რომ სამართალწარმოება, მთლიანობაში არ სთავაზობდა მომჩივანს საქმის სამართლიან განხილვას (იხ. სხვა მრავალს შორის *Donadze v. Georgia*, no. 74644/01, §§ 30-31, 7 მარტი 2006).
198. მოცემულ საქმეში სასამართლო ვერ ხედავს მტკიცებულებას რათა მიიჩნიოს, რომ სამართალწარმოება *Consiglio di Stato*-ში არ განხორციელებულა საქმის სამართლიანად განხილვის მოთხოვნების დაცვით. იგი ასევე აღნიშნავს, რომ დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მოთხოვნა კონვენციის მე-6 მუხლით ეხება იმ სასამართლოს, რომელიც იხილავს საქმის არსებით მხარეს და არა სამართალწარმოების მხარეებს (იხ. *Forcellini v. San Marino* (dec.), no. 34657/97, 28 მაისი 2002, და *Previti v. Italy* (dec.), no. 45291/06, § 255, 8 დეკემბერი 2009), და რომ ეროვნული სასამართლოების ფუნქციას წარმოადგენს შეთავაზებული მტკიცებულების საჭიროების შეფასება (იხ. *mutatis*

mutandis და სისხლის სამართლის საქმესთან მიმართებაში, *Previti*, ციტირებული ზემოთ, § 221, and *Bracci v. Italy*, no. 36822/02, § 65, 13 ოქტომბერი 2005).

199. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემული საჩივარი უარყოფილი უნდა იქნას როგორც ამკარად დაუსაბუთებელი კონვენციის 35 § 3 (ა) და 4 მუხლის შესაბამისად.

VII. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

200. კონვენციის 41-ე მუხლი აღნიშნავს შემდეგს:

"Tu sasamarTlo daaskvnis, rom dairRva konvenciiT an misi oqmebiT gaTvaliswinebuli ufleba, xolo Sesabamisi maRali xelSemkvreli mxaris Sida samarTali darRvevis mxolod nawilobrivi gamosworebis SesaZleblobas iZleva, saWiroebis SemTxvevaSi, sasamarTlo dazaralebul mxares samarTlian dakmayofilebas miakuTvnebs."

ა. მხარეთა არგუმენტები

1. მატერიალური ზიანი

(ა) მომჩივანი კომპანია

201. მომჩივანმა კომპანიამ აღნიშნა, რომ მიკუთვნებული ზიანის ანაზღაურება არასაკმარისი იყო. მან მიუთითა, რომ *Consiglio di Stato*-მ დაადგინა, რომ კომპენსაცია გადახდილი უნდა ყოფილიყო უდიდესი ზიანის მხოლოდ მცირე ნაწილთან მიმართებაში, არ გაითვალისწინა ექსპერტის შეფასება და ვერ დანიშნა დამოუკიდებელი ექსპერტები. შესაბამისად, *Consiglio di Stato*-მ თითქმის სრულად უგულვებელყო მოთხოვნა კომპენსაციაზე, განაცხადა რა, რომ არც სამართალწარმოების ხარჯები და არც ბიზნესის დასაწყებად გაღებული თანხა არ ანაზღაურდებოდა.

202. ბიზნესის დასაწყებად გაღებულ თანხას რაც შეეხება, მომჩივანმა კომპანიამ აღნიშნა, რომ სამაუწყებლო ლიცენზიის მინიჭების შემდეგ, მან მალევე შექმნა ეფექტიანი და ეფექტური სტრუქტურა რათა გამხდარიყო სერიოზული მოთამაშე კომერციული მაუწყებლობის სექტორში. კერძოდ, მან იჯარით აიღო 20,000 კვ.მ. სატელევიზიო სტუდიები, აღჭურვილი უახლესი ტექნოლოგიით, რომელიც წინასწარ იქნა შეძენილი რათა მას შესძლებოდა მაუწყებლობის დაუყოვნებლად დაწყება. მან ასევე გასწია ხარჯები აუდიოვიზუალური ბიბლიოთეკის შესაქმნელად საკუთარი პროგრამების პროდიუსირების გზით, როგორც ამას ითხოვდა სალიცენზიო რეგულაციები.

203. რაც შეეხება შემოსავლის დაკარგვას, *Consiglio di Stato*-ს მიერ მიკუთვნებული ზიანის ანაზღაურების არაადეკვატურობა ნათელი გახლდათ "რეტეკუატროს", იმ არხის მოგებასთან შედარებისას, რომელიც ახორციელებდა ქვოტის მიღმა მაუწყებლობას იმ სიხშირეზე, რომელიც უნდა გადასცემოდა მომჩივან კომპანიას. დაკარგული შემოსავლის შეფასებისას, სასამართლომ ასევე უნდა გაითვალისწინოს ის ფაქტი, რომ

Centro Europa 7 S.r.l. მხოლოდ ახლახანს შემოვიდა კომერციულ სამაუწყებლო ბაზარზე, მაშინ, როდესაც ანალოგი მაუწყებლობა სრულად იქნა გადაჯაბნილი ციფრული სახმელეთო ტელევიზიითა და სხვა სამაუწყებლო საშუალებებით. 1999 წლის შემდეგ ბაზარზე განხორციელებული ცვლილებებიც უნდა იქნეს გათვალისწინებული. მომჩივნი კომპანია დავობდა, რომ იგი უკანონოდ არ დაუშვეს კომერციულ სამაუწყებლო ბაზარზე ხანგრძლივი დროით, რამაც დააზიანა მისი ბრენდის პოპულარიზაცია, რეპუტაცია და მიღებადი გამოცდილება, აუდიოვიზუალური შინაარსი და დააკარგინა ის სარგებელი, რომელიც უკავშირდება ანალოგ მაუწყებლობას.

204. მოცემულის გათვალისწინებით, დოკუმენტური მტკიცებულებების საფუძველზე, მომჩივანი კომპანია ითხოვდა 2,174,130,492.55 ევროს (129,957,485.60 ევროს მიყენებული ზიანისათვის და 2,045,214,475.00 ევროს დაკარგული შემოსავლისათვის) - სწორედ იმ თანხას, რომელიც მან მოითხოვა ეროვნული სამართალწარმოებისას - გამოკლებული *Consiglio di Stato*-ს მიერ მიკუთვნებული თანხა, ან სხვა ოდენობას, რომელიც განისაზღვრებოდა სამართლიან პრინციპებზე დაყრდნობით. საწესდებო ინტერესი გადახდილ უნდა იქნას კომპენსაციისას.

(ბ) მთავრობა

205. მთავრობა ასაჩივრებდა მომჩივანის მოთხოვნებს და მათ გადამეტებულად მიიჩნევდა. იგი აღნიშნავდა, რომ *Consiglio di Stato*-მ მომჩივან კომპანიას უკვე მიაკუთვნა კომპენსაცია. მეტიც, მოცემული საჩივარი სპეკულაციას ეფუძნებოდა და არ გააჩნდა მიზეზობრივი კავშირი კონვენციის დარღვევებთან (*Informationsverein Lentia and Others*, ციტირებული ზემოთ, § 46; *Radio ABC*, ციტირებული ზემოთ, § 41; და *Meltex Ltd and Movsesyan*, ციტირებული ზემოთ, § 102).

206. მთავრობა ასევე აცხადებდა, რომ მომჩივან კომპანიას არ შეუქმნია არანაირი ინსტალაცია ციფრული მაუწყებლობის განსახორციელებლად 2008 წლის დეკემბრიდან 2009 წლის იანვრამდე. შესაბამისი აღჭურვილობა შეძენილ იქნა მხოლოდ 2009 წლის შემდგომ.

2. მორალური ზიანი

(ა) მომჩივანი კომპანია

207. მომჩივანი კომპანია მორალური ზიანის ასანაზღაურებლად ითხოვდა 10,000,000 ევროს.

208. მან აღნიშნა, რომ სასამართლომ ამ მხრივ უნდა გაითვალისწინოს შემდეგი ფაქტორები: (ა) გასული მნიშვნელოვანი ვადა; (ბ) ის ფაქტი, რომ მომჩივანი კომპანია, ლოგიკურად ელოდა იტალიის მთავრობას მიეცა საშუალება სამაუწყებლო ლიცენზიით

სასარგებლოდ გონივრულ ვადებში; (გ) იმედგაცრუება და სასოწარკვეთა, რომელიც გამომდინარეობდა სატელევიზიო მაუწყებლობის განვითარებაზე თვალყურისდევნებით და უძღურებით, არ შეეძლო რა მომჩივან კომპანიას ყოფილიყო მოცემული განვითარების ნაწილი და რიგი მომგებიანი საშუალების დაკარგვით; (დ) მნიშვნელოვანი ფინანსური ზიანი; (ე) კომპანიის რეპუტაციისადმი ზიანის მიყენება ჩართული პირების პოზიციის გამო; (ვ) კომპანიის სერიოზული წიხილი, არ შეეძლოთ რა დაწეოდნენ კონკურენტებს, რომლებმაც დაიმკვიდრეს პოზიცია ანალოგ სამაუწყებლო და მასთან დაკავშირებულ ბაზრებზე; (ზ) გაურკვეველობის მდგომარეობა, რომელშიც მომჩივან კომპანიას უწევდა სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღება; (თ) იმედგაცრუება, რომელიც გამომდინარეობდა მთავრობის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოსა და ევროპული ინსტიტუტების მოთხოვნების განმეორებადი და აშკარა უგულვებელყოფით.

(ბ) მთავრობა

209. მთავრობა არ ეთანხმებოდა მომჩივანი კომპანიის საჩივრებს და მიიჩნევდა მას გადამეტებულად.

3. ხარჯები

(ა) მომჩივანი კომპანია

210. წარმოადგინა რა დოკუმენტური მტკიცებულება, მომჩივანი კომპანია ითხოვდა ლიცენზიის ამოქმედებისა და სატელევიზიო სამაუწყებლო ბაზარზე ეკონომიკური საქმიანობების ჯეროვნად განხორციელების მოთხოვნით სამართალწარმოების ხარჯების ანაზღაურებას როგორც ეროვნულ ისე ევროპულ დონეზე.

211. მან აღნიშნა, რომ იგი ედავებოდა არა მარტო დომინანტ კომერციულ მაუწყებელს იტალიაში, არამედ თავად იტალიის მთავრობას ათ წელზე მეტი დროის განმავლობაში, რადგან ამ პერიოდის განმავლობაში "მედიასეტის" მესაკუთრე - იმ სამაუწყებლო ჯგუფისა, რომელსაც ეკუთვნოდა ქვოტის მიღმა არხი "რეტეკუატრო"- ამასთანავე რამდენიმე ვადით იქნა არჩეული ქვეყნის პრემიერ-მინისტრად.

212. შესაბამისად, მომჩივანი კომპანია მოითხოვდა ეროვნულ დონეზე ხარჯების ანაზღაურებას 1,023,706.35 ევროს ოდენობით და 200,000 ევროს ოდენობით კი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე სამართალწარმოებისათვის.

(ბ) მთავრობა

213. მთავრობა არ ეთანხმებოდა მომჩივანი კომპანიის მოთხოვნებს.

ბ. სასამართლოს შეფასება

1. მატერიალური და მორალური ზიანი

214. სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეში მან დაადგინა ორი დარღვევა. პირველი, ჩარევა მომჩივანი კომპანიის მიერ ინფორმაციისა და იდეების გავრცელების უფლებაში კონვენციის მე-10 მუხლის მნიშვნელობით, რომელიც გამოწვეული გახლდათ იმ საკანონმდებლო ზომებით, რომელიც არც განჭვრეტადობის მოთხოვნას აკმაყოფილებდა და არც სახელმწიფოს ვალდებულებას უზრუნველყო ეფექტიანი პლურალიზმი (იხ. პარაგრაფი 156 ზემოთ). მეორე, მომჩივან კომპანიას კანონიერად შეეძლო ჰქონოდა მოლოდინი, რომ ხელისუფლების ორგანოები, 1999 წლის 28 ივლისიდან ოცდაოთხი თვის ვადაში, მიიღებდნენ საჭირო სამართლებრივ ზომებს, რათა დაერეგულირებინათ საელევიზიო სამაუწყებლო საქმიანობანი და ამგვარად მიეცათ მომჩივანი კომპანიისათვის პროგრამების გადაცემის საშუალება (იხ. პარაგრაფი 175 ზემოთ). N. 1 ოქმის 1 მუხლის მიზნებისათვის, მოცემული მოლოდინი წარმოადგენდა "კუთვნილებას" (იხ. პარაგრაფი 178 ზემოთ), რომლის გამოყენებაც კონტროლდებოდა იმავე კანონებით, რომელიც მიჩნეული იქნა არასაკმარისად განჭვრეტადაც მე-10 მუხლთან მიმართებაში (იხ. პარაგრაფი 188 ზემოთ). თუმცა, სასამართლოს არ განუხილავს თუ რამდენად იყო რეგულაციები "შესაბამისი ზოგად ინტერესთან" (იხ. პარაგრაფი 189 ზემოთ) და თუ რამდენად იყო ჩარევა მომჩივანი კომპანიის უფლებაში გავრცელებინა ინფორმაცია და იდეები კანონიერი მიზნის შესაბამისი და აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში მოცემული მიზნის მისაღწევად (იხ. პარაგრაფი 158 ზემოთ).
215. ითვალისწინებს რა იტალიის აუდიოვიზუალური ბაზრის სპეციფიკურ მახასიათებლებსა და მოცემულ ბაზარზე შედარებადი კომერციული ვითარების არარსებობას, მოცემულ საქმეში სასამართლოს არ ძალუძს დაადასტუროს ზუსტი მოცულობა მის მიერ დადგენილი დარღვევების გავლენისა მომჩივანი კომპანიის საკუთრების უფლებაზე.
216. სასამართლო შემდგომ აღნიშნავს, რომ მომჩივან კომპანიას მიადგა ზიანი გახანგრძლივებული გაურკვევლობის შედეგად, რომელიც გამომდინარეობდა ეროვნული სამართლებრივი სისტემის სიზუსტის ნაკლებობით მასზედ, თუ როდის მოხდებოდა სიხშირეების გადაცემა და, შედეგად, დაიწყებდა ოპერირებას კომერციულ სატელევიზიო სამაუწყებლო ბაზარზე. მომჩივანმა კომპანიამ, მიუხედავად ამისა, მაინც განახორციელა რიგი ინვესტიციები ლიცენზიის საფუძველზე. სასამართლო მიიჩნევს, რომ *Consiglio di Stato*-ს მიერ მიკუთვნებული კომპენსაცია, რომელიც ფარავდა მხოლოდ 2004-2009 წლებს ვერ მიიჩნევა საკმარისად, განსაკუთრებით კი იმის გათვალისწინებით, რომ ეროვნული სასამართლოების მიერ არ ყოფილა მოთხოვნილი ექსპერტის მიერ დამდგარი ზიანისა და მიუღებელი შემოსავლის შეფასება.

217. სასამართლო აღნიშნავს, რომ მთავრობა უბრალოდ ასაჩივრებდა მომჩივანი კომპანიის მოთხოვნებს, აფასებდა რა მათ გადამეტებულად.
218. მიყენებულ ზიანთან დაკავშირებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივან კომპანიას არ დაუდასტურებია, რომ მის მიერ გაწეული ყველა ინვესტიცია აუცილებელი იყო ლიცენზიის პირობებით ოპერირების დასაწყებად. რაც შეეხება სავარაუდოდ დაკარგულ შემოსავალს, სასამართლო მიიჩნევს, რომ მომჩივან კომპანიას მართლაც მიაღდა ამგვარი ზიანი მრავალი წლის განმავლობაში ლიცენზიიდან მოგების მიუღებლობის შედეგად. სასამართლო მიიჩნევს, თუმცა, რომ საქმის გარემოებანი არ იძლევა მატერიალური ზიანის ზუსტი შეფასების საშუალებას, რადგან ზიანის ამგვარი სახეობა მოიცავს მრავალ დაუზუსტებელ ფაქტორს, რის შედეგადაც შეუძლებელი ხდება სამართლიანი კომპენსირებისათვის საჭირო ზუსტი რაოდენობის დადგენა.
219. იმ მოგებაზე სპეკულირების გარეშე, რომელსაც მიიღებდა მომჩივანი კომპანია კონვენციის დარღვევას რომ არ ჰქონოდა ადგილი და იმაზე აქცენტირების გარეშე, რომ მომხდარიყო მისი მაუწყებლობა 2001 წლიდან, სასამართლო მიიჩნევს, რომ კომპანიამ დაკარგა რიგი რეალური შესაძლებლობებისა (იხ. *mutatis mutandis, Gawęda*, ციტირებული ზემოთ, § 54). ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მომჩივანი კომპანია აპირებდა სრულიად ახალი კომერციული პროექტის დაწყებას, რომლის პოტენციური წარმატებაც დამოკიდებული იყო სხვადასხვა ფაქტორზე, რომელთა შეფასებაც სასამართლოს იურისდიქციას სცილდება. ამასთან დაკავშირებით სასამართლო აღნიშნავს, რომ როდესაც საქმე ეხება შემოსავლის დაკარგვას (*lucrum cessans*) იგი დეტალურად უნდა იყოს დადასტურებული და არ უნდა ეფუძნებოდეს უბრალო დაშვებასა თუ ალბათობას.
220. მოცემულ გარემოებებში, სასამართლო მიიჩნევს, რომ უპირიანი იქნება თუკი მოხდება ერთიანი საკომპენსაციო თანხის მინიჭება მიყენებული ზიანისა და მიუღებელი შემოსავლისათვის, რომელიც გამომდინარეობდა ლიცენზიის გამოყენების შეუძლებლობით. მან ასევე უნდა გაითვალისწინოს ის ფაქტი, რომ მომჩივან კომპანიას მიეკუთვნა კომპენსაცია ეროვნულ დონეზე მოცემული ვადის გარკვეული ნაწილისათვის (იხ. პარაგრაფი 48 ზემოთ).
221. ამასთანავე, სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმეში დადგენილი კონვენციის მე-10 მუხლისა და N. 1 ოქმის 1 მუხლის დარღვევები სავარაუდოდ გამოიწვევდა მომჩივან კომპანიაში ბიზნესის წარმოების ხანგრძლივი გაურკვეველობისა და უმწეობისა და იმედგაცრუების შეგრძნებას (იხ. *mutatis mutandis, Rock Ruby Hotels Ltd v. Turkey* (სამართლიანი დაკმაყოფილება), no. 46159/99, § 36, 26 ოქტომბერი 2010). ამგვარად, სასამართლო იმეორებს, რომ მას შეუძლია კომერციულ კომპანიას მიაკუთვნოს მატერიალური კომპენსაცია მორალური ზიანისათვის. ამგვარი კომპანიების მიერ განცდილი მორალური ზიანი შესაძლოა მოიცავდეს მეტ-ნაკლებად "ობიექტურ" და "სუბიექტურ" ასპექტებს. გასათვალისწინებელი ასპექტები მოიცავს კომპანიის რეპუტაციას, გაურკვეველობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში, კომპანიის მენეჯმენტის შეფერხებას (რომელთან მიმართებაშიც არ არსებობს შედეგების გამოთვლის კონკრეტული მეთოდი) და ბოლოს, თუმცა შედარებით ნაკლებად,

მმართველი გუნდის მიერ განცდილი იმედგაცრუება და დისკომფორტი (იხ. *Comingersoll S.A. v. Portugal*, [GC], no. 35382/97, § 35, ECHR 2000-IV).

222. ყოველივე ზემოთხსენებული ფაქტორის გათვალისწინებით, სამართლიან საწყისებზე შეფასებისას, სასამართლო გონივრულად მიიჩნევს მიაკუთვნოს მომჩივან კომპანიას მთლიანობაში 10,000,000 ევრო ყველა ზიანისათვის, დამატებული ნებისმიერი გადასახადი, რომელიც შესაძლოა დაეკისროს მოცემულ თანხას.

2. ხარჯები

223. სასამართლო აღნიშნავს, რომ მხოლოდ ის ხარჯები, რომელიც რეალურად და საჭიროებისამებრ იქნა გაწეული და გონივრული ოდენობისაა არის ანაზღაურებადი კონვენციის 41-ე მუხლის საფუძველზე (იხ. *Nikolova v. Bulgaria* [GC], no. 31195/96, § 79, ECHR 1999-II).

224. ეროვნული სამართალწარმოებისას გაწეულ ხარჯებთან მიმართებაში, სასამართლო აღნიშნავს, რომ კონვენციის ინსტიტუტებისადმი მიმართვამდე, მომჩივანმა კომპანიამ ამოწურა მისთვის ხელმისაწვდომი, იტალიის კანონმდებლობით განსაზღვრული სამართლებრივი დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებანი, რადგანაც მან აწარმოა საკმაოდ რთული და ხანგრძლივი ორი სამართალგანხილვა ადმინისტრაციულ სასამართლოებში. სასამართლო შესაბამისად იზიარებს, რომ მომჩივანმა კომპანიამ გასწია ხარჯები კონვენციის დარღვევების გამოსასწორებლად ეროვნული სამართლებრივი სისტემის საშუალებით (იხ. *mutatis mutandis, Rojas Morales v. Italy*, no. 39676/98, § 42, 16 ნოემბერი 2000).

225. რაც შეეხება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე სამართალწარმოებისას გაწეულ ხარჯებს, სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემული საქმე ხასიათდება გარკვეული სირთულით, რადგან იგი საჭიროებდა დიდი პალატის მიერ განხილვას, მოსაზრებების რამდენიმე ეტაპად წარმოდგენასა და მოსმენას. იგი ასევე ეხება მნიშვნელოვან სამართლებრივ საკითხებს.

226. მის ხელთ არსებული მასალის განხილვითა და შესაბამისი პრაქტიკის გავალისწინებით, სასამართლო გონივრულად მიიჩნევს მომჩივანი კომპანიისათვის მთლიანობაში 100,000 ევროს მიკუთვნებას ხარჯების ასანაზღაურებლად.

3. საურავი

227. სასამართლოს მიაჩნია, რომ საურავის ოდენობა უნდა დადგინდეს ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის მიხედვით, რასაც დაემატება სამი პროცენტი.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სასამართლო

1. *იზიარებს* ერთხმად, მთავრობის პირველად პრეტენზიას საჩივრის კონვენციის დებულებებთან *ratione personae* შეუთავსებლობასან დაკავშირებით, იმდენად რამდენადაც იგი წარმოდგენილი იყო ბ-ნი დი სტეფანოს მიერ და შესაბამისად, *აცხადებს* საჩივრის მოცემულ ნაწილს მიუღებლად;
2. *უარყოფს*, ხმათა უმრავლესობით, მთავრობის პირველად პრეტენზიას საჩივრის დაგვიანებით წარმოდგენის შესახებ;
3. *უარყოფს*, ხმათა უმრავლესობით, მთავრობის სხვა პირველად პრეტენზიებს;
4. *აცხადებს*, ხმათა უმრავლესობით, კონვენციის მე-10 და მე-14 მუხლებით წარმოდგენილი მომჩივანი კომპანიის საჩივრების მისაღებობას;
5. *აცხადებს*, ხმათა უმრავლესობით, მომჩივანი კომპანიის მიერ N.1 ოქმის 1 მუხლის საფუძველზე წარმოდგენილ საჩივარს *მისაღებად*;
6. *აცხადებს*, ერთხმად, მომჩივანი კომპანიის დანარჩენ საჩივარს მიუღებლად;
7. *ადგენს*, ექვსი ხმით ერთის წინააღმდეგ, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევას;
8. *ადგენს*, ერთხმად, რომ საჭირო არ არის ცალკე იქნას განხილული საჩივარი კონვენციის მე-14 მუხლით მე-10 მუხლთან ერთობლიობაში;
9. *ადგენს*, თოთხმეტი ხმით სამის წინააღმდეგ, რომ ადგილი ჰქონდა N. 1 ოქმის 1 მუხლის დარღვევას;
10. *ადგენს*, ცხრა ხმით რვის წინააღმდეგ, რომ მოპასუხე სახელმწიფო ვალდებულია გადაუხადოს მომჩივან კომპანიას, სამი თვის ვადაში, 10,000,000 (ათი მილიონი ევრო), დამატებული ნებისმიერი გადასახადი, რომელიც შესაძლოა დაეკისროს მოცემულ თანხას მატერიალური და მორალური ზიანისათვის;
11. *ადგენს*, ერთხმად, რომ მოპასუხე სახელმწიფომ უნდა გადაუხადოს მომჩივან კომპანიას, სამი თვის ვადაში, 100,000 ევრო (ასი ათასი ევრო), დამატებული ნებისმიერი გადასახადი, რომელის შესაძლოა დაეკისროს მოცემულ თანხას, ხარჯების ასანაზღაურებლა;
12. *ადგენს*, ერთხმად, რომ ზემოხსენებული სამთვიანი ვადის გასვლის შემდეგ, თანხის სრულ გადახდამდე გადასახდელ თანხას საჯარიმო პერიოდის განმავლობაში დაერიცხება გადახდის დღეს მოქმედი, ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის თანაბარი დეფოლტ პროცენტები, დამატებული სამი პროცენტი.
13. *უარყოფს*, მომჩივანი კომპანიის დანარჩენ მოთხოვნებს სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

შესრულებულია ინგლისურ და ფრანგულ ენებზე და გაცხადებულია საჯარო მოსმენაზე, ადამიანის უფლებათა შენობაში, სტრასბურგში 2012 წლის 7 ივნისს.

ვინსენტ ბერგერი

ფრანსუაზ ტულკენსი

იურისკონსული

პრეზიდენტი

კონვენციის 45-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და სასამართლოს რეგლამენტის 74-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, წინამდებარე გადაწყვეტილებას თან ერთვის შემდეგი განცალკევებული მოსაზრებანი:

(ა) მოსამართლე ვაჯიჩის თანმხვედრი მოსაზრება;

(ბ) მოსამართლეების შაიო, კარაკაშ და წოწორიას ერთობლივი ნაწილობრივ განსხვავებული მოსაზრებანი, ნაწილობრივ გაზიარებული მოსამართლე შტეინერის მიერ;

(გ) მოსამართლეების პოპოვიჩისა და მიიოვიჩის ერთობლივი ნაწილობრივ განსხვავებული მოსაზრებანი;

(დ) მოსამართლე შტეინერის განსხვავებული მოსაზრება.

ფ.ტ.

ვ.ბ.

"მოცემულ თარგმანს არ ერთვის განსხვავებული მოსაზრებანი, თუმცა იგი თან ახლავს ოფიციალურ, ინგლისურ და/ან ფრანგულ ენაზე წარმოდგენილ გადაწყვეტილებას და ხელმისაწვდომია სასამართლოს პრაქტიკის მონაცემთა ბაზაში - HUDOC."

© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2013

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ოფიციალური ენებია ინგლისური და ფრანგული. წინამდებარე თარგმანი შესრულებულია ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდის ხელშეწყობით (www.coe.int/humanrightstrustfund). იგი სასამართლოსათვის სავალდებულო ხასიათს არ ატარებს და არც მის ხარისხზე აკისრებს პასუხისმგებლობას. მოცემული დოკუმენტი შეიძლება ჩამოტვირთულ იქნას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს HUDOC სასამართლო პრაქტიკის მონაცემთა ბაზიდან (<http://hudoc.echr.coe.int>) ან ნებისმიერი სხვა მონაცემთა ბაზიდან, რომელთანაც სასამართლომ მოახდინა მისი გაზიარება. დასაშვებია თარგმანის რეპროდუქცირება არაკომერციული მიზნებისათვის იმ პირობით, რომ მოხდება საქმის სრული სახელწოდების ციტირება, მოცემულ საავტორო უფლებების აღნიშვნასა და ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდზე მითითებით. წინამდებარე თარგმანის ნებისმიერი ნაწილის კომერციული მიზნებით გამოყენების სურვილის შემთხვევაში, გთხოვთ მოგვწეროთ შემდეგ მისამართზე: publishing@echr.coe.int.

© Council of Europe/European Court of Human Rights, 2013

The official languages of the European Court of Human Rights are English and French. This translation was commissioned with the support of the Human Rights Trust Fund of the Council of Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). It does not bind the Court, nor does the Court take any responsibility for the quality thereof. It may be downloaded from the HUDOC case-law database of the European Court of Human Rights (<http://hudoc.echr.coe.int>) or from any other database with which the Court has shared it. It may be reproduced for non-commercial purposes on condition that the full title of the case is cited, together with the above copyright indication and reference to the Human Rights Trust Fund. If it is intended to use any part of this translation for commercial purposes, please contact publishing@echr.coe.int.

© Conseil de l'Europe/Cour européenne des droits de l'homme, 2013

Les langues officielles de la Cour européenne des droits de l'homme sont le français et l'anglais. La présente traduction a été effectuée avec le soutien du Fonds fiduciaire pour les droits de l'homme du Conseil de l'Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). Elle ne lie pas la Cour, et celle-ci décline toute responsabilité quant à sa qualité. Elle peut être téléchargée à partir de HUDOC, la base de jurisprudence de la Cour européenne des droits de l'homme (<http://hudoc.echr.coe.int>), ou de toute autre base de données à laquelle HUDOC l'a communiquée. Elle peut être reproduite à des fins non commerciales, sous réserve que le titre de l'affaire soit cité en entier et s'accompagne de l'indication de copyright ci-dessus ainsi que de la référence au Fonds fiduciaire pour les droits de l'homme. Toute personne souhaitant se servir de tout ou partie de la présente traduction à des fins commerciales est invitée à le signaler à l'adresse suivante : publishing@echr.coe.int.